საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სამუშაოები დასრულებულია შემდეგ მისამართებზე: ელბაქიძის აღმართზე, მ. ჯავახიშვილის ქუჩა #21-ის მიმდებარედ დაზიანებული საყრდენი კედლის მოწყობის მიზნით ჩამოშლილი კედლისა და გრუნტის დატვირთვის და ნაყარში გატანის სამუშაოები; ელბაქიძის აღმართზე საყრდენი კედლის აღდგენა; ფერმწერთა ქ. # 79-ის მიმდებარედ საყრდენი კედელის მშენებლობა; დავით აღმაშენებლის ხეივნიდან სანდრო ახმეტელის ქუჩამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; თავხელიძის (ყოფილი მიქელაძის) ქუჩის სანიაღვრე ქსელის მოწყობა; ქვლივიძის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მოწყობა; ერისთავის, წერეთლის და მირცხულავას ქუჩების სანიაღვრე ქსელის მოწყობა; დიდი ხევძმარას სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა (მ.ნოზაძის ქუჩის მიმდებარედ); ლილოს რკინიგზის ხიდიდან ლოჭინის ხევამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობა; ვაკის პარკის ცენტრალური შესასვლელის რეაბილიტაცია; საფთრე ხევის სანიაღვრე კოლექტორის აღდგენა რეკონსტრუქცია; უნივერსიტეტი "კავკასიასთან" გადამრთველი კამერის მოწყობა; სოფელ გლდანში გორაუბნის ქუჩებზე (ფიროსმანი, სააკაძის, რუსთაველის და კულა გლდანელის) საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; სკოლა ალბიონთან, ძმები ორბელების ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობა; ივერთუბანში კანალიზაციის მოწყობა; ჯავახიშვილის კოლექტორის მოწყობა; დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-10კმ. (ე.წ შავი უბანი) სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოები; ახალდაბის (მოლითის) ქუჩაზე

დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორის აღდგენა-რეკონსტრუქცია; ლილოში მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობა; მეტეხის საგვირაბო კომპლექსის გაგრძელებაზე, მდ. მტკვარზე არსებული ხიდი ესტაკადის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჭედიას და შუშის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი ხიდის სამშენებლო სამუშაოები; ორთაჭალ ჰესის ხიდი-აკვედუკის აღდგენა-რეაბილიტაციის წინმსწრებ დამზღვევი ღონისძიებები; დიღმურას ხიდის რეკონსტრუქცია; ხიდების და და გზაგამტარების დეფორმაციული ნაკერების რეაბილიტაცია; ბ. პაიჭაძის ქუჩა #1-ში მდებარე (თბილისის #3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის) კორპუსის გადახურვის სამუშაოები; ქვლივიძის ქუჩაზე საჰაერო გაზსადენის მოწყობის (არსებულის რეკონსტრუქცია) სამუშაოები; ელბაქიძის აღმართზე, მ.ჯავახიშვილის ქუჩაზე გაზსადენის მოწყობის (არსებულის რეკონსტრუქცია) სამუშაოები.

მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: ცხვედაძის ქ. 60ა-ს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა; გ. კაჭარავს 8 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა; ისნის რაიონში, ვაზისუბნის მე-2 მ/რ, ყოფილი 165 ბაგა-ბაღის შენობის გარე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; ჩეჩელაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; მეტროს სადგურ ,,წერეთელი"-ს გადახურვაზე ჰიდროიზოლაციის მოწყობის სამუშაოები; სოფელ თხინვალასა და აგარაკებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა; ვეტერანთა პარკში მედიათეკის მშენებლობა; ზაჰესის დასახლებასთან ხიდი-აკვედუკის აღდგენა-რეაბილიტაცის ღონისძიებები; ზაჰესის დასახლებასთან არსებული სარკინიგზო გზაგამტარის რეკონსტრუქცია; ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაცია; აღმაშენებლის ხეივნიდან მუხადგვერდისკენ გზაგამტარის რეკონსტრუქცია; გულიას ხიდის რეაბილიტაცია; პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მოწყობა.

ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 333.9 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 26 აღდგენილი და ახლადაშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტი; სამუშაოები მიმდინარეობს 13 ობიექტზე.

2.2 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 22,613.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 17,803.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 79%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა. თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: დოლიძის ქუჩა #8-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, იოსებიძის ქ.#69-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-4კვარტალი, კორპუსი #1 საცხოვრებელ კორპუსზე შენობის სახურავის პარაპეტის რკ/ბეტონის ფილების საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ბ. ხმელნიცკის #147-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; პეტრიწის #1 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; პეკინის ქ.#28-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; გამრეკელის ქ.#7-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ვაზისუბნის IV მ/რ, II კვარტალი, კორპუს #9-ში მდებარე 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის #1 ავარიული ბლოკ-სექციის გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ნუცუბიძის პლატო, მე-5 მ/რ-კ, 4 ავარიულ სახლზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; დები იშხნელების #3 მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N5 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; წყნეთის ქ.#2 (ლოჯიების გამაგრება); გლდანის მე-3 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები პირველი ეტაპი; მოსკოვის გამზირი #38ა-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები I ეტაპი; ფანასკერტელი-ციციშვილის 19 მდებარე ავარიული სახლის გამაგრება; საბურთალოს რაიონში მიცკევიჩის ქ. 1-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; შარტავას ქ.18-ის

გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაჟა-ფშაველას გამზ. 2ა-სგამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ცოტნე დადიანის ქ. #34-ში მდებარე მე-15 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები შესყიდვა; სამგორის რაიონში ვარკეთილის მე-3 მას. I კვ. კორპ. "ა"-ს, "ბ"-ს, "დ"-ს, "ე"-ს და ვარკეთილის მე-3 მას. I კვ. კორპ. 6-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვაზისუბნის მე-4 მ/რაიონი, I კვარტალი კორპ.#14-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვაზისუბნის მე-2 მ/რაიონი, კორპ. #14-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვაზისუბნის მე-3 მ/რაიონი, II კვარტალი კორპ #18-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ათონელის ქუჩა N25-ში არსებული შენობის მიმდებარე იერსახის მოწესრიგების სამუშაოები; ქინძმარაულის ქ.#2-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ქინძმარაულის ქ.#2ა-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ისნის რაიონში ვაზისუბნის დასახლება, კორპ 2-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის დასახლება, კორპ. 3-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზ. კორპ. N46-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზ. მე-4კვ.კორპ. N7-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; აეროპორტის დასახლება კორპ.#36-ის, კორპ#39-ის და კორპ.#40-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარდისუბნის ქ.#1-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ზღვისუბნის მე-4 მ/რ, კორპ #9/გ-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სანზონა, კორპ. #1/ვ-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის დას. კორპ.N15ა-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის დას. კორპ. N16ა-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის დას. კორპ. N19ა-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; გრიბოედოვის ქ.#20-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; თევდორე მღვდლის ქ.#5ბ-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; უზნაძის ქ. #79/81-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; პეკინის ქ. #2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ვაზისუბნის 4 მ/რ I კვარტალი კორპუსი N14 წინმსწრებ დამზღვევი (II ბლოკ-სექცია); ისნის რაიონში, გ.მუხაძის N12-ში მდებარე საწარმოო შენობის საცხოვრებელ სახლად სარეკონსტრუქციო სამუშაოები; ვარკეთილის 3, მე-2 მ/რ. კ#19 საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ნუცუბიძის მე-2 მ/რ-ის I კვარტალში მდებარე #2 საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; გლდანის

მე-3 კორპუსის გამაგრების მე-2 ეტაპი; ყაზბეგის #1 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; პეკინის #36 II და III სადარბაზოს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები.

მიმდინარე პერიოდში ხორციელდება და უახლოეს პერიოდში დასრულდება სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ქეთევან წამებულის გამზ. კორპ #2-ზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების (I ეტაპი); ყაზბეგის 14ა გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; მოსკოვის გამზირი #38ა გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები (II ეტაპი); პეკინის გამზირი, კორპუსი #36, I სადარბაზოს გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ. კორპ. I-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ისნის რაიონში ყვარლის N 107 ბ გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ვარკეთილის მე-3 მასივი, მე-8 კვარტალი, კორპუსი #1 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის მე-3 მასივი, მე-9 კვარტალი, კორპუსი #8 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის III მასივი, X კვარტალი, კორპუსი ,,ვ“ ; ვარკეთილის III მასივი, X კვარტალი, კორპუსი ,,დ“ ; ლილოს დასახლება მე-2 კვ. კორპ #3 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვარკეთილის-3, III-მ/რ-ში N330 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების და ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქ. N34-ში N15 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების მე-2 ეტაპის სამუშაოები; ვარკეთილი-3 მე-2 მ/რ კორპუსი #16 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; გორგასალი მე-3 ჩიხი კორპუსი #1 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაჟა-ფშაველას #47 პირველი კვარტალი კორპუსი #18 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ბახტრიონის 7 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ბაგების 2 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაჟა-ფშაველას III კვარტალი კორპუსი #18 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სანზონის 16ა გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; არბოს ქ. 2 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის მე-3 მასივი, 329 კ გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის მე-3 მასივი, ზემო პლატო, კორპუსი #41-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის მე-3 მასივი, ზემო პლატო, კორპუსი #51-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ალ. ყაზბეგის გამზ. #26-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; თემქა მე-3 მ/რ კორპუსი #16-ის გამაგრება-გაძლიერების

სამუშაოები; ვარკეთილი 3 კორპუსი #2ბ-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ნადარეიშვილის ქუჩა #1-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ჭავჭავაძის გამზ. #70-72-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; პეკინის ქუჩა #24ა-ში სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; საირმის ქუჩა #2 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ლეონიძის ქუჩა #18-ში მდებარე სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის მე-3 მ/რ, კორპ. #1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვარკეთილის მე-3 მასივის მე-8 კვარტალში კორპუსი N1-ის ერთ სადარბაზოიანი სახლის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა; მარჯანიშვილის 16ა/2-ს მშენებლობის სამუშაოები.

ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 19.2 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა 48 შენობა-ნაგებობაზე; სამუშაოები მიმდინარეობს 34 ობიექტზე.

2.3 საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 6,746.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,223.8 ათასი ლარის 93%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

2.3.1 საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 2,173.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,723.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 79%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. პროექტების საფუძველზე მაღალხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: საბურთალოს რაიონში, პეკინის ქ.#2-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების; მარჯანიშვილის 16ა/2 გამოკვლევისა და დასამთავრებელი სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ყიფშიძის ქ.#5ბ მშენებარე კორპუსის გამოკვლევისა და დასამთავრებელი სამუშაოების საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; გამრეკელის ქ.#7-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ყაზბეგის გამზ .#8-ა, ყაზბეგის გამზ. #26, შარტავას ქ.#18ა-ს გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ბაგები, კ-2, მე-2 ეტაპი და დრენაჟის მოწობის გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-3 კვ. კორპ. 18-ის გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ბ. ხმელნიცკის #147-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება - გაძლიერების წინმსწრებ - დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ელბაქიძის აღმართზე საყრდენი კედლის აღდგენის გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლაგუნა ვერესთან მდებარე II იარუსზე არსებული ესტაკადის სადეფორმაციო ნაკერის რეაბილიტაციის სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, იოსებიძის ქ.#69-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-4კვარტალი, კორპუსი #1 საცხოვრებელ კორპუსზე შენობის სახურავის პარაპეტის რკ/ბეტონის ფილების საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; მეტეხის გვირაბის გაგრძელებაზე მდ.მტკვარზე ხიდი-ესტაკადის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; კარტოზიას კვანძის პროექტირება; ხიდებისა და მეტეხის საავტომობილო გვირაბის გამოკვლევა-გამოცდა; წყნეთის ქ.#2 (ლოჯიების გამაგრება) გამაგრება-გაძლიერების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; საბურთალოს რაიონში ფანასკერტელ-ციციშვილის ქ.#19-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელ

სახლზე წინმწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; საბურთალოს რაიონში, პეკინის ქ.#28-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე #5 საცხოვრებელ ორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ნუცუბიძის პლატო,მე-5 მ/რ-კ, 4 ავარიულ სახლზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დკუმენტაცია; დიდი დიღომი, პეტრიწის ქ.N1-ში მდებარე ავარიულ საცხოვრებელ სახლზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; დები იშხნელების #3 მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე გვირაბის ტიპის ქსელის აღდგენა გამაგრების საპროექტო დოკუმენტაცია; კოოპერატიული ბინათმშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზა; ბახტრიონის 7-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ნადარეიშვილის 1-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; მარშალ გელოვანის გამზირზე, მდ. დიღმურაზე არსებული ხიდის (დასავლეთიდან თბილისში შემომავალი მიმართულება) რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის პროექტირება; სამგორის რაიონში მოსკოვის გამზ N38ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; ვაზისუბნის IV მ/რ, კორპუსი #14 წინმსწრებ დამზღვევი (პროექტი); ვარკეთილი-3, მე-3ა მ/რ კორპ. 329-ის გამაგრება-გაძლიერების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; ისნის რაიონში, გ.მუხაძის N12-ში მდებარე საწარმოო შენობის საცხოვრებელ სახლად სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; პეკინის 24ა-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; შარტავას 6, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სანზონის 16-ა კორპუსის (მიშენებული ლოჯიების) გამაგრება გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო

შესყიდვა; ვარკეთილის 19 (პროექტი); ცხვედაძის ქ. N60ა–ს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა–გამაგრების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვა; მ. ჯავახიშვილის ქუჩის საყრდენი კედელი, ქიაჩელის ქუჩის მხრიდან საპროექტო დოკუმენტაცია; ძველი წორწორას ხევის სანიაღვრე კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთის (დაცვის პოლიციის მიმდებარედ) რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; დიდუბის რაიონში სოხუმის ქუჩა #3 ში გამაგრება გაძლიერების საპროექტო სამუშაოები; ისნის რაიონში ყვარლის N107 ბ-ში მდებარე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ი. ჯავახიშვილის მოედანზე დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორის (კვეთით 2,0X2,5) აღდგენისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ. კორპ. I-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (მე-2 ეტაპი) საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; გულუას ხიდის პროექტირება; გლდანულაში თამარ მეფის ქუჩის საყრდენი კედლისა და გზის რეაბილიტაციის პროექტი; გორგასლის ქ.N48-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვა; გლდანისVI მ/რ-ში ბუნებრივი აირის გაჟონვით გამოწვეული აფეთქების შედეგად დაზიანებული #2 კორპუსის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; დ. კაჭარავს #8 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ საყრდენი კედლის საპროექტო; პეკინის გამზირზე, კორპუსი #36-ზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოებისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; პუშკინის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; მაზნიაშვილის ქ.#33 და ჩარგლის ქ.#26 საპროექტო; სანიაღვრე ქსელების მოწყობის საპროექტო - ჭაშნაგირის ქუჩის კუთხეში; შავ უბანში; მარი მარკეტთან; ქეთევან წამებულის #2-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების პროექტირება; ყაზბეგის 14ა-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების პროექტირება; ქ. თბილისის მასშტაბით რეტერატების საპროექტო დოკუმენტაცია; სანიაღვრე კოლექტორების მოწყობის საპროექტო - ლ. ანდრონიკაშვილის ქუჩიდან ლიუბლიანას ქუჩამდე, შალიკაშვილის ქუჩის კვეთიდან ოლიმპიურ ობიექტამდე, მუხათგვერდის გზაგამტართან, აგრარული უნივერსიტეტიდან გრ.ფერაძის ქუჩამდე, დიღომი 8-სთან; ყიფშიძის 20ა და ჭავჭავაძის 54 -ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების პროექტირება; მეტეხის

ქ.#16, კახეთის გზატ, კორპ. #19-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების პროექტირება; ისნის რაიონში, ქ.წამებულის N69-დან ნავთლუღის ჩიხამდე „ნავთლუღის ხევის" სანიაღვრე კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის, ვაზისუბნის მე-2 მ/რ, ყოფილი 165 ბაგა-ბაღის შენობის გარე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და ვაკის რაიონში, აბულაძის ქუჩიდან ყიფშიძის ქუჩამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

ასევე, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 47.6 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მომზადდა 61 ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია.

2.3.2 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2015 წლის გეგმა 5,050.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,022.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის მერიის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა ლაბორატორიული კვლევებით, ტექნიკური ზედამხედველობითა და საექსპერტო მომსახურებებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის და ლაბორატორიული სამუშაოები: ზედამხედველობა განხორციელდა 1133 ობიექტზე. აქედან: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 322, გამგეობების ობიექტი – 811;

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 1070, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 7700 კერნი.

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 343 ობიექტზე, აქედან: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 38, გამგეობების ობიექტი – 305;

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 291 ობიექტზე, აქედან: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 73, გამგეობების ობიექტი – 218;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 3578 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმება – 2795, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმება – 783;

ბინათმესაკუთრეთა ამხააგობების საპროექტო დოკუმენტაციის, ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზისა და შესრულებული სამუშაოების აქტების ანალიზის განყოფილებაში შემოსულია 5663 ხარჯთაღრიცხვებისა და საპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის განყოფილების მიერ მომზადებულია 1016 დასკვნა, ასევე ჩატარებულია ტექნიკური დოკუმენტაციის (პროექტების) ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილება – 901 პროექტის ანალიზი; წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობისა და ხელოვნური ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებები – 311 პროექტის ანალიზი.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურმა ლაბორატორიამ“ საზედამხედველო და ლაბორატორიული სამუშაოების ხარისხის გასაუმჯობესებლად შეიძინა სხვადასხვა ძირითადი საშუალება – ლაბორატორიის მანქანა–დანადგარები, მაღალი გამავლობის მსუბუქი ა/მანქანები (2 ერთეული პიკაპი, MITSUBISHI), ასევე, საცხებ–საპოხი და კვლევების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალები (ტრიქლორეთილენის მჟავა, ცივი ასფალტი და სხვ), განაახლა ავტოპარკი და გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების

თანახმად, ეტაპობრივად მოახდინა შეძენა–ჩანაცვლების გზით 37 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის შეძენა.

2.5 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 23,044.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 23,008.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „სინათლის ქალაქი" მომსახურეობას (ექსპლოატაციას) უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს (ექსპლოატაცია გაეწია 122 755 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 101 405 სანათი, მხატვრული მინათება – 21 350 სანათი), ახორციელებს საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს, მოეწყო 1015 ახალი განათების ბოძი და შეიცვალა 2761 სანათი. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 130.0 ათასი ლარი. ასევე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 15.0 ათასი ლარი მიმდინარე წლის 15 დეკემბერს ევროკავშირის დროშის ფერებში "მშვიდობის ხიდის" განათებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მიმდინარე პერიოდში მოეწყო 1015 ცალი განათების ბოძი და შეიცვალა 2761 ცალი სანათი; განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა.

2.6 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 2,464.9 ათასი ლარი დაფინანსდა 2,391.3 ათასი ლარით. გეგმის 97%.

დასახული შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა. ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს "თბილსერვის ჯგუფი" ატარებს სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად და სანიაღვრე კოლექტორში გავლით) – 199,98 კმ; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმმიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და არასტანდარტული ჭების გაწმენდა – 24 400 ც; კიუვეტების გაწმენდა – 18 800 გრძ.მ; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც.ტექნიკის გამოყენებით – 92 296 გრძ.მ; დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების და ყრუ ხუფების შეცვლა – 601 ც.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება.

2.7 ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2015 წლის გეგმა 2,104.3 ათასი ლარი დაფინანსდა 2,018.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: წმ.გიორგის მონუმენტზე ნაძვის ხის კომპოზიციის დემონტაჟი; საახალწლო ნაძვის ხეების დემონტაჟი; საახალწლო ილუმინაციების დემონტაჟის მომსახურება; იაკობ ტრიპოლსკის მემორიალური დაფა; დავით კაკაბაძის ძეგლის მონტაჟი; აკაკი წერეთლის ძეგლის კვარცხლბეკის და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაცია; სოფიკო ჭიაურელის ძეგლის აღდგენა; ოლივერ და მარჯორი უორდროპების ძეგლის დიზაინი; გიორგი ჭანტურიას ბიუსტის გადატანის

სამუშაოები; გრიგოლ აბაშიძის ბიუსტის განთავსების სამუშაოები; კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის კვარცხლბეკის სარესტავრაციო სამუშაოები; ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლის აღდგენა-რესტავრაცია; გიგა ლორთქიფანიძის ბიუსტის განთავსება; მაქსიმ გორკის ძეგლის კვარცხლბეკის სარემონტო სამუშაოები; მემორალური დაფების დამზადება მონტაჟი; სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა; საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გასაფორმებელი დეკორაციების შესყიდვა; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა; ვილნიუსის სახელობის სკვერში არსებული მანიშნებელი აბრის მონტაჟის სამუშაოები; 2015-2016 წწ. სადღესასწაულო ღონისძიებების ფარგლებში, პროგრამიდან დაფინანსდა: საახალწლო ილუმინაციების შეძენა, აღდგენა და მონტაჟი; საახალწლო კონსტრუქციების დამზადება და მონტაჟი; სკამების დაქირავება; საახალწლო კარიბჭის მოწყობის მიზნით სხვადასხვა დეკორაციების შესყიდვა; საახალწლო ნაძვის ხის შეძენა; წმ. გიორგის მონუმენტზე ნაძვის ხის კონსტრუქციის მონტაჟი; ლითონის ბაგირების, ლითონის დამჭერების და სხვადასხვა მასალების შესყიდვა. ასევე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 4.2 ათასი ლარი, იაკობ ტრიპოლსკის მემორიალური დაფის (ბარელიეფის) დამზადებისათვის.

მიღწეული შეუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 26 კულტურული და გასართობი ღონისძიებების გაფორმებითი სამუშაოები; დედაქალაქის ესთეტიური იერსახის უზრუნველყოფა; განხორციელებული ღონისძიებებზე მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოება.

2.8 მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 1,200.0 ათასი ლარი დაფინანსდა 1,067.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 89%-ია

დასახული შუალედური შედეგები: ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება; სატრანსპორტო კვანძების განტვირთვა; მოგვარებული სანიტარული პრობლემები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე: გმირთა მოედნის მიწისქვეშა კომპლექსის რეაბილიტაცია (არსებული საპირფარეშოს და ახალის მოწყობა); ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის და ჭაბუკიანის ქუჩის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია; ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან თბილისის მერიის შენობის მხარეს მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია (ახალი საპირფარეშოს მოწყობა); შავთელის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია (არსებული საპირფარეშოს რეაბილიტაცია); გმირთა მოედნის და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ მაგისტრალზე (ყოფილი იპოდრომის და "მზიური"-ს მიმდებარე ტერიტორიები) მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაცია; ვაკის პარკის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელში ვერტიკალური ლიფტის მოწყობა და ოპერის მიმდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ჰორიზონტალური ლიფტის მოწყობა; მიწისქვეშა გადასასვლელებისთვის სამეთვალყურეო სისტემების შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი და ინსტალაცია-ინტეგრაცია). ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 92.4 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 5 მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია და 3 მოდერნიზაციის პროექტი.

2.9 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 35,938.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 36,828.6 ათასი ლარის 97.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

2.9.1 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 4,496.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,053.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 90%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან; ქალაქის იერსახის გალამაზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: ქ.თბილისის მასშტაბით (ისტორიული თბილისის გარდა) ქუჩის დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების დამზადება და მონტაჟი; ისტორიული თბილისის მასშტაბით ქუჩის დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების დამზადება და მონტაჟი; გლდანისა და იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების 24 საათიანი დაცვის მომსახურების შესყიდვა; რუსთავის გზატკეცილზე, ფონიჭალასთან ჩამოშლილი კლდის გრუნტის ნაშალის გატანა; აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 58 მეტრის სიმაღლეზე მონუმენტის ავარიული ფრაგმენტების გამაგრება-ფიქსაციის სამუშაოები; ვაკის პარკის ლითონის ჭიშკრის შესყიდვა; სადროშე კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები; რუსთავის გზატკეცილიდან ზემო ფონიჭალისკენ მიმავალი საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ მდებარე კლდის ჩამოშლის შედეგად დაზიანებული საფეხმავლო ხიდის ერთი მალისა და ასასვლელი კიბის უჯრედის დემონაჟი, რეკონსტრუქცია და შემდგომი მონტაჟი; მოსწავლე -ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ფასადის სარემონტო-სამღებრო სამუშაოები; მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ცენტრალურ შესასვლელში არსებული ღია დერეფნის სარემონტო-სამღებრო და სასახლის შესასვლელის მინათების სამუშაოები; პარლამენტის შადრევნის რეაბილიტაცია; სარეკლამო კონსტრუქციების რეაბილიტაცია; ვანდალიზმის შედეგად დაზიანებული ფასადების მოწესრიგებისა და შეღებვის სამუშაოები; ფონიჭალის გზატკეცილზე ავარიული კლდოვანი ფენის მოხსნის და გატანის სამუშაოები; დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების (მარჯვენა და მარცენა სანაპიროები) აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; კლდეებიდან ჩამოშლილი კლდოვანი გრუნტის მასის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; გმირთა მოედანზე მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; ახალი მოაჯირების მოწყობის სამუშაოები;

ვაზიანის ქიმიურ ნივთიერებათა სამარხის მოვლა-პატრონობის მომსახურება; იუსტიციის ხიდის მოვლა; „მშვიდობის ხიდის“ მოვლა-პატრონობა; სასტუმრო “ამბასადორის” წინ, ავლაბრის მოედანზე, გულუას მოედანზე, აბანოთ უბანში - “ხოხობი”, აკად. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო) წინ, გორგასლის ქუჩაზე ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს პარლამენტის წინ, სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის (ფილარმონია) წინ, სახელმწიფო კანცელარიის წინ, თავისუფლების მოედანზე, შოთა რუსთაველის მონუმენტის წინ, საკრებულოს შენობის წინ, შადრევანი რიყის ტერიტორიაზე, ნუცუბიძის პლატო Iმ/რ-ში არსებულ ბაღში, ნუცუბიძის პლატო III მ/რ-ში არსებულ ბაღში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მარშალ ა. გელოვანის სკვერში, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47-ში არსებულ სკვერში, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბაღში, რუსთავის გზატკეცილი მე-19კმ, კორპუსი 2-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, კახეთის გზატკეცილზე, შსს-ს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში, ვაზისუბნის დასახლებაში, საბაგიროს ზემო სადგურთან, კორპუსი 17-18ა-ს მიმდებარედ არსებულ ბაღში, ვარკეთილის III მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ ბაღში, ვ.ჭაბუკიანის სახელობის ბაღში, ჩიტაიას ქ.2-ის მიმდებარედ არსებულ ბაღში, ხეთაგუროვის სახელობის ბაღში და ევროპის მოედნისა და ღვინის აღმართის კუთხესთან არსებულ სკვერში შადრევან აუზების მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; 9 აპრილის ქვედა ბაღში, 9 აპრილის ზედა ბაღში, ორბელიანის ბაღში, პუშკინის სკვერში, ვერის ბაღში, 300 არაგველის ბაღში, შარტავას ქ.#16-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, მრგვალ ბაღში, დავით აღმაშენებლის #127, #136, #149 და #157, ჯ. კახიძის ბაღში (ქანდაკებით), გოძიაშვილის ბაღში, ვილნიუსის ბაღში, ჟ. კალანდაძის სკვერში, 9 აპრილის ზედა ბაღში (დეკორატიული წყარო), 9 აპრილის ქვედა ბაღში (დეკორატიული წყარო), ვაკის პარკში, ჭავჭავაძის გამზ. 36-38, აღმაშენებლის 105-ში, მზიურის პარკში, მაიაკოვსკის ძეგლთან, ბუკიას ბაღში, ყაზბეგის გამზ-ზე და ჭავჭავაძის გამზირზე არსებული შადრევან აუზების მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; კლდეებიდან ჩამოშლილი კლდოვანი გრუნტის მასის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; გზის სავალი ნაწილის გამყოფი „კუნძულების“ სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქუჩის ნუმერაციის

აღმნიშვნელი მაჩვენებლები; დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების (მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები) აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; ვანდალიზმის შედეგად დაზიანებული ფასადების მოწესრიგება - შეღებვის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ქვეპროგრამის ფარგლებში დედაქალაქში განხორციელდა სხვადასხვა სახის კეთილმოწყობის 28 ღონისძიება.

2.9.8 ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2015 წლის გეგმა 3,381.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,304.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა; მოწესრიგებული სასაწყობო მეურნეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: **გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურება:** ხელოვნების სკოლების კონცერტი რიყის ტერიტორიაზე, ღონისძიებათა ციკლის ,,ქალთა კვირეულის'' უზრუნველყოფა სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულებაში, მინიფეხბურთში გლდანის ჩემპიონატი, ირლანდიის ეროვნული დღესასწაული - ,,წმ.პატრიკის დღე'', სპორტკომპლექს ,,არენა1''-ში ,,საერთაშორისო ცეკვის ოლიმპიადის'' უზრუნველსაყოფად, ,,დედამიწის საათისადმი'' მიძღვნილი კონცერტი, ელექტრონული მუსიკის ფესტივალის დახურვა, ქალთა და მამაკაცთა შორის ნარდში ქალაქ თბილისის მერიის თასის ღია გათამაშების, ქალაქ თბილისის საკრებულოში ინტელექტუალირი საკუთრების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, საყმაწვილო ფესტივალი ,,გაზაფხულის ფერია,, გლდანის პარკში ,,საგაზაფხულო ფესტივალი''-ს ღონისძიება, 16 მაისს სამების საკათედრო ტაძრისკენ საზეიმო მსვლელობა, კრწანისის რაიონში ,,ბეთლემის უბნის ფესტივალი'', საკრებულოს ჰოლში კულტურული მეწარმეობის ფესტივალის გახსნა, ფოტოკვირეული ,,ქოლგა

თბილისი ფოტო“-ს გახსნა, „ექსპო-ჯორჯიაში„ სილამაზის, მოდისა და სამკაულების გამოფენა, მეორე მსოფლიო ომის დასრულების დღესასწაულთან დაკავშირებით სოფელ დიღომში საზეიმო ღონისძიება, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, რიყის პარკის ტერიტორიაზე საქველმოქმედო კონცერტი, წმ.ნიკოლოზის სახელობის საქველმოქმედო ფორდის „უფლის შვილები“-ს მიერ გამართული საქველმოქმედო კონცერტი,ქართველ მოხალისეთა დღის აღსანიშნავად გამართული ღონისძიება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, სასტუმრო „ROOMS“-ში გამართული საქველმოქმედო კონცერტი, რიყის პარკის ტერიტორიაზე იოგას საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, საქველმოქმედო ღონისძიებები, მუშტაიდის ბაღში ფოლკლორული ფესტივალი, "თბილისობა-2015"-ის ღონისძიებები და 2015-2016 წწ საახლაწლო ღონისძიებები.

პროფესიონალური გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურება: ფონდ „იავნანას საქველმოქმედო კონცერტი, საქველმოქმედო კონცერტი სპორტის სასახლე, გიული ჩოხელის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი, რიშარ გალიანოს საიუბილეო პრემიერის უზრუნველსაყოფად, აქცია-კონცერტი „ხელოვანები და სპორტსმენები 4 წლის ზუკა მაკარიძის მხარდასაჭერად“, დათო ევგენიძის საიუბილეო კონცერტი, აქცია ფესტივალი „არა ძალადობა“, ელექტრონული მუსიკის ფესტივალის „Tbilisi Summer Set“, 9 მაისს ვაკის პარკის ტერიტორიაზე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიები, ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, აწყურის ღვთისმშობლის ხატის სამების საკათედრო ტაძარში გადაბრძანების ღონისძიება, ჯემალ ჭკუასელის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიება, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 24-ე ყოველწლიური შეხვედრა, საქველმოქმედო კონცერტი „ერთად სიცოცხლის სადარაჯოზე“, 31 მაისი პოეტისა და მომღერლის საიათნოვას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, საქველმოქმედო მარათონი „ერთად გამარჯვებისათვის NO LIMITS“, 4 ივნისს სპორტის სასახლეში „Black star.Inc“-ის კონცერტი, მუსიკალური ფესტივალი „Tbilisi Open Air“, სახალხო ფესტივალი „არტ

გენი", "თბილისობა-2015"-ის ღონისძიებები და 2015-2016 წწ საახლაწლო ღონისძიებები.

გარდა ამისა, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა: სასცენო-საკონცერტო განათებისა და მინათების აპარატურით მომსახურება; საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებებს შორის მატჩის მიმდინარეობისას დიდი ზომის მონიტორით მომსახურება; 9 მაისს ვაკის პარკის ტერიტორიაზე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების უზრუნველსაყოფად დიდი ზომის მონიტორით მომსახურება; ბიოტუალეტით მომსახურება; ტვირთების გადაზიდვის მომსახურება; რიყის პარკში ყინულის მოედნის ექსპლუატაციის სამუშაოები; რკინის დამცავი ჯებირების აწყობა-ალაგება; კარვების მოწყობის მომსახურება; კარვების წმენდის მომსახურება; სპეცეფექტები და მხატვრული ფეიერვერკები; სხვადასხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიორებით, კოშკებით და ბეგრაუნდის კონსტრუქციებით მომსახურება; საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში დიდი ზომის მონიტორით მომსახურება; საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; ცენტრალური სცენის გასაფორმებელი დეკორაციებით მომსახურება; 2015 წლის 26 ივლისს, ოლიმპიური ფესტივალის გახსნის ცერემონიის პირდარირი ტრანსლირების უზრუნველსაყოფად, ვაკის პარკის ტერიტორიაზე დიდი ზომის მონიტორთ მომსახურება; საკონცერტო და ღონისძიებებისათვის საჭირო მონიტორებით მომსახურება; სარიტუალო ღონისძიებებისათვის ასევე ექსტერიერ-ინტერიერის გაფორმების, პრეზენტაციებისა ფორუმებისათვის თაიგულებისა და ყვავილების შესყიდვა; ღონისძიებების ელექტროფიცირება. ქვეპროგრამიდან ასევე დაფინანსდა: „არლის ფოტოგრაფიის ღამე“ - სხვადასხვა მომსახურება; „თბილისობა - 2015“ ფარგლებში: სასცენო დიზაინისა და სცენის დეკორაციის მომსახურება; პროექტორით მომსახურება; 2015-2016 წლის საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში: ყინულის მოედნის მონტაჟი და ექსპლოატაცია; სხვადასხვა მომსახურეობა; ციგურების შეძენა; სცენის დეკორაციებით მომსახურება. ასევე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 5.5 ათასი ლარი მ. მესხის სახელობის სტადიონზე სარაგბო

ტურნირის -„რაგბი ევროპის“ ჩემპიონატის ჩასატარებლად დიდი ზომის მონიტორის გახმოვანების აპარატურით დასამონტაჟებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მუნიციპალიტეტის მოძრავ ქონებაში არსებული საშუალებებით და რესურსებით, გახმოვანებით და სხვა გაფორმებითი მომსახურებებით უზრუნველყოფილი იქნა 68 ღონისძიება.

2.9.9 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსდა 85.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები; ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: კაპიტალური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (მონოლითური გადახურვით) - 340,4კვ.მ; კაპიტალური გადაუხურავი ან არამონოლითურად გადახურული შენობა-ნაგებობების და კაპიტალური ღობეების დემონტაჟი - 325,7კვ.მ; მსუბუქი კონსტრუქციის დემონტაჟი - 430,11კვ.მ; მარტივი ტიპის ღობეების მოხსნა - 1205,0 კვ.მ; 419,5 კუბ.მ - ნარჩენების ან დემონტაჟის შედეგად ნარჩენი კონსტრუქციების დატვირთვა ავტომანქანებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე ან სათანადოდ შერჩეულ დროებით დისლოკაციის ადგილზე; თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავების დამუშავება და გატანა - 21,4 კუბ.მ; ასევე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 44.9 ათასი ლარი 2015 წლის 14 ნოემბერს აგლაძის ქ.#37-ში ჩამონგრეული შენობა - ნაგებობის დემონტაჟის განხორციელების მიზნით.

2.9.10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 2,758.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, მათ შორის: დახმარება გაეწია რაიონში მდებარე 14 ეკლესიას, გადახდილია ილორის N14-ში, ლიბანის N33-ში და გლდანის მე-7 მ/რ კორპუსი N19ა-ში კომპაქტურად ჩასახლებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრებელი შენობის ელექტროენერგიის წყაროსთან მიერთების და წყალმომარაგების ქსელზე მიერთების საფასური; 247 ოჯახს დაუფინანსდა სახლის გაზიფიცირების ღირებულება (მათ შორის წინა წლის ფინანსურ ვალდებულებაზე და მიმდინარე წლის გაზიფიცირების სამუშაოებზე); შეძენილი იქნა 26 სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; ხარჯი გაწეულია სხვა დანარჩენი ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე; 21 მისამართზე დამონტაჟდა ხის ფანჩატური; დამონტაჟდა 346 საბაღე სკამი; მოეწყო და კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა 16 სპორტულ მოედანს; 35 მისამართზე მოეწყო ქუჩის კიბეები; 12 კორპუსზე განხორციელდა ავარიული დეტალების (ელემენტები, პარაპეტები, წინაფრები) სარეაბილიტაციო სამუშაოები; ხარჯი გაწეულია გაზის აფეთქების შედეგად გლდანის მე-2 მ/რ კორპუსი N25-ში დაზიანებული კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაზე; ხარჯი გაწეულია გლდანის 1-ელ მ/რ კორპუსი N21-ის დაზიანებული სახურავის ნაწილის რეაბილიტაციაში; სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ძლიერი ქარის და წვიმის შედეგად დაზიანებული 5 საცხოვრებელი კორპუსის სახურავს; 5 მისამართზე განხორციელდა რკინა-ბეტონის სამუშაოები; 12 ქუჩაზე განხორციელდა შშმ პირებისთვის განკუთვნილი 390 პანდუსის მოწყობა; დაფინანსებულია მუხიანში დუმბაძის პროსპექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები (კიბეების, საყრდენი კედლების, შშმ პირებისათვის პანდუსების და კიბის ბაქნების მოპირკეთების სამუშაოები); 5 მისამართზე განხორციელდა საყრდენი კედელის აღდგენის და 10 მისამართზე განხორციელდა სკვერების მოწყობის სამუშაოები; 5 მისამართზე განხორციელდა მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია; ასევე,

გაწეულია ლიბანის ქუჩის N6-ში მდებარე ავარიული კორპუსის მდგრადობის ექსპერტიზაზე. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 53.6 ათასი ლარი. ასევე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 58.1 ათასი ლარი უწერის ქუჩა #11-ში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული კორპუსის სახურავის შესაკეთებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 45 მისამართზე მიწისქვეშა კომუნიკაციების, საყრდენი კედლების და ქუჩის კიბეების მოწყობა; სპორტული მოედნის და სკვერის მოწყობა 26 მისამართზე; 12 ქუჩაზე განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის განკუთვნილი 390 პანდუსის მოწყობა; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - 247 მოქალაქის ინდივიდუალური გაზიფიცირების სამუშაოები; 23 მისამართზე კორპუსის ავარიული ელემენტების, რკინა ბეტონის და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 14 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

2.9.11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 2,000.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: 13 მისამართზე შესრულდა საკანალიზაციო, სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; 17 მისამართზე შესრულდა კორპუსებიდან სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელად კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; რაიონში ცოტნე დადიანის ქუჩაზე, შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის მოეწყო 70 ერთეული პანდუსი; ფინანსური დახმარება გაეწია 14 ეკლესია-მონასტერს; შეძენილი და დამონტაჟებულ იქნა 150 ერთეული საბაღე სკამი; 4 მისამართზე დაფინანსებულია სკვერისა და გამწვანებული ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები; 19 ობიექტზე დაფინანსებულია

საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; დაფინანსებულია 12 ობიექტზე სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები; დაფინანსებულია რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი 91 ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები. ასევე, შესრულდა 4 ქუჩის საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება, გზის დამჭერი საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; გაწეულია დეფექტური აქტების შედგენასა და ლაბორატორიული კვლევით მომსახურეობის ხარჯები. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 153.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 13 მისამართზე შესრულდა საკანალიზაციო, სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; 17 მისამართზე შესრულდა კორპუსებიდან სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელად კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; მოეწყო 70 ერთეული პანდუსი; ფინანსური დახმარება გაეწია 14 ეკლესია-მონასტერს; შეძენილი და დამონტაჟებულია 150 ერთეული საბაღე სკამი; 19 ობიექტზე საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და სკვერის მოწყობა 16 ობიექტზე; სოციალურად დაუცველი 91 ოჯახის გაზიფიცირება.

2.9.12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 3,988.1 ათასი ლარი დაფინანსდა 3,954.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: მეტრო "დიდუბიდან" ა/ს "დიდუბემდე" მიმდებარედ. დ/მ I კვ. #10 კორპუსის მიმდებარედ; დ/მ მე-2 კვ. #13; #16-17 კორპუსების მიმდებარედ; დ/მ III კვ. #39-ე კორპუსის მიმდებარედ; დ/მ IV კვ. #4; #9-10

კორპუსების მიმდებარედ; დ/მ V კვ. #6; #12; #14-25 ; #18; #19; #22-23 კორპუსების მიმდებარედ; დ/მ VI კვ. #13 კორპუსის უკან; სამტრედიის ქ.#4 კორპუსის მიმდებარედ; აკ.წერეთლის გამზირი #87ა; მოხდა არსებული საფეხმავლო ბილიკების აღდგენა-რეაბილიტაცია:დ/მ 2 კვ.მე-12 კორპ; დ/მ 4 კვ. #23 კორპუსი; დ/მ 4 კვ. #8 კორპუსი; დ/მ 4 კვ. #26 კორპუსი; დ/მ 4 კვ. #14 კორპ; დ/მ 3 კვ. #32 კორპ; დ/მ 3 კვ. #35 კორპ; დ/მ 6კვ. #13;14 კორპუსები; გაფრინდაულის ქ #6; მირცხულავას ქ #16; მოწყო ახალი სკვერი: დიღმის მასივის I კვ. მე-8 კორპუსის მიმდებარედ; დიღმის მასივის II კვ. მე-4 კორპუსის მიმდებარედ; დიღმის მასივის III კვ. მე-20 კორპუსი; დიღმის მასივის IV კვ. მე-19 კორპუსის მიმდებარედ; დიღმის მასივის V კვ. 21-ე კორპუსის მიმდებარედ; დ/მ 6 კვ. მე-2, მე-18; 21-ე კორპუსის მიმდებარედ; დიღმის მასივის 6 კვ. მე-10 კორპუსის მიმდებარედ; თ.მღვდლის ქ.#13-ის მიმდებარედ; სოხუმის ქ.#8 (ზუგდიდის ქ#12)-ის მიმდებარედ; ჯ.ბალანჩინის ქ.#32-ის მიმდებარედ; ლუბლიანას ქ#21 კორპ. 1-2; აკ.წერეთლის გამზ. მე-9 მე-10 კორპუსთან; აგლაძის ქ.#37ა, დ/მ 6კვ. #21-ე, მე-18, მე-2, კორპუსი, ლუბლიანას ქ.#21 კორპ. #1-2; არსებული სკვერების შეკეთების სამუშაოები განხორციელდა: დ/მ 1 კვ.#3-3ა; #7; #8; #9; #14ა; #14; კორპუსების წინ; დ/მ 2 კვ. კორპ. #1; #2, #3; #8; #11; #12; #13; კორპუსების წინ და #1; #4-ის კორპუსების უკან; დ/მ 3 კვ. #1;# 7; #8; #9; #14; #33 კორპუსების წინ ; დ/მ 4 კვარტალი #6; #5ა; კორპუსები; დ/მ 5 კვ. #1; #1ა; #18; #14 კორპუსების წინ; დ/მ 6 კვ. #1; #2;#3; #6; #12; #13, #15, #19, #20; #22 კორპუსების წინ და #22 კორპუსის გვერდზე; ევდოშვილის 2/10, აგლაძის ქ #26, წერეთლის გამზ. #63; #77, მირცხულავას ქ.#3, სამტრედიის ქ.#1; #2; #3,# 21,მირცხულავას ქუჩისა და სანაპიროს გადაკვეთა. ჩატარდა საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟის და სათამაშო მოედნის მოწყობის სამუშაოები: დ/მ 1 კვ. კორპ. #10; დ/მ 2 კვ. კორპ. #1;7; დ/მ მე-3 კვ. მე-8, 34-ე კორპუსების მიმდებარე ტერიტორია. დ/მ 3 კვ. კორპ. #1; 33; დ/მ 5 კვ. კორპ. #15; #9; დ/მ მე-6 კვ. # 6; #7-8; #11; #21; კორპუსებს შორის ტერიტორია, დ/მ 6 კვ. კორპ. #19; # 22; ლუბლიანას ქ#1, აგლაძის ქ#26; დ/მ 6 კვ. კორპ. #18 ; ბელიაშვილის ქ.#40 კორპ. #2 მიმდებარე ტერიტორია. მოეწყო ახალი სპორტული მოედნები: ბელიაშვილის ქ#12-ში, გ. ტერევენკოს ქ#36; სამტრედიის ქ#3-ის კორპუსთან; ლუბლიანას ქ#4-ში, აბასთუმნის ქ#4-ში, დ/მ 5 კვ. მე-20 კორპუსი. არსებული

2015 წლის გეგმა 2,795.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ვიზიტორების უსაფრთხოება, კომფორტული დასვენებისა და გართობის ადგილი; ცხოველების არსებობის პირობების გაუმჯობესება; საერთაშორისო სტანდარტის ზოოპარკის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ექსპონატების (ცხოველების) კვების, კომუნალური გადასახადების, მედიკამენტების შეძენის, სამედიცინო - ვეტერინარული მომსახურების, სამეურნეო და საკანცელარიო საქონელის შეძენის, შენობა ნაგებობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვა მოწყობილობების მიმდინარე რემონტის, ევროპული ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის საწევრო გადასახადის, ზოოპარკის ბალანსზე არსებული ა/მანქანებზე გახარჯული საწვავის და მიმდინარე შეკეთების, საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურების, მარკეტინგული და გასართობი ღონისძიებების, ახალი სახეობების შემოყვანა, ცოცხალი კოლექციის გამდიდრება, ახალი ვოლიერის მშენებლობა და ძველის კაპიტალური რემონტი და სხვა ხარჯები. ამასთან, განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები კერძოდ, ენდემური და გადაშენების პირას მყოფი ცხოველების თავშესაფრით უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით; ეკოლოგიური განათლების გავრცელება საზოგადოების ფართო ფენებში; საჯარო სკოლებთან თანამშრომლობა, მოსწავლეებში ველური ბუნების მიმართ ჯანსაღი და სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზნით (ზოოპარკში მოქმედი საგანმანათლებლო ცენტრის ფარგლებში); მიმდინარე წლის 13 ივნისს დატრიალებული სტიქიის შემდეგ

ზოოპარკი დროებით არ ფუნქციონირებდა, რამაც შესაბამისად გამოიწვია საკუთარი შემოსავლების შეჩერება. სტიქიამ აგრეთვე გამოიწვია ცხოველების ცოცხალი კოლექციის მნიშვნელოვანი შემცირება. სექტემბრიდან ზოოპარკმა დაიწყო ფუნქციონირება და განხორციელდა ზოოპარკის გახსნისათვის აუცილებელი სამუშაოები: ტერიტორიის გაწმენდა დასუფთავება; დაზიანებული ვოლიერების აღდგენა რეკონსტრუქცია, მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების აღდგენა, ტერიტორიის შემოღობვა, ასფალტის საფარის დაგება, მარტივი ტიპის ვოლიერების მშენებლობა ახალი ცხოველების ჩამოსაყვანად, ეგზოტარიუმის განყოფილების განახლება, კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოელ სპეციალისტებთან და სხვა.

შეფასების ინდიკატორები: ზოოლოგიურ პარკში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 273000;

3.3.2 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 1,072.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,053.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ვიზიტორების უსაფრთხოება, კომფორტული და შინაარსიანი დასვენება; საერთაშორისო ბოტანიკური ბაღის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურება, კომუნალური გადასახადების, ტრანსპრტის ხარჯები და სხვა ხარჯები; ძველი ორანჟერიის შენობის კეთილმოწყობის მიზნით ჩატარდა კაპიტალური სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები; გარემონტდა ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ვიზიტორთა სახლი, 5 სარწყავი აუზი (ბასეინი); საკოლექციო ნაკვეთებზე დამონტაჟდა ელექტროენერგიის კაბელები და რეაბილტაცია ჩაუტარდა წყლის მილებს, რომლითაც ხდება ამ ნაკვეთებზე წყლის მიწოდება; ჩატარდა ლეღვთახევის მარჯვენა ფერდზე განფენილი ბაღის ნაწილის

კანალიზაციის სისტემის გაყვანის სამუშაოები; მოხდა სარწყავი სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; ბაღის საპარკე ნაწილში ჩატარდა წყლის აუზების აღდგენითი სამუშაოები; შეძენილ იქნა ორი ავტომანქანა და 5 სამთო ველოსიპედი დამთვალიერებლებისათვის, შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა 30 ბაღის სკამი და 20 სანაგვე ურნა; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორ ისტორიულ აუზს; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჩანჩქერთან მისასვლელ ბილიკებს, ამოშენდა ბორდიურები, დამონტაჟდა სკამები და სანაგვე ურნები; 1200 კვ. მ. სავალ გზაზე დაიგო დეკორატიული ბილიკები, მოაჯირები და ბორდიურები ახალი ტექნოლოგიით (ფიბრო ცემენტი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა გვირაბთან არსებული დეკორატიული კუთხის გზებს, რაბატებსა და ბორდიურებს; რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო მოედანზე არსებულ ფანჩატურს; მოეწყო გვირაბთან სასმელი წყლის შადრევანი; კაპიტალურად გარემონტდა წყლის სატუმბ სადგურში ტუმბოს ელექტრო გამშვები; ბაღის ისტორიული ნაწილის (არბორეტუმი) ტერასებზე აღდგა არსებული და მოეწყო ახალი კიბეები; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა კვიპაროსების ხეივანში არსებულ და ცენტრალურ შესასვლელთან არსებული საზოგადოებრივ ტუალეტებს; დამონტაჟდა სკამები და მაგიდა; შეძენილ იქნა „იტალქარის“ ფირმის ახალი 6-კაციანი ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტურ სპეციფიკასთან ადაპტირებული იტალიური წარმოების 2 ელექტრომობილი, მცირე საბაღე ინვენტარი - ხელის მინი ტრაქტორი, ორმოების ამომღები მოწყობილობა, მცირე ზომის, ხელით გადასატანი მერქნის დამაქუცმაცებელი (შრედერი), სპეც-ტანსაცმელი და სამუშაო ფეხსაცმელი ბაღის ყველა თანამშრომლისთვის; სხვადასხვა ჯიშის ვარდები ბაღის დეკორაციებისთვის და კოლექციების გასამდიდრებლად; მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის მიზნით მცენარეების შესაწამლი ელექტრო და მექანიკური აპარატები, მიწა, ნაკელი, ტორფი, სხვადასხვა მინერალური სასუქები და სხვა;

მიმდინარეობს „კავკასიის თესლის ბანკის“ გაფართოების პროექტის მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებში შეძენილ და დამონტაჟებული იქნა 4 კონდიციონერი "თესლის ბანკისთვის"; მთელი წლის მანძილზე მოეწყო 17 ბოტანიკური ექსპედიცია, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, რომლის შედეგად შეგროვდა 100-ზე მეტი


საჰერბარიუმო ნიმუში, ცოცხალი კოლექციები შეივსო 53 სახეობის მცენარითა და 35 სახეობის მცენარის თესლებით;

პროგრამის „დესიდერატა“ ფარგლებში, საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნების 31 ბოტანიკურ ბაღში გაიგზავნა 346 სახეობის მცენარის თესლპაკეტები;


დაიბეჭდა ბიომრავალფეროვნების დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალების (თეზისები) კრებული; ბუკლეტების სახით დამზადდა ბაღის რუკა; დამზადდა და ბაღის შესასვლელში დამონტაჟდა ხის სტენდი, რომელზეც დატანილია ბაღის რუქა და სავალი მარშრუტები; გამოიცვალა ბავშვთა მოედანზე 12 ერთეული დაზიანებული სასწავლო-შემეცნებითი ბანერი; მცენარეთა კონსერვაციის ნაკვეთზე დამონტაჟდა ბანერები და ინფორმაციული აბრები; მოეწყო ნიადაგმცოდნეობისა და მცენარეთა დაცვის ლაბორატორია; რეაბილიტაცია ჩაუტარდა სანერგის ტერიტორიაზე მცირე ზომის (53 მ2) სათბურს (მეთესლეობის ლაბორატორია); ინტენსიურად ტარდება ეკოსკოლის გაკვეთილები სხვადასხვა სკოლის და ბაღის ბავშვებისთვის და სხვა.

შეფასების ინდიკატორები: ვიზიტორთა რაოდენობამ ბოტანიკურ ბაღში შეადგინა 175000.

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**



ათასი ლარი



4.1 მეწარმეობის მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 3,182.6 ათასი ლარი დაფინანდა 3,153.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მცირე და საშუალო ბიზნესების გაფართოების და ახალი მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა; სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ბიზნესების მხარდაჭერა; მეწარმეებისა და მეწარმეობის მსურველთათვის ბიზნესისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლება; მეწარმეობის, მ.შ. სოციალური მეწარმეობის სტიმულირება და პოპულარიზაცია; ინკლუზიური ტურიზმის, როგორც მეწარმეობის ახალი მიმართულების წარდგენა და პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების შესაძლებლობების განვითარების თაობაზე“, ასევე სატრენინგო კურსები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (მათ შორის მხედველობა შეზღუდული პირებისთვის) დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით; „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრსა“ და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან“ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014-2015“, “ინკლუზიური ტურიზმი III საერთაშორისო კონფერენცია“ (მოწვეული საერთაშორისო დონის ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება, გაწეული იქნა რიგი რეკომენდაციები თბილისისათვის ინკლუზიური ტურიზმის განვითარების მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების თობაზე, გამოიკვეთა დედაქალაქის მასშტაბით ინკლუზიური ტურიზმის კვლევის განხორციელების საჭიროება), „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრსა“ და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან“ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014-2015“ (გამოვლინდა გამარჯვებული ბიზნეს პროექტი, რომელსაც საგრანტო პროგრამის ფარგლებში ფინანსურ დახმარებას გაუწევს ზემოაღნიშნული ორგანიზაციები); PUM - თან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა უცხოელი ექსპერტის მოწვევა და მის მიერ ჩატარდა ტრენინგები "სასტუმროების მარკეტინგის მენეჯერებისათვის"; გაეწია ფინანსური მხარდაჭერა იაფი ფინანსური რესურსის მიღებაში ცამეტ საწარმოს, მათ შორის: შპს „ნეოლაბის“ (ბიზნესის გაფართოება), შპს „სასტუმრო ეპიკს“ (ახალი შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები), შპს „ჯორჯია 444“-ს (ბიზნესის გაფართოება), შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“(შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტექნიკის განახლება), შპს „სანს გრუფი“ (ძირითადი საშუალებების შეძენა და რეკლამა), შპს „ლუქსი“ (მატრასების წარმოება), ი/მ „იოსებ მამუკაშვილი“ (ძირითადი საშუალებების შეძენა) და შპს „ბუნება“ (სასტუმრო/ბიზნესცენტრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები), შპს ,,L.K“ (ხანძრის შედეგად განადგურებული მატრასებისა და რბილი ავეჯის წარმოების აღდგენა/გაფართოება), შპს ,,კოლორადო გრუპი“ (პოლიგრაფიული დანადგარების შეზენა), სს ,,ვერე XXI“ (არსებული კლინიკის გაფართოება-სამედიცინო აპარატურის შეძენა), შპს ,,დრ. როდგერ

კონტრაქტ ქლინინგს“ (სამრეცხაოს გაფართოება-თეთრეულის სარეცხი დანადგარების შეზენა), შპს „ალბიონი+“ (ხანძრის შედეგად დაზიანებული ბიზნესის აღდგენა). ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება 18.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაფინანსდა 13 მეწარმე; გადამზადება გაიარა 400-მა მეწარმემ და მზად არიან საკუთარი ბიზნესის უკეთ წარმართვისათვის; სოციალური მეწარმეობისა და შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით სატრენინგო კურსი გაიარა 150-მა მსმენელმა; შეიქმნა ახალი სოციალური საწარმო; პოპულარიზაცია გაეწია სოციალური მეწარმეების მიერ წარმოებულ პროდუქციას და მომსახურებას; ამაღლდა ცნობიერება და პოპულარიზაცია გაეწია ინკლუზიური ტურიზმის განვითრებას დედაქალაქში; 15 არაბრენდული სასტუმროს მენეჯერმა აიმაღლა კვალიფიკაცია სასტუმროს მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით.

4.3 თბილისის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 3.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის სტრატეგიების და კვლევების კოორდინირებული განახლება და შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ჩატარდა სამუშაო შეხვედრა „ქალაქზე არსებული სტრატეგიებისა და კვლევების სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით“ (მოხდა ინფორმაციის გაზიარება თბილისის სტრატეგიებთან და კვლევებთან დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სითი ინსტიტუტ საქართველოს, ეკონომიკის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შორის).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაგრძელდება ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა დაინტერესებულ მხარეებს შორის;

შემცირდება შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოების დუბლირების ფაქტები; დაიწყება მუშაობა იმ სამოქმედო არიალში, რომელზეც არცერთი მხარე არ მუშაობდა შეხვედრამდე.

4.4 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 134.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 131.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის პარტნიორ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავება; ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციის გაზრდა; თბილისისათვის სასურველი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი; "მერების შეთანხმების" ფარგლებში, ევროკავშირის მიერ დადგენილ ვადებში ჩატარებული ენერგეტიკის დღეები, განხორციელებული ენერგოეფექტური პროექტები და მერების შეთანხმების ყოველწლიურ კონფერენციაში ქ. თბილისის წარმოჩენა და შესაბამისი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩატარდა ერთობლივი აქტივობები: შედგა სამუშაო შეხვედრა პროექტის „თბილისი, როგორც საერთაშორისო კინოგადაღების ადგილი“ ფარგლებში (ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა), სამუშაო შეხვედრა: „თბილისი-გონიერი ქალაქი“, სამუშაო შეხვედრა ურბანული დაგეგმარების სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით ფრანგული ქალაქის (ბორდო) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით, ევროკავშირის ეგიდით და რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, საერთაშორისო ფინანსური შესაძლებლობებისა და ვაჭრობის ხელშეწყობა“; თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მერების შეთანხმების ყოველწლიურ კონფერენციაში, ასევე საერთაშორისო

ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრებში - გაწეული იქნა ბელარუსში, ლიტვაში, ჩეხეთში, ჩინეთში, უკრაინაში, ბელგიის სამეფოსა და თურქეთში მივლინების ხარჯები; ევროპული ენერგეტიკის კვირეულის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია „ენერგეტიკის დღეები 2015“, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოფენა და სტუდენტური არქიტექტორული კონკურსი, „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-8 საერთაშორისო ფორუმი“. გადახდილ იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის“ საწევრო გადასახადი და „ენერგოქალაქების ასოციაციაში“ გაწევრიანების საწევრო გადასახადი. ამასთან, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 26.2 ათასი ლარი მოხუცებულთა სახლისათვის საქვაბის სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-8 საერთაშორისო ფორუმის შედეგად დაიწყო პროექტი - მომავლის ქალაქი Morgenstadt. აგრეთვე, ფორუმზე განვითარებულმა დისკუსიამ გამოკვეთა გონიერი ქალაქის Smart Citys კონცეფციაზე მსჯელობის გაგრძელება და შედეგად გაიმართა შეხვედრა - „თბილისი-გონიერი ქალაქი“, თემაზე მუშაობა გრძელდება; „ენერგეტიკის დღეები 2015“-ის შესახებ ინფორმაცია და ანგარიში მომზადებულია; „მერების შეთანხმების“ ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილეობის ანგარიში მომზადებულია; გააქტიურდა თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში შემავალ ქალაქებთან; ქ. თბილისმა გაიმყარა პოზიციები ევროპის მთავარ ქალაქთა ქსელში და სამომავლოდ მნიშვნელოვანი გეგმები დასახა.

4.7 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 161.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 187.0 ათასი ლარის 87%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

4.7.2 შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 139.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 130.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 93%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოძრავი ქონების (საქონლის) საბაზრო (საცალო, საბითუმო) და სატარიფო ღირებულების განსაზღვრა და და საინჟინრო საექსპერტო მომსახურება; შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისა (18 მსმენელი) და ადმინისტრაციული წარმოების (14 მსმენელი) სატრენინგო კურსი.

4.7.3 სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 25.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 9.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 38%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის (ადმინისტრაცია და საქალაქო სამსახურები), სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შესასყიდი საქონლის, მომსახურების და სამუშაოს სავარაუდო ღირებულების დადგენის ხარჯები, მათ შორის: 10 000 ლარამდე ღირებულების 13 ობიექტზე; 10 000 ლარიდან 100 000 ლარამდე ღირებულების 52 ობიექტზე; 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე ღირებულების 30 ობიექტზე; 500 000 ლარს ზემოთ ღირებულების 3 ობიექტზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო ღირებულებას შორის სხვაობის მინიმიზაცია; სავარაუდო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობა.

4.7.4 სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროში ტრენინგების ჩატარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 22.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 22.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაიმართა ტრენინგები სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში შემავალი სსიპ-ის, ააიპ-ების და შპს-ების შესაბამის სფეროში მომსახურე პერსონალისათვის. დაფინანსების ძირითადი ნაწილი გახარჯულია ტრენინგზე მოწვეულთა სასტუმროთი უზრუნველყოფისათვის და ტრანსპორტით მომსახურებისათვის.

4.8 თბილისი - ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 318.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობასთან, სამოქალაქო სექტორთან და ბიზნესთან თანამშრომლობით მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება; საზოგადოების ჩართულობის გაზრდა მერიის მიერ დაგეგმილ და განსახორციელებელ ღონისძიებებში; ბიზნესთან და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება; ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; თბილისის კინოგადაღებისთვის მიმზიდველ ქალაქად პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილ იქნა

მობილური გიდის ტელეფონის სააბონენტო გადასახადი. შეძენილი იქნა საიმიჯო საქონელი: მუყაოს ჩანთები თბილისის ხედებით, საიმიჯო მაისურები, ფლეშ-მეხსიერებები და კალმები; ჩატარდა სამომავლო ტურისტული პროექტების ფორმირების მიზნით სამუშაო შეხვედრა; ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის ფარგლებში მოხდა საავტომობილო გვირაბების მოხატვა ფესტივალის ლოგოებით და სიმბოლიკებით და დედაქალაქში დამონტაჟდა 10 სხვადასხვა ზომის ოლიმპიადის სიმბოლოს ვიზუალის მქონე „ხოხბის“ ფორმის პნევმო-კონსტრუქცია; ოლიმპიადის სტუმრებისათვის შეიქმნა „თბილისის მასშტაბური რუკა“, რომელზეც დატანილი იყო ძველ თბილისში არსებული ტურისტულად მიმზიდველი ღირსშესანიშნაობები; ჩატარდა კონკურსი „თბილისის ბრენდირებული სუვენირის“ შესარჩევად; თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო: „ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-8 საერთაშორისო გამოფენაში; „მე-17 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში“; „ბიზნესის დაგეგმვის მიმართულებით ტრადიციული რეწვის ოსტატების გადამზადებაში“; თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში მოხდა ღვინის ფესტივალისათვის ხის კონსტრუქციით ღია და დახურული სივრცის, ასევე ტენტებით ტერიტორიის მოწყობა; მოხდა თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ორმხრივი სენსორული გარე საინფორმაციო ჯიხურების პროგრამებით უზრუნველყოფა; მოხდა ტურისტული ღირსშესანიშნაობების ბარკოდიანი აბრებით აღჭურვა (დამონტაჟდა ბარკოდიანი აბრები 59 ტურისტულ ღირსშესანიშნაობაზე); ძველი თბილისის მასშტაბით დამონტაჟდა „ძველი თბილისის გალავნის“ საფეხმავლო ტურის მანიშნებლები (თბილისის მუნიციპალიტეტის გერბით); თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის „პრომეთეს“ ფარგლებში ადგილობრივი კინომწარმოებლებისათვის ჩატარდა მასტერკლასი ბრიტანელი კინორეჟისორისა და ექსპერტის მარტა ფაინსის მიერ, რომელსაც დაესწრო 30 მსმენელი; საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებთან მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 44.7 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაღრმავდა მოსახლეობასთან, სამოქალაქო სექტორთან და ბიზნესთან თანამშრომლობა; „ძველი თბილისის გალავნის“ საფეხმავლო ტურის მანიშნებლების განთავსება 6კმ-მდე სიგრძის მონაკვეთზე; ტრადიციული რეწვის 25 ოსტატს ჩაუტარდა ტრენინგები მარკეტინგსა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიმართულებით; ინფორმაციის მიღების გამარტივების მიზნით დამონტაჟდა ბარკოდიანი აბრები 59 ტურისტულ ღირსშესანიშნაობაზე; ტურისტული აპარატების საშუალებით ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ გაიუმჯობესონ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები.

4.9 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 80.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 74.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 93%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქის საინვესტიციო ცნობადობის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო კანში უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაში „მიპიმი 2015“ და ქალაქ ლონდონში ჩატარებულ FDI ფორუმში. დაიბეჭდა „თბილისის საინვესტიციო კატალოგი“ და „საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები“; განთავსდა ინფორმაცია თბილისის შესახებ საერთაშორისო გამოცემა „Georgia Finance”-ში და FDI Magazine“-ში; გაწეულ იქნა თბილისის მერიის თანამშრომლების ჩინეთის რესპუბლიკაში და გერმანიის რესპუბლიკაში ჩატარებულ სემინარებში მონაწილეობის სამივლინებო ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ევროპის ინვესტორთათვის და საინვესტიციო კორპორაციებისათვის თბილისის საინვესტიციო შესაძლებლობების გაცნობა; დაინტერესებულ პირთათვის ქალაქის საინვესტიციო ცნობადობის ამაღლება, თბილისის შესახებ საინვესტიციო კლიმატის წარდგენა.

4.10 ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი

2015 წლის გეგმა 3,003.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,898.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის თვითმართველობის მიერ ქალაქის მაცხოვრებლებისთვის მიწოდებულ მუნიციპალურ სერვისებსა და პროდუქტებში ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები მათ შორის: პროექტის - „ბიზნეს ინკუბატორი“ ფარგლებში ტექნიკურ უნივერსიტეტში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა 2 ლაბორატორია. ლაბორატორიები აღიჭურვა 3 D პრინტერებით და სკანერებით; პროექტის - „ISO სისტემების დანეგვა“ ფარგლებში, სერთიფიკატის ISO 9001:2008 -ის მენეჯმენტის ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საკონსულტაციო ხარჯები; პროექტი - „ენერგო ეფექტური მუნიციპალური შენობა“, რომელიც გულისხმობდა თბილისის ერთ-ერთი ბაგა-ბაღის შერჩევას და ენერგო ეფექტური კონცეფციით მოწყობას, აღნიშნულის ფარგლებში შეირჩა თბილისის 95-ე ბაგა ბაღი. კომპანია ‘‘დაგენბახ ლენდსკეიპს’’-მა წარმოადგინა შენობის პროექტი; პროექტი - „ტრენინგი თვითმმართველობის მოხელეთათვის“ - წლის განმავლობასი სხვადასხვა მოდულში სწავლება ჩაუტარდა 500-მდე მოხელეს; თბილისის მერიის მოხელეთათვის დარგობრივი კომპიუტერული პროგრამებისა და ბიზნეს-ტექნიკური ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით ენაში გადამზადდა 70 მოხელე, 10-მა მსმენელმა გაიუმჯობესა ცოდნა საოფისე პროგრამებში და 10-მა მოხელემ დამატებით გაიარეს ტრენერთა ტრენინგი; პროექტის - IT ლაბორატორიის ფარგლებში შეიქმნა საცობების შესახებ მობილური აპლიკაცია; ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის IT ინფრასტუქტურის მოწყობისათვის შესყიდულ იქნა სხვადასხვა ტიპის სერვერები და კომპიუტერული ტექნიკა; პროექტის - "მწვანე ქუჩის" მშენებლობასთან დაკავშირებული არქიტექტურული კონცეფციის შესყიდვა

და სხვა პროექტები. ასევე, გაწეულია პროექტის - „პროფესიული სამყარო“ ფარგლებში სარეკლამო აპლიკაციის ხარჯები; პროექტ QR ბიბლიოთეკის ფარგლებში მეტროპოლიტენის სადგურში „სადგურის მოედანი“ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ და ელექტრონული წიგნების სახლი “საბას“ მიერ გაკეთდა „უფასო QR ბიბლიოთეკა“; პროექტის - „სითი ფორუმი“ ფარგლებში ბრენდირებული ჟილეტების, მაისურების, კეპების, აპლიკაციის ხარჯები და სხვა პროექტები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაღრმავდა მოსახლეობასთან, სამოქალაქო სექტორთან და ბიზნესთან თანამშრომლობა; ამაღლდა საზოგადოების ცნობიერება მწვანე ქალაქების კონცეფციის შესახებ; გადამზადება გაიარა 500-მდე მოხელემ.

4.12 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური

2015 წლის გეგმა 894.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დოკუმენტის მომზადება შექმნის დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების სამართლებრივ ქალაქგეგმარებით საფუძველს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საერთო სტრატეგიის ჩარჩოებში პროგნოზირებადი გარემოს შექმნას და როგორც შედეგი ქალაქმშენებლობითი საქმიანობის მონაწილეთა აქტივობის სტიმულირებას და ინტერესთა კოორდინაციას, უძრავი ქონების მესაკუთრეთა და ინვესტორებისათვის ობიექტის სამშენებლო განვითარებისა და გამოყენების რეალური სამართლებრივ გარანტიებს, აგრეთვე დარგობრივი დაგეგმარების დოკუმენტის გადაწყვეტების თავსებადობას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკურსი საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები (კონკურსის შედეგად შემოსული წინადადებების განხილვა, გამარჯვებულის გამოვლენა და გამარჯვებულთან დადებული ხელშეკრულების მომზადება) – 704.3 ათასი ლარი, საპროექტო მომსახურების – დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების შესყიდვის განხორციელების მიზნით გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულთათვის გადარიცხულმა

საპრიზო თანხამ შეადგინა 100.0 ათასი ლარი და დედაქალაქის განვითარების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტისათვის ავანსად გადახდილმა თანხამ შეადგინა 90.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დედაქალაქის სამრეწველო და პოლიტიკური ცენტრის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება; ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; რეკრეაციული საპარკო ზონების შენარჩუნება.

4.13 თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი

2015 წლის გეგმა 1,320.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,291.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კომპლექსური ინტელექტუალური, საინვესტიციო, საფინანსო, საკონსულტაციო, მატერიალურ-ტექნიკური ან/და არამატერიალური ღონისძიებების გატარებით დამატებული ღირებულების შექმნა ბენეფიციარი მეწარმეებისთვის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისთვის, ოფისის ხარჯებისათვის, კომპიუტერების შეძენისათვის, საბუღალტრო პროგრამა „ორისი“-ს შესაძენად და სხვა. ამასთან, საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ განხორციელდა 7 ღონისძიება:

თბილისში შემომყვანი ტურიზმის დარგის განვითარება: თბილისში ტურისტული ვიზიტით უცხოური ორგანიზაციებისა და უცხოელი ფიზიკური პირების დაინტერესების (შემომსვლელი ტურისტების ოდენობის გაზრდის) მიზნით განხორციელდა უცხოური ტურისტული კომპანიების გადაწყვეტილების მიმღები და გადაწყვეტილებაზე გავლენის მქონე პირებისა და უცხოელი ჟურნალისტების სარეკლამო-გაცნობითი ვიზიტები. კერძოდ, დაფინანსდა კომერციული და მარკეტინგული ღონისძიებების გატარებით თბილისში 4 სარეკლამო-გაცნობით ტურზე 44 ადამიანის ვიზიტი, ამათგან 37 უცხოური ტურისტული კომპანიების

გადაწყვეტილების მიმღები პირი და 7 უცხოელი ჟურნალისტი. შედეგად მიღებული იქნა: თბილისში გამართული B2B ფორუმების დროს შედგა 430 საქმიანი შეხვედრა ადგილობრივ და უცხოურ ტურისტულ კომპანიებს შორის; საქმიანი ურთიერთობა დაიწყო 80-მდე ქართულ და უცხოურ კომპანიას შორის; რუსული ტურისტულმა კომპანია **UTS**-მა დაამტკიცა პროექტი, რომლის შედეგადაც 2016 წლის მე-2 კვარტალში თბილისში გაიმართება რამოდენიმე დღიანი, 150 კაციანი MICE-ღონისძიება; ქართულმა ტურ-ოპერატორებმა ყაზახი კოლეგებისგან მიიღეს 4 შეკვეთა სარეკრეაციო ტურებზე (თბილისის მონახულების შემდეგ საირმეში დასვენება); გამოქვეყნდა 8 სტატია უცხოურ მედიაში: 4 სტატია ბელორუსულ მედიაში, 3 სტატია უკრაინულ მედიაში, 1 სტატია რუსულ მედიაში.

თბილისში ხალხური რეწვის დარგის განვითარება: მეწარმეთა ხელშეწყობის მათი პოტენციალის (წარმადობის, დატვირთვის, გამომუშავების და რეალიზაციის მაჩვენებლების) უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში განხორციელდა ხალხური რეწვის დარგში მოქმედი მეწარმეების გადაიარაღება და საახალწლო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. შედეგად მიღებული იქნა : გადაიარაღებული 8 ბენეფიციარი მეწარმე; 3 მსხვილ სავაჭრო ცენტრში ორგანიზებულ საახალწლო გამოფენა-გაყიდვებში 32 ბენეფიციარის მონაწილეობა 2 კვირის განმავლობაში - 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თბილისში სავარჯიშო-გამაჯანსაღებელი მომსახურების დარგის განვითარება: ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა სავარჯიშო-გამაჯანსაღებელი ცენტრი თბილისში (ძირითადი საშუალებების ხარჯების თანადაფინანსება), შეიქმნა 20 ახალი მუდმივი სამუშაო ადგილი, გაჩნდა 2,000 მუდმივი მომხმარებელი.

საწარმოთა მომსახურების, მათი პოტენციალის (წარმადობის, დატვირთვის, გამომუშავების და რეალიზაციის მაჩვენებლების) ზრდის უზრუნველყოფის მიზნით ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების დიაგნოსტიკური ეტაპის განხორციელება: ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა თბილისში მოქმედი საწარმოების ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების დიაგნოსტიკური ეტაპი, საწარმოთა მომსახურების, მათი პოტენციალის (წარმადობის, დატვირთვის, გამომუშავების და რეალიზაციის მაჩვენებლების) ზრდის უზრუნველყოფის მიზნით. შედეგად მიღებული იქნა :

6 ბენეფიციარი კომპანიისათვის შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები და დეტალური სამოქმედო გეგმები.

თბილისში მოქმედ ან/და ასამოქმედებელ საწარმოებში ინვესტიციებისა და დაფინანსების მოზიდვა/გაზრდის მიზნით შესაბამისი პროექტების განხორციელებისათვის საინვესტიციო წინადადებების, რეკომენდაციების და სამოქმედო გეგმების შემუშავება: 3 ბენეფიციარი კომპანიისათვის კაპიტალის მოზიდვის მიზნით შემუშავდა კონკრეტული საინვესტიციო წინადადებები.


ქ.თბილისში მოქმედი მეწარმეებისთვის/სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მსურველი ფიზიკური პირებისთვის, სამეწარმეო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით, მენეჯმენტში და მარკეტინგში ტრენინგის ორგანიზება: ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა მენეჯმენტსა და მარკეტინგში 100 მოქმედი და დამწყები მეწარმის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის 60 მენეჯმენტში და 40 მარკეტინგში.

ქ.თბილისის HoReCA სფეროსთვის სომელიეების (ღვინის მცოდნეების) სწავლება - გადამზადების კურსის ორგანიზება: ქ. თბილისში შემომყვანი ტურიზმის დარგის ღირებულებით ჯაჭვში შემავალი კომპანიებისათვის შესაბამისი ტრენინგების ორგანიზების მიზნით, ტენდერის საფუძველზე შეირჩა მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ორგანიზაცია - „სომელიეთა ასოციაცია“, რომელთან თანამშრომლობითაც გადამზადდა 35 HoReCa სფეროს წარმომადგენელი.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: განხორციელდა შვიდი წარმატებული ღონისძიება და პროექტი; გამოქვეყნდა 8 სტატია უცხოურ მედიაში; შემუშავდა კონკრეტული საინვესტიციო წინადადებები.

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**


ათასი ლარი



ათასი ლარი



5.1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 30,325.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 30,502.0 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:



5.1.8 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 1,800.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: 106 საცხოვრებელი კორპუსის სახურავს ჩაუტარდა კაპიტალური რეაბილიტაცია რომელთა საერთო ფართობმა შეადგინა 45767 კვ.მ; 43 სადარბაზოს მეტალის კარის შეცვლა; განხორციელდა 15 სადარბაზოს სარემონტო სამუშაოები; 17 კორპუსს ჩაუტარდა სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია; 22 მისამართზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა კორპუსის წყალსაწრეტ მილებს; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 77 ლიფტს; 22 მისამართზე განხორციელდა კორპუსის შიდა წყალკანალიზაციის რეაბილიტაცია; 22 სადარბაზოში გამოიცვალა სადარბაზოს კიბეების საფეხურები; 3 კორპუსში დამონტაჟდა სადარბაზოს სენსორული განათებები; ხარჯი გაიწია ლიფტების სარეაბილიტაციო სამუშაოების

ტექზედამხედველობაზე; 3 კორპუსში განხორციელდა ტერიტორიის გამიჯვნის სამუშაოები; განხორციელდა 3 საცხოვრებულ კორპუსის კაპიტალური გამაგრების პროექტის დაფინანსება; 1 მისამართზე განხორციელდა სადარბაზოს ვიდეო-აუდიო სისტემის (დომოფონი) მონტაჟი. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 32.9 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - 106 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის კაპიტალური რეაბილიტაცია; 43 სადარბაზოს მეტალის კარის შეცვლა; 15 სადარბაზოს სარემონტო სამუშაოები; 17 კორპუსის სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია; 44 მისამართზე კორპუსის წყალსაწრეტი მილების და შიდა წყალკანალიზაციის რეაბილიტაცია; 77 მისამართზე ლიფტის რეაბილიტაცია; 22 სადარბაზოს კიბეების საფეხურების შეცვალა; 3 კორპუსში სადარბაზოს სენსორული განათებების დამონტაჟება; 3 კორპუსში ტერიტორიის გამიჯვნის სამუშაოები; 3 საცხოვრებული კორპუსის კაპიტალური გამაგრების პროექტის დაფინანსება.

5.1.9 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 3,001.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,994.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: 45 ობიექტზე შესრულდა 21251 კვ.მ ფართის ბრტყელი სახურავის შეკეთების სამუშაოები; 27 ობიექტზე შესრულდა 50 სადარბაზოს წყალსაწრეტი მილის შეკეთება-მონტაჟის სამუშაოები; 58 ობიექტზე 136 სადარბაზოს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები; 1 ობიექტზე შესრულდა იტალიური ეზოს კაპიტალური გამაგრების საპროექტო სამუშაოები; 33 ობიექტზე შესრულდა 69

სადარბაზოს შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების სამუშაოები; 19 ობიექტზე ჩატარდა 53 სადარბაზოს სართულშორის ნაპრალების რეაბილიტაციის სამუშაოები; 27 ობიექტზე შესრულდა 20871 კვ.მ ფართის ქანობიანი სახურავის შეკეთების სამუშაოები; 2 ობიექტზე შესრულდა კაპიტალური გამაგრების პროექტის შედგენის სამუშაოები; 17 ობიექტზე 37 სადარბაზოს ჩაუტარდა კიბის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; 37 ობიექტზე 38 ლიფტს ჩაუტარდა შეკეთების სამუშაოები; 5 ობიექტზე შესრულდა 13 სადარბაზოს მეტალის კარის მონტაჟის სამუშაოები; 1 ობიექტზე შესრულდა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გამიჯვნის სამუშაოები; 8 ობიექტზე პირველ-მეორე სართულებზე მოეწყო პანდუსები; 1 ობიექტზე შესრულდა 2 სადარბაზოს სენსორული განათების სამუშაოები. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება 71.2 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - ლიფტების შეკეთება - 37 ობიექტზე ; 72 ობიექტზე - 42122 კვ.მ ფართის ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება; 60 ობიექტზე - 119 სადარბაზოს წყალსაწრეტი მილის და წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება-მონტაჟი; 94 ობიექტზე 226 სადარბაზოს, სადარბაზოს კიბეების და სართულშორის ნაპრალების რემონტი; 3 ობიექტზე კაპიტალური გამაგრების პროექტის შედგენა; 5 ობიექტზე 13 სადარბაზოს მეტალის კარის მონტაჟი; 1 ობიექტზე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გამიჯვნის სამუშაოები; 8 ობიექტზე პირველ-მეორე სართულებზე პანდუსების მოწყობა; 1 ობიექტზე 2 სადარბაზოს სენსორული განათება.

5.1.10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 4,234.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,216.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სამოქალაქო საზოგადოების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართვა ქალაქისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარების საქმეში; საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ–კანალიზაციის ქსელების შეცვლა – შეკეთება შესრულდა 28 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოს რემონტი შესრულდა 146 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ქანობიანი სახურავის შეცვლა – შეკეთება 45 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბრტყელი სახურავის შეცვლა – შეკეთება 52 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოს კარების, ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა შეკეთება შესრულდა 44 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოების სენსორული განათება შესრულდა 7 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების კაპიტალური გამაგრება შესრულდა 14 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ხის, ქვის და ლითონის კიბეების აღდგენა შესრულდა 8 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების გამაგრების არქიტექტურულ – სამშენებლო პროექტის მომზადება შესრულდა 13 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში წყალსაწრეტი მილების შეცვლა შესრულდა 41 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების მიმდინარე შეკეთება შესრულდა 70 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოს შესავლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის ე.წ. „დომოფონი“ დამონტაჟდა 4 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა 2 მისამართზე

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - წყალსაწრეტი მილების და შიდა წყალ–კანალიზაციის ქსელების შეცვლა – შეკეთება 69 მისამართი; სადარბაზოს რემონტი შესრულდა 146 მისამართი; ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეცვლა – შეკეთება 97 მისამართი; სადარბაზოს კარების, ეზოს საერთო

სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა-შეკეთება 44 მისამართი; სადარბაზოების სენსორული განათება 7 მისამართი; სახლების კაპიტალური გამაგრება 14 მისამართი; საცხოვრებელ სახლებში ხის, ქვის და ლითონის კიბეების აღდგენა 8 მისამართი; საცხოვრებელ სახლების გამაგრების არქიტექტურულ – სამშენებლო პროექტის მომზადება 13 მისამართი; ლიფტების შეკეთება 70 მისამართი; სადარბაზოს შესავლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის ე.წ. „დომოფონი“ დამონტაჟდა 4 მისამართი; საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა 2 მისამართი.

5.1.11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 4,249.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აქტივობის ზრდა და მათი მოთხოვნების შესაბამისად თანადაფინანსების პრინციპით მრავალბინიანი კორპუსების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეკეთდა 47225 კვ.მ ბრტყელი/ქანობიანი სახურავი 157 მისამართზე; ლიფტის შეკეთება 10 მისამართზე; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 52 მისამართზე; საცხოვრებელი სახლების სახურავების წყალსაწრეტი მილების აღდგენა 22 მისამართზე; ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა 23 მისამართზე; სადარბაზოების შიდა რემონტი 34 მისამართზე; საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 21 მისამართზე, სადარბაზოების სენსორული განათების სამუშაოები 2 მისამართზე, საცხოვრებელი კორპუსების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები 66 მისამართზე; საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა 13 მისამართზე, სადარბაზოს შესასვლელის „დომოფონის“ დამონტაჟება 1 მისამართზე და ასევე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.

შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება - 47225 კვ.მ; ლიფტების შეკეთება - 10 მისამართი; წყალკანალიზაციის და წყალსაწრეტი მილების შეკეთება - 74 მისამართი; ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის მონტაჟი - 23 მისამართი; სადარბაზოს რემონტი, აივნების და კიბის შეკეთება - 68 მისამართი; სენსორული ნათების მონტაჟი - 2 მისამართი; შენობის კაპიტალური გამაგრება - 66 მისამართი.

5.1.12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 2,364.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,363.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%.

დასახული შუალედური შედეგები: საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართვა მოქალაქეების ყოფითი პრობლემების გაუმჯობესებაში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეკეთდა 22950/25000 კვ.მ ბრტყელი/ქანობიანი სახურავი 107 მისამართზე; ლიფტის შეკეთება 91 მისამართზე; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 45 მისამართზე; საცხოვრებელი სახლების სახურავების წყალსაწრეტი მილების აღდგენა 41 მისამართზე; ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა 15 მისამართზე; სადარბაზოს თაღების რემონტი 10 მისამართზე, სადარბაზოების შიდა რემონტი 37 მისამართზე; საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 22 მისამართზე, სადარბაზოების სენსორული განათების სამუშაოები 9 მისამართზე, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრება 3 მისამართზე, საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა 1 მისამართზე; სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 2 მისამართზე, დომოფონის მონტაჟი 5 მისამართზე, პანდუსი 1 მისამართზე. დაფინანსდა აგრეთვე ლიფტების ზედამხედველობის, საპროექტო და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები. ამასთან, საანგარიშო

პერიოდში დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 204.0 ათასი ლარი.

შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება - 47950 კვ.მ, ლიფტების შეკეთება - 91 მისამართი, წყალკანალიზაციის და წყალსაწრეტი მილების შეკეთება - 86 მისამართი, ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის მონტაჟი - 15 მისამართი, სადარბაზოს რემონტი და კიბის შეკეთება - 69 მისამართი; სენსორული ნათების მონტაჟი - 9 მისამართი, შენობის კაპიტალური გამაგრება - 3 მისამართი, პანდუსი 1 მისამართი, დომოფონის მონტაჟი - 5 მისამართი.

5.1.13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 3,476.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,459.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი სახურავების შეკეთება 109 მისამართზე, ლიფტის შეკეთება 173 მისამართზე; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 58 მისამართზე; სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება 27 მისამართზე, საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 3 მისამართზე, სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი 17 მისამართზე, სადარბაზოების შიდა რემონტი 97 მისამართზე, სადარბაზოების სენსორული სანათების მონტაჟი 3 მისამართზე, სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 20 მისამართზე, დომოფონის მონტაჟი 2 მისამართზე, წითელ ზოლებში ტერიტორიის დაფიქსირება 3 მისამართზე. ამასთან,

დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 131.8 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - ლიფტების შეკეთება და რეაბილიტაცია - 173 მისამართი; სადარბაზოების შიდა რემონტი 97 მისამართი; სადარბაზოს კარების მონტაჟი - 17 მისამართი; წყალკანალიზაციის და წყალსაწრეტი მილების შეკეთება - 85 მისამართი; ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება - 109 მისამართი; კიბის შეკეთება და სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია - 23 მისამართი; დომოფონის დამზადება-მონტაჟი - 2 მისამართი; სენსორული ნათების მონტაჟი - 3 მისამართი.

5.1.14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 3,163.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,148.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ჩართვა ქალაქისთვის აქტუალური პრობლემების მოგვარების საქმეში; საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: 99 ობიექტზე განხორციელდა ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთების სამუშაოები, 57 ობიექტზე ლიფტების შეკეთების სამუშაოები, 17 ობიექტზე განხორციელდა არქიტექტურულ სამშენებლო პროექტის მომზადებისა და პროექტის ექსპერტიზის სამუშაოები, 22 ობიექტზე განხორციელდა წყალკანალიზაციის შეკეთების სამუშაოები, 28 ობიექტზე განხორციელდა სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთების სამუშაოები, 10 ობიექტზე ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენის სამუშაოები, 3 ობიექტზე ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირების სამუშაოები, 9 ობიექტზე განხორციელდა სართულშორისი ნაპრალების რეაბილიტაციის სამუშაოები, 106 ობიექტზე

განხორციელდა სადარბაზოების შიდა სარემონტო სამუშაოები, 2 ობიექტზე განხორციელდა საერთო სარგებლობის ხის, ქვის და ლითონის კიბეების შეკეთების სამუშაოები; 6 ობიექტზე განხორციელდა სენსორული განათების მონტაჟი, 8 ობიექტზე განხორციელდა შენობების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 8.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - ლიფტების შეკეთება - 87 ობიექტი; ეზოს ჭიშკრის აღდგენა - 10 ობიექტი; წყალკანალიზაციის და წყალსაწრეტი მილების შეკეთება - 50 ობიექტი; შენობის კაპიტალური გამაგრება - 8 მისამართი; ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება - 99 ობიექტი; სადარბაზოს რემონტი, კიბის შეკეთება და სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია - 117 მისამართი; ტერიტორიის დაფიქსირების სამუშაოები - 3 მისამართი; სენსორული ნათების მონტაჟი - 6 მისამართი.

5.1.15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 3,967.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,954.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სამოქალაქო საზოგადოების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ჩართულობა ქალაქისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარების საქმეში; ამხანაგობების მაცხოვრებლების საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეკეთდა ბრტყელი და ქანობიანი 109 სახურავი, 40 ლიფტის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები, 59 მისამართზე შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება, ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრისა და სადარბაზოს კარებების აღდგენა 24 მისამართზე, 32 მისამართზე დამონტაჟდა

სენსორული განათება, 22 კორპუსის სართულშორისი ნაპრალების რეაბილიტაცია, 62 კორპუსში წყალსაწრეტი მილების შეკეთება, 127 მისამართზე სადარბაზოს შიდა რემონტი, 1 კორპუსის გამაგრება, საერთო სარგებლობის ხის, ქვის, და ლითონის კიბეების რეაბილიტაცია 13 მისამართზე, დომოფონის დამონტაჟება 1 მისამართზე, კორპუსის წითელი ხაზების დაფიქსირების სამუშაოები 8 მისამართზე, განხორციელდა არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და პროექტის ექსპერტიზის სამუშაოები 2 მისამართზე. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 292.0 ათასი ლარი.

შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - ლიფტების შეკეთება - 40 მისამართი; ეზოს ჭიშკრის და სადარბაზოს კარებების აღდგენა - 24 მისამართი; წყალკანალიზაციის და წყალსაწრეტი მილების შეკეთება - 121 მისამართი; ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება - 109 მისამართი; შენობის კაპიტალური გამაგრება - 1 მისამართი; სადარბაზოს რემონტი, კიბის შეკეთება და სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია - 162 მისამართი; ტერიტორიის დაფიქსირების სამუშაოები - 8 მისამართი; დომოფონის დამზადება-მონტაჟი - 1 მისამართი; სენსორული ნათების მონტაჟი - 32 მისამართი.

5.1.16 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 1,920.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,822.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 95%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, ამხანაგობების მიერ და მერიის თანამონაწილეობით (თანადაფინანსებით) საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავების შეკეთება 12189/6419 კვ.მ - 18/19 მისამართზე, ლიფტის შეკეთება 23 მისამართზე; შიდა

წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 27 მისამართზე, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება 6 მისამართზე, ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა, სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი 6 მისამართზე, ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირება (წითელ ზოლებში მოქცევა) 1 მისამართზე, სადარბაზოების რემონტი 2 მისამართზე, კიბეების აღდგენა-შეკეთება 2 მისამართზე, სენსორული ნათების მონტაჟი 2 მისამართზე და შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრება 6 მისამართზე. დაფინანსდა აგრეთვე საპროექტო და ექსპერტიზის მომსახურეობის ხარჯები. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 500.0 ათასი ლარი.

შეფასების ინდიკატორები: ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა - ლიფტების შეკეთება და რეაბილიტაცია - 23 მისამართი; შენობების კაპიტალური გამაგრება - 6 მისამართი; წყალკანალიზაციის და წყალსაწრეტი მილების შეკეთება - 33 მისამართი; ეზოს ჭიშკრის აღდგენა და სადარბაზოს კარების მონტაჟი - 6 მისამართი; ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება - 18608 კვ.მ; სადარბაზოს რემონტი და კიბეების აღდგენა-შეკეთება - 4 მისამართი; სენსორული ნათების მონტაჟი - 2 მისამართი.

5.1.17 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში

ჩატარდა ქ.თბილისის კიევის ქ.# 2- ში მდებარე ბაგა-ბაღის შენობის და #109 ბაღის ცალკე მდგომ შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, მიმდინარეობს ზემო ფონიჭალის ყოფილი 206 საბავშვო ბაგა-ბაღის კაპიტალური რემონტი - 974.9 ათასი ლარის ოდენობით.

39 საბავშვო ბაგა-ბაღში განხორციელდა საბავშვო ატრაქციონების მოწყობა 798.1 ათასი ლარის ოდენობით.

ახალი საბავშვო ბაღებისთვის შეძენილია სხვადასხვა მანქანა დანადგარები, ინვენტარი და სხვა მცირეფასიანი აქტივები.

თბილისის საბავშვო ბაღების ეზოების ასფალტ-ბეტონით მოწყობის სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე: #34, #31, #197, #153, #136, #71, ტაბახმელას ბაღი და გელოვანის #4-ში მდებარე ბაღი, ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა საბავშვო ბაგა-ბაღებში - #56, #209 და #216.

ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება 37.1 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საბავშვო ატრაქციონების მოწყობა 39 ბაგა-ბაღში, ცენტრალური გათბობისა და ცხელი წყლის მონტაჟი 15 ბაგა-ბაღში, ღობეები და ეზოების ასფალტ-ბეტონით მოწყობა და რეაბილიტაცია 23 ბაგა-ბაღში, აშენდა 3 ახალი ბაგა-ბაღი.

7.2 ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,824.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,972.0 ათასი ლარის 95%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

7.2.1 ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 65.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 63.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოხდება მოზარდებში ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, განხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტები/ინიციატივები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ეფექტიანად განხორციელებისათვის შემუშავდა შესაბამისი საპროექტო განაცხადის ფორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა განაცხადების განხილვა. განხორციელდა სამუშაო შეხვედრები თბილისის საჯარო სკოლების დირექტორებთან და რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან, რომლის მიზანს წარმოადგენდა ზოგადი განათლების მიმართულებით დედაქალაქში არსებული პროგრამების შესახებ მათი ინფორმირება და ზემოთ აღნიშნული კონკურსის დაანონსება; გამოცხადდა კონკურსი „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“ ორ ეტაპად; სულ შემოვიდა 118 პროექტი, კომისიის გადაწყვეტილების შედეგად დაფინანსდა 27 პროექტი, რომლებიც განხორციელების პროცესშია.

მიმდინარე კვარტლებში, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და სკოლის სამეურვეო საბჭოს მომართვის საფუძველზე მეცამეტე კლასი დაუფინანსდა 3 მოსწავლეს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროექტებში ბენეფიციარების ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი; საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული აქტივობები; 27 დაფინანსებული წარმატებული პროექტი.

7.2.3 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2015 წლის გეგმა 1,537.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,442.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 94%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი და მაღალმხატვრული პროდუქცია

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო” – 1,241.7 ათასი ლარით, რომელიც ახორციელებს მერიის ვებ-გვერდის ტექნიკურ - ვიზუალურ, საინფორმაციო და ფოტო მომსახურებას, გაწეულია სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები (შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტი და სხვა). ასევე, გაწეულია პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროექტებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი;

7.2.4 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2015 წლის გეგმა 1,220.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,168.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოებრივი ჩართულობის დონის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონული გამგეობების დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ ვიდეო-რგოლების განთავსება საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხების საშუალებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ღონისძიებების პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლირება, მასთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური საშუალებების, ტელე-ოპერატორებისა და რეჟისორების მომსახურებით. ასევე, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 217.8 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 4 სატელევიზიო არხზე 427 ჯერ განთავსდა სარეკლამო ვიდეო რგოლი; ტელევიზიებში განთავსდა რეკლამა ქრონომეტრაჟით 45/30 წამი; რეკლამები განთავსდა სოციალურ ქსელში; დამზადდა 5 საინფორმაციო და 5 სიუჟეტური ხასიათის ვიდეო რგოლი; განხორციელდა 5 ღონისძიების პირდაპირი ტელე ტრანსლიაცია.

7.2.7 ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 150.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: შშმ მოსწავლეებისათვის გაიზრდება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ჩართულობის ხარისხი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პარასპორტის განვითარების ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ტრანსპორტით მომსახურებისათვის 2 ცალი ავტობუსის შესაძენად.

7.3 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,811.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,837.2 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

7.3.1 თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 2,187.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,165.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა; ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: დღეისათვის ფუნქციონირებს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 35 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 5 ბიბლიოთეკა - სულ 40 ფილიალი, რომელშიც 2014 წლის ჩათვლით 45 140 ადამიანი გაწევრიანდა, ხოლო 2015 წელს კი 42 967 ადამიანი. საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, პრემია. შეძენილ იქნა სხვადასხვა თემატიკის წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, მცირეფასიან ინვენტარი, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი. აგრეთვე, გაწეულია კომუნალური მომსახურების, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა. განხორციელდა სარემონტო სამუშაოები. ამასთან, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის: ახალგაზრდა პოეტ ლელა თოთაძის შემოქმედებითი საღამო „ახალგაზრდებო აწ კი თქვენ“, მწერალ მამუკა წიკლაურის წიგნის პრეზენტაცია და შემოქმედებითი საღამო; „მეტი ვიცოდეთ ჩვენს მიერ საგანძურზე“, საღამო მიეძღვნა ედიშერ გარაყანიძის ხსოვნას; გაიმართა რეჟისორ გიორგი ოვაშვილის 2014 წლის ფილმის ,,სიმინდის კუნძულის'' ჩვენება, კინოჩვენებას ესწრებოდა ფილმის რეჟისორი და მსახიობები; მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სტუდიის შეხვედრა „პიონერფილმის“ მოსწავლეებთან, სკოლის მოსწავლეთა ბიზნეს პროექტების

პრეზენტაცია „ჩემი მომავალი ბიზნესი“, იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლი „მოყვასისათვის შეწირულები“, ჩატარდა შეხვედრა ბერ ერმოლაუსთან ,,სიცოცხლე ჩემთვის ქრისტეა" და მის მიერ გადმოქართულებული ჯოვანო პაპინის "იესო ქრისტეს ცხოვრების" წიგნების პრეზენტაცია, ჩატარდა ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილის საჯარო ლექცია თემაზე „ებრაელების შემოსვლა საქართველოში“, გაიმართა შეხვედრა კინორეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძესთან და მოეწყო მისი საავტორო ფილმის ჩვენება ,,დავიწყებული მეფე''; ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, ბიბლიოთეკის სტუმრები ინტერესით ადევნებენ თვალს ქართული ენის ისტორიის ამსახველ კადრებს, ასევე დოკუმენტურ ფილმებს ქართული ენის ისტორიის შესახებ; ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ლაშა გახარიას ხსოვნის საღამო; №12 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება ტიციან ტაბიძის დაბადებიდან 120-ე წლისთავთან დაკავშირებით; №53 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება, სადაც ბავშვებმა წარმოადგინეს მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიცია „ბიბლიოთეკის ტყვეობაში“; ლ.ასათიანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა გამოფენა „ჩვენი პლანეტა ცოცხალი ორგანიზმია, გავუფრთხილდეთ!“; №12 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „საქართველოში იბადებოდნენ“, №24 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „მამული, ენა, სარწმუნოება“, ლ.ასათიანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი „რომელი ზღაპრის გმირი ვარ“, №15 ბიბლიოთეკაში ჩატრდა მორის ფოცხიშვილის გახსენების საღამო „ლექსი სიყვარულის შედეგია“, №42 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „სოციალური გამოკვლევის შედეგები“, №60 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „სიყვარულო ძალსა შენსა“, №23 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „მთისა და ბარის მესაიდუმლე“, №7 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „ბაგრატთა სამეფო დინასტია“, №6 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „საოცრებანი ანბანთა ქვეყანაში“, №49 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „გაზაფხულია ჩვენს ქვეყანაში“, №56 ბიბლიოთეკაში ჩატრდა ღონისძიება წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა ნუნუ ლაღიძისა და ნანა დემატრაძის წიგნების წარდგენა და პოეზიის საღამო, ღონისძიებას ორგანიზება გაუწია თბილისის

მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა სალონმა „საგულისონი“; მთავარი ბიბლიოთეკის ეზოში, ღია ცის ქვეშ, ნაჩვენები იქნება მიხეილ კობახიძის მოკლე მეტრაჟიანი ფილმები; №63 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება, ლიტერატურული კომპოზიცია სახელწოდებით „დედა ენა“, ჩატარდა ღონისძიება "იუბილარი ბიბლიოთეკარები", №44 ბიბლიოთეკაში ჩატარდა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 175-ე წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება „იავნანამ რა ჰქმნა“, №55 ბიბლიოთეკაში ჩატარდა გიორგი ლეონიძის დაბადების 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება „მშობლიურ მიწაში მიდგას ფესვები“, №3 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „იოსებ ნონეშვილი-95“, №38 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ა.წერეთლის დაბადების 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ერთობა ჩვენთვის ხატია“, №26 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება-დისკუსია თემაზე „თაობათა შორის არსებული პრობლემები“, თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება მისი 106 წლის იუბილესთან დაკავშირებით; ასევე გაიმართა წიგნის პრეზენტაცია ''ქალი-სათნოება'', რომელიც მიეძღვნა ქალბატონ ციალა კალმახელიძეს; №23 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ექვთიმე თაყაიშვილის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება; თბილისის მთავარმა ბიბლიოთეკამ საფრანგეთში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს ეროვნული არქივის მხარდაჭერით მოაწყო კინოჩვენება, ფრანგი სცენარისტისა და რეჟისორის არმან გატის მიერ 1975-77 წლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმისა ''ქართველად ყოფნის სირთულე''; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის სალონი „საგულისონი“ ეწვია თბილისის №15 ბაგა-ბაღს, მ.გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ინტელექტუალური ვიქტორინა-თამაში „ყველაზე სხარტი, ჭკვიანი და მოაზროვნე“; საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ საკონცერტო დარბაზში მ. გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობით ჩატარდა ქ. თბილისის საჯარო და კერძო სკოლების მონაწილეობით საქველმოქმედო გალა-კონცერტი (13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, კინომცოდნე დავით გიგინეიშვილის წიგნის „წერილები ხელოვნებაზე“ წარდგენა; თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონი „საგულისონი“

სტუმრობს გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ მუზეუმს, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175–ე და გარდაცვალებიდან მე–100 წლისთავის აღსანიშნავ საჯარო ლექციაზე "გალაკტიონი და აკაკი" (ლექტორი, გალაკტიონოლოგი, შოთა რუსთაველის, საბასა და გალაკტიონის პრემიების ლაურეატი – ვახტანგ ჯავახაძე). 2015 წლის 1 თებერვლიდან ყოველ პარასკევს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკის №7 ფილიალში ფუნქციონირებს კინოკლუბი, სადაც იმართება ქართულად დუბლირებული კინოხელოვნების ნიმუშების ჩვენება. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონი „საგულისონი“ სტუმრობს გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ მუზეუმს, საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის დარბაზში თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა სალონმა “საგულისონი” მოაწყო საღამო სახელწოდებით „თავისუფალი ლიტერატურა“, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა ეწვია თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლას პროექტ "ზღაპრის სახლი"-ს ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბავშვთა ოთახს პროექტ "ზღაპრის სახლი"-ს ფარგლებში, მთავარმა ბიბლიოთეკამ ბავშვებს საჩუქრად გადასცა დისკები ,,ზღაპრები ზღაპრის სახლიდან". №26 ფილიალში გაიმართა მოსწავლეებისა და სტუდენტების შეხვედრა მწერალთან, ლიტერატურული კლუბის „ფანტასტი“-ს ხელმძღვანელთან ირაკლი ლომოურთან; 53-ე ფილიალში გაიმართა ახალგაზრდა მხატვრის დავით სარალიძის პერსონალური გამოფენა. სტუმრად იმყოფებოდა მხატვარი ზაალ სულაკაური, რომელმაც ჩაატარა მასტერკლასი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისებით სარგებლობს 42967 პირი; ჩატარდა 53 შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

7.3.2 თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 650.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 645.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების

შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა; ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: დღეისათვის ფუნქციონირებს მედიათეკის ვაკის და ვარკეთილის ფილიალი. თბილისის მედიათეკების გაერთიანებაში 2014 წლის ჩათვლით 3 518 ადამიანი გაწევრიანდა, ხოლო 2015 წელს კი 2 569 ადამიანი. საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა ხელფასები, პრემია. გაწეულია კომუნალური და ტრანსპორტის ხარჯები, შეძენილ იქნა სხვადასხვა თემატიკის წიგნები, ჟურნალები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი, ჩატარდა მცირე სარემონტო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის: თოჯინების თეატრის საახალწლო საკონცერტო წარმოდგენა; ალან ალექსანდრე მილნის „ვინი პუხის“ ავტორის იუბილესადმი მიძღვნილი საბავშვო-შემოქმედებითი დღე თემაზე „ვინი პუხი -ჩემი საყვარელი წიგნის გმირი“; www.msinfo.ge-ს ორგანიზებით Microsoft-ის სპეციალური ღონისძიება; მეუფე ნიკოლოზის შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან და 3 მოკლემეტრაჟანი ფილმის ჩვენება; დეა ვებერის ახალი კრებულის „ანამნეზი“ პრეზენტაცია; ჟიულ ვერნის დღე - „ვკითხულობთ და ვხატავთ ერთად“; ირაკლი ჩარკვიანი წიგნის - „პირადი წერილები“ პრეზენტაცია; სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის და მედიათეკის ორგანიზებით ახალგორიდან და ცხვინვალიდან დევნილი მოსწავლეებისა და მწერლების შეხვედრა-დაჯილდოება; ფონდ „ლიბერალური კვალისა“ და მედიათეკების გაერთიანების მიერ ორგანიზებული ღონისძიება მზრუნველობამოკლებული ბავშვების სტუმრობა; იოჰან სებასტიან ბახის 330-ე წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო აქცია „Bach in the suways 2015”, აქციაში ჩართულია 129 ქვეყანა მათ შორის საქართველო და მასში მონაწილეობას იღებდნენ ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ ორკესტრი; კლასიკურ-კალიგრაფიული ნიმუშებისა და კალიგრამების ჩვენება-გამოფენა, ციფრული პრეზენტაცია სახელწოდებით: „წიგნის და ხელნაწერის ისტორია“; გამომცემლობა "წიგნები ბათუმში" - ექვსი ახალი წიგნის პრეზენტაცია; მედიათეკის მსახიობებმა 13 ივნისის სტიქიის შედეგად

დაზარალებულ ბავშვებთან ერთად მოაწყეს ზღაპრის კითხვის და ხატვის საათი, ბევშვებს აჩვენეს თოჯინების თეატრის სპეაქტაკლი „ბატის ჭუკი“, მოეწყო ფურშეტი სტუმრებისთვის, დარიგდა საწევრო ბარათები და საჩუქრები; „შემოქმედებითი სახელოსნო - სალონის“ ორგანიზებით მულტიმედიურ დარბაზში სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისათვის გამართული გაკვეთილი-ლექცია „ პლანეტები და ციური სხეულები“; საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი ბიბლიოთეკების წარმომადგენლებთან შეხვედრა; მსოფლიო პრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით, მედიათეკის და ჟურნალი "ლიბერალი"-ს ერთობლივი ღონისძიება თემაზე: "რაში გვჭირდება პრესის თავისუფლება"; ოთარ ჭილაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაცია „აველუმი“-ის ორგანიზებით გაიმართა თანამედროვე პოეტის, პროზაიკოსის ანა ლაშხელი - ონიანის პოეზიის საღამო; საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაციის ორგანიზებით, მოეწყო შეხვედრა ცნობილ გერმანელ ექსპერტთან რონალდ შილდთან - წარადგინეს საქართველოში ახლახანს დანერგილი, მსოფლიოში გავრცელებული „ბუქს ინ პრინტის“ პროგრამა; გაიმართა ღონისძიება რადიარდ კიპლინგი - „ვკითხულობთ და ვხატავთ ერთად“, ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“-ს ფსიქოლოგები ვაკის ფილილაში შეხვდნენ მშობლებს თემაზე: „ბავშვის აღზრდის საკითხები და ფსიქოლოგიის რჩევები“, „შემოქმედებითი სახელოსნო-სალონის“ ორგანიზებით ვარკეთილის მულტუმედიურ დარბაზში სხვადასხვა სკოლის მოსწვალეებისთვის გაიმართა გაკვეთილი-ლექცია „პლანეტები და ციური სხეულები“, ს. ვირსალაძის სახელობის № 1 ხელოვნების სამხატვრო სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი ნახატების გამოფენა სახელწოდებით „ ვხატავთ ცირკს“, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის სკოლის მასწავლებლებთან შეხვედრა და ახალი პროექტის „ერთად წავიკითხოთ და განვიხილოთ წლის 4 საუკეთესო წიგნი“ პრეზენტაცია, "ქართულ-ამერიკული სკოლის" მეცხრე კლასის მოსწავლეები სტუმრობა მედიათეკაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში ღია გაკვეთილის ჩატარება, ენდი უირის ნაწარმოების "მარსელი" პრეზენტაცია, ვარკეთილის რაიონის სკოლის მასწავლებლებთან შეხვედრა და ახალი პროექტის „ერთად წავიკითხოთ და

განვიხილოთ წლის 4 საუკეთესო წიგნი“ პრეზენტაცია, „ვკითხულობთ და ვხატავთ ერთად“ - ოსკარ უაილდის დღე მედიათეკაში, ახალგაზრდა პოეტის ბარსელის ახალი კრებულის "ფერქარიები" პრეზენტაცია. მედიათეკის თანამშრომლების გასვლითი სემინარი ყვარელში. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრის ია მაკასარაშვილის შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაწეული სამუშაოს შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა, წიგნის "ვამპირული ომები: მეორე სიცოცხლე" პრეზენტაცია, „ვკითხულობთ და ვხატავთ ერთად“ - იაკობ გოგებაშვილის დღე მედიათეკაში, საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეების სტუმრობა მედიათეკაში, „ვკითხულობთ და ვხატავთ ერთად“ - სულხან-საბა ორბელიანის დღე მედიათეკაში, მართვის აკადემიის მიერ ორგანიზებული მასტერ კლასი თორნიკე გურულთან ერთად, პატარა მკითხველებს პეპი გრძელწინდამ უმასპინძლა, კერძო სკოლის "ოპიზა" მეხუთე კლასის მოსწავლეების სტუმრობა მედიათეკაში, ბაქსვუდის სკოლის მეორე კლასის მოსწავლეების სტუმრობა და ღია გაკვეთილი მედიათეკაში; თბილისის ბავშვთა სოფლის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი, სახელწოდებით „სააღმზრდელო გარემოს ეფექტურობის გაზრდა“, ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სახელწოდებით - „შეზღუდული არაფერია“, სკოლა „ბაქსვუდის“ სკოლამდელი აღსაზრდელების ვიზიტი მედიათეკაში, სკოლა „ბაქსვუდის“ მეორე კლასის მოსწავლეების ვიზიტი მედიათეკაში, „ფაშა ბანკისა“ და კომპანია „ფორვადის“ ერთობლივი ღონისძიება, თავისუფალი უნივერსიტეტისა და „თბილისის მედიათეკების აგერთიანების“ მიერ ორგანიზებული ღონისძიება მედიათეკაში, „არტ აქტივის მიერ ორგანიზებული გამოფენა-გაყიდვა, ორგანიზაცია „კავკასიური ფონდის“ მიერ ორგანიზებული ტრეინინგი „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ თანამშრომლებისათვის, მართვის აკადემიის ღონისძიება მედიათეკაში, ორგანიზაცია „კავკასიური ფონდის“ მიერ ორგანიზებული ტრეინინგი „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ თანამშრომლებისათვის, "თბილისის მედიათეკების გაერთიანების" ვაკის ფილიალში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა განახორციელა პროგრამა ,,პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა", რომლის მიზანია დაეხმაროს IX-XII კლასის

მოსწავლეებს პროფესიის შერჩევაში, საახალწლო საბავშვო პროექტი სკოლის მოსწავლეებისათვის "ინტელექტუალური ვიქტორინა" 2015-ს პირველი ეტაპი, მედიათეკის პატარა წევრების შეხვედრა პოეტ მაკა ბლიაძესთან - „ფიფქიანი ლექსები", საახალწლო საბავშვო პროექტი სკოლის მოსწავლეებისათვის "ინტელექტუალური ვიქტორინა" 2015-ს მეორე ეტაპი, მხატვარ ქეთევან დავლიანიძის პერსონალური გამოფენა, გ. მიქელაძის სახ.სახელმწიფო თოჯინების თეატრის სპექტაკლი „მხიარული მზესუმზირა", გ. მიქელაძის სახ.სახელმწიფო თოჯინების თეატრის სპექტაკლი „მხიარული მზესუმზირა", საახალწლო საბავშვო პროექტის სკოლის მოსწავლეებისათვის "ინტელექტუალური ვიქტორინის" 2015-ს დასკვნით ღონისძიება, საბავშვო საახალწლო პროექტის - „ჩემი საყვარელი წიგნის გმირის" დაჯილდოება, ვარკეთილის საახალწლო ღონისძიება კონცერტი ერთგული მკითხველების მონაწილეობით, დასკვნითი საახალწლო მეჯლისი, აქტიური მკითხველების დაჯილდოება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისებით სარგებლობს 2569 პირი; ჩატარდა 100-მდე შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

7.4 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 78.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 78.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: პროფესიული და ზრდასრულთა განათლების საშუალებით დედაქალაქის მაცხოვრებლები შეძლებენ შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ღირსეულ დასაქმებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციასთან ერთად განხორციელდა საზაფხულო სკოლის პროექტი, რომლის მიზანია სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების გზით, მოზარდებისა და ახალგაზრდების საზოგადოებრივი აქტივობის ხელშეწყობა,

პროექტი წარმატებით განხორციელდა ორ ეტაპად და ჯამში გადამზადდა 280 ბენეფიციარი, საზაფხულო სკოლის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები. განხორციელდა ასევე, პროექტი „ახალგაზრდები თვითმმართველობისთვის“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებისთვის თვითმმართველობის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა და ამ მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, პროექტში მონაწილეობა მიიღო 60-მა ბენეფიციარმა; შემუშავდა საკონკურსო პირობები „ზამთრის სკოლისთვის“, რომლის მიზანია არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, კონკურსის ფარგლებში შემოვიდა 15 პროექტი და პროექტების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად დაფინანსდა 8 პროექტი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: განხორციელებული 11 პროექტი; სხვადასხვა პროექტების ფარგლებში გადამზადებულ იქნა 340 ახალგაზრდა.

7.5 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 1,797.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,806.5 ათასი ლარის 99.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

7.5.1 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 112.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 108.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: შემუშავდება დედაქალაქის უწყვეტი განათლების გრძელვადიანი სტრატეგია; შეიქმნება პროგრამაში მონაწილეთა შერჩევის მექანიზმები და პროცედურები; ამაღლდება თანამშრომელთა კვალიფიკაცია; შემუშავდება პოლიტიკის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პროექტი - „მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?“,

მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 25 ქვეყნის 55 გუნდმა, თბილისს 1000-ზე მეტი მოაზროვნე და ინტელექტუალი ეწვია; მომზადდა „წარმატებული სტუდენტების წახალისების“ პროგრამა, რომლის საფუძველზეც მოხდა წარჩინებული და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ფინანსური წახალისება, 19 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა სერთიფიკატი გადასცა სახელმწიფო ავტორიზებული უნივერსიტეტის 82 წარჩინებულ სტუდენტს, რომელთაც დაერიცხათ სტიპენდია 450 ლარის ოდენობით. შემუშავდა გასვლითი სამუშაო შეხვედრის პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენა, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია განათლების პროგრამებისა და ახალგაზრდული მიმართულებების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად და ამის მიხედვით განისაზღვრა სამსახურის მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: „მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატში რა? სად? როდის?“ მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 25 ქვეყნის ათასამდე მოაზროვნემ; სტიპენტია გადაეცა 82 წარმატებულ მაგისტრანტ სტუდენტს.

7.5.2 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 279.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 275.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სტაჟირება გაიარონ იურიდიულ კლინიკაში და აიმაღლონ კვალიფიკაცია. ასევე, მიზნობრივ ჯგუფებს ექნებათ შესაბამისი იურიდიული კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჩართულობისა და სამართლებრივი დახმარებისა მუნიციპალური ცენტრის“ ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, საკანცელარიო საქონელის შეძენის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის და სხვა ხარჯები). ა(ა)იპ

„საზოგადოებრივი ჩართულობისა და სამართლებრივი დახმარებისა მუნიციპალური ცენტრმა“ განახორციელა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის: იურიდიული კლინიკის ფარგლებში განახორციელა მოქალაქეთა სამართლებრივი კონსულტაციები და სამართალშემოქმედების პროცესში პროგრამის მონაწილეთა ჩართვა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სტაჟირების უზრუნველყოფა და პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა; პროექტში დასაქმებული იყო 7 ტრენერ–ადვოკატი და 289 მოხალისე, მათ შორის 114 მოხალისე პრაქტიკანტი; 12 პასიური მოხალისე პრაქტიკანტი; 139 მაგისტრი პრაქტიკანტი და 24 მაგისტრი სტაჟიორი; საანგარიშო პერიოდში მოხალისეებმა გამოიმუშავეს გუნდური მუშაობის, საკუთარი აზრის ღიად და ნათლად დაფიქსირების, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების, პირადი სამუშოს დაგეგმვის, დატვირთულ რეჟიმში და სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარები და ასევე დისციპლინურობა, კომუნიკაბელურობა, ორგანიზებულობა; მოხალისეები პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის დროს, თეორიულ ცოდნას გარდასახავენ პრაქტიკულ საქმიანობაში, რელურ ქეისებში, რითაც იძენენ ფასდაუდებელ გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს მათი შემდგომი პროფესიული საქმიანობისა და განვითარებისათვის; პროექტ „იურიდიული კლინიკას“ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 9900 ფიზიკურმა პირმა, მათ შორის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფმა 1305 პირმა, 1732 პენსიონერმა, 253 იძულებით ადგილნაცვალმა პირმა და 137 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა; მომმართველთა მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხთა შორის აღსანიშნავია სამშენებლო ნებართვასთან, უძრავი ქონებასთან (მშენებლობა, ამხანაგობები, ე.წ. „ატსტუპნიკები“, აღიარება, ლეგალიზება, პრივატიზება) დაკავშირებული, აგრეთვე, სოციალური, სასარჩელო და სახელშეკრულებო საკითხები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მომმართველებს გაეწიათ შემდეგი სახის სამართლებრივი დახმარება: 6905 ზეპირი კონსულტაცია და 829 წერილობითი კონსულტაცია; შედგენილი იქნა 477 სამართლებრივი დოკუმენტი და 1689 სარჩელი, საჩივარი, შუამდგომლობა. პროექტის ფარგლებში მომართველთა თხოვნების საფუძველზე დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული

წარმოებებიდან (სულ 938 საქმე), წარმატებით დასრულდა 379 და მიმდინარეა 546 საქმე. აღნიშნულ საქმეებზე განხორციელდა 111 წარმომადგენლობა.

7.5.3 სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა ღირსეული დასაქმებისათვის

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 1,415.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლება და შესაბამისად შრომის ბაზარზე წარმატება/ღირსეული დასაქმება გახდება გაცილებით ხელმისაწვდომი; გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების განათლების ხარისხი და გაიზრდება შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის დონე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლების თანადაფინანსება სახელმწიფოს მიერ ავტორიზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური განათლების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ასევე სწავლების ერთი დამატებითი სემესტრი) საფეხურზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2553 სტუდენტი. ამასთან, განხორციელდა 2014 წელს შემოსულ განცხადებებზე რეაგირებაც, რის საფუძველზეც მოხდა 16 სტუდენტის დაფინანსება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სულ მცირე 1700 სოციალურად დაუცველი სტუდენტი არ გამოეთიშა უმაღლეს განათლებას სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო; გადაწყვეტილებების მიღების კრიტერიუმები გახდა გასაგები და სამართლიანი; გაიზრდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები; გაიზრდება დაფინანსებული სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლი; გაიზრდება დეფიციტურ პროფესიებზე მოთხოვნა.

7.6 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 1,336.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,320.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამაღლება.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სასახლის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა). ამასთან, განხორციელდა სხვადასხვა კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის: ნორჩ მხატვართა 52-ე რესპუბლიკური კონკურსის დასკვნითი ტური - გაიმართა გამოფენა - დაჯილდოება სასახლის საინჟინრო გრაფიკისა და არქიტექტურის კაბინეტის წრის მოსწავლეთა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტის მონაწილეობით; სასახლის გერმანული ენის წრის საანგარიშო საღამო - გაიმართ მე-12 კლასელების გაცილება - "ჩვენ არ გემშვიდობებით, მხოლოდ გეუბნებით - ნახვამდის!" სასახლის თოჯინების თეატრის დარბაზში გაიმართა სასახლის თეატრალური სახელოსნოს პოეზიის თეატრის სპექტაკლი "ლექსი თვითონ მწერს", რომელიც პოეტ ტიციან ტაბიძის დაბადების 120-ე წლისთავსა და რუსი მწერლის, ბორის პასტერნაკის 125-ე წლისთავს ეძღვნება; გაიმართა კონკურსის "იმედი ხვალის" გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოება; სასახლის ფოლკლორული სტუდიის შემოქმედებითმა კოლექტივებმა გამართეს სასწავლო წლის საანგარიშო კონცერტი; გაიხსნა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საზაფხულო ბანაკი „ცისარტყელა“; ფუნქციონირებდა ჟურნალისტიკის საზაფხულო სკოლა; ასევე „ამერიკულ კუთხეში“ ფუნქციონირებდა საზაფხულო სკოლა, რომელშიც 30 სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებული მოსწავლე ჩაერთო; ფოლკორული სტუდიის საანგარიშო საღამო - სასახლის ფოლკლორული სტუდიის შემოქმედებითმა კოლექტივებმა გამართეს სასწავლო წლის საანგარიშო კონცერტი; ქანდაკების წრის მოსწავლეთა საანგარიშო გამოფენა -

გამოფენის 50 მონაწილეს, I -XII კლასების მოსწავლეებს გადაეცათ სასახლის სიგელები; საზაფხულო სკოლა მეცნიერებას, ტექნოლოგიებს, ინჟინერიასა და მათემატიკას, ყოველდღიურ ცხოვრებაში მის მნიშვნელობას მიეძღვნა; ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა და მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პარტნიორობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან ერთად საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალის „ჯიფონი - საქართველო, 2015“ (Giffoni Georgia 2015) ჩატარებას; სასახლის ნოვაციებისა და მეთოდური მუშაობის ცენტრმა, ქალაქ ქუთაისის გამომგონებელთა კლუბთან ერთად ჩაატარა სემინარი თემაზე: „შემოქმედებითი აზროვნების განვითარება მოსწავლე ახალგაზრდებში“, რომლის მიზანია მოზარდებისთვის შემოქმედებითი, კრეატიული აზროვნების სწავლება, დამატებითი სწავლების პროცესში ახალი ტენდენციების გაცნობა, პედაგოგთა ინტეგრირება უახლესი სწავლების სფეროებში თანამედროვე მეთოდიკის გაცნობა; ჩატარდა „პიონერფილმის“ ხელმძღვანელის, კულტურის დამსახურებული მოღვაწის გრიგოლ ჩიგოგიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო; "თოვლის ბაბუის გახსენება" - საქართველოს რადიოს დიქტორის, ჯემალ მელქაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც სასახლის ტრადიციული საახალწლო ნაძვის ხის ზეიმის „თოვლის ბაბუა” იყო წლების განმავლობაში; განხორციელდა ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივი ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ (“Дружба Народов”) მე-8 ნომრის პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად საქართველოს, ქართულ ლიტერატურას მიეძღვნა; მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მედიასტუდია „დროს“ მოსწავლეებმა ჟურნალისთვის „Online თაობა“ მოამზადეს მასალები; სასახლის ნოვაციებისა და მეთოდური მუშაობის ცენტრის მიერ განხორციელდა ორდღიანი ტრენინგი, რომლის თემა იყო სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის, თიანეთის კულტურის ცენტრისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები გაეცნენ ახალ ტენდენციებს სკოლისგარეშე საქმიანობისა და დამატებითი სწავლების პროცესში და სხვა.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებული კულტურული, შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებები - 123; ტრეინინგ ლექცია - 60; გასვლითი ღონისძიება რაიონებში - 25; კონკურსი, შეჯიბრი, ასპარეზობა - 6; კონფერენცია კვირეული - 6; ღონისძიებებში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა - 15000.

❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

ათასი ლარი



ათასი ლარი



8.1 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,204.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,226.5 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

8.1.1 ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 561.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები; ახმეტელის თეატრთან არსებულ ახალგაზრდულ კლუბში ჩატარდა „არაძალადობასთან“ დაკავშირებული ლექცია-სემინარი; ცნობილი ჩეხი მწერლის კარელ ჩაპეკის პიესა "დედა"; ჯეიმს მეთიუ ბარის ნაწარმოების მიხედვით ზღაპარი „პიტერ პენი“; თეატრის მოწვევით ახალგაზრდა ბრაზილიელი რეჟისორი, პოსტ-ბოალის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი როდრიგო ფიშერი ეწვია. ფიშერმა 12, 13, 14 თებერვალს ახმეტელის თეატრში ჩაატარა მასტერკლასები უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლების სტუდენტებისა და ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანებისთვის, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის დასახმარებლად გაიმართა საქველმოქმედო სპექტაკლები; ტარტუს zero theatre-ის დასმა სანდრო ახმეტელის დრამატულ თეატრში წარმოადგინა სპექტაკლი „მორფი“; ახმეტელის თეატრმა სპექტაკლით „2+2=2“ მონაწილეობა მიიღო ბრაზილიის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე „Cena Contemporanea 2015”, საფრანგეთის ქალაქ ნანტში - პერფორმანსი „სამყაროს პირისპირ“ და თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში; გასტროლები ქვეყნის შიგნით 10 ქალაქში: 27 იანვარი, ბოლნისი, „მოძღვრის აღსარება“, 13 მარტი, რუსთავი, „პეპი გრძელიწინდა“ (სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის), 14 მაისი, მაჩხაანი, „მოძღვრის აღსარება“ (საქველმოქმედო, 30 წლის განმავლობაში, პირველად მაჩხაანის თეატრში სპექტაკლი ჩატარდა), 1 ივნისი, რუსთავი, „პიტერ პენის თავგადასავალი“ (სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის), 19 ივნისი, გორი,

„იმერული რეკვიემი“ (გორის კომედიის ფესტივალის ფარგლებში), 19 ივლისი, ქუთაისი, „იმერული რეკვიემი“, 30 სექტემბერი, სიღნაღი, „რაპუნცელი“, (საქველმოქმედო), 16 ნოემბერი, საგარეჯო, „მოძღვრის აღსარება“ (საქველმოქმედო), 27 დეკემბერი, ზუგდიდი, „პიტერ პენის თავგადასავალი“, 28 დეკემბერი, ხობი, „პიტერ პენის თავგადასავალი“;

განხორციელდა შემდეგი პრემიერები: კარელ ჩაპეკი „დედა“, ჯეიმს მეთიუ ბარი „პიტერ პენის თავგადასავალი“, ანტონინ მარტო „2+2=2“, ნოდარ დუმბაძე „ღმერთო, რისთვის?“, უილიამ შექსპირი „რომეო და ჯულიეტა“, „სამყაროს პირისპირ“, „ბაბილონის გოდოლი“, გოდერძი ჩოხელი „ბედისწერის თეატრი“, ჰანს ქრისტიან ანდერსენი „თოვლის დედოფალი“, ანტონ ჩეხოვი „ორი ვოდევილი სიყვარულზე“, ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი „მაკნატუნა“. გარდა ამისა, თეატრში ჩატარდა სხვადასხვა პროექტები, თეატრში წარმატებით დაინერგა გაყიდვების სისტემა, რაც განაპირობებს საკუთარი შემოსავლების ეფექტურ ზრდას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 11 სექტაკლის პრემიერა; მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 240. მაყურებელთა რაოდენობა 21881.

8.1.2 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 364.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 353.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები; შედგა 2 სპექტაკლის პრემიერა „საახალწლო ნაძვის ხე“, „წელიწადის ოთხი დრო“; გარდა ამისა ჩატარდა საახალწლო საბავშვო სპექტაკლი ,,წიგნი'' სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და სხვადასხვა ბავშვთა სახლის აღსაზრდელთათვის; საღამო, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ხსოვნას, „ბარსელის პოეზიის საღამო''; სპექტაკლი შ.პ.ს. ,,ანიკა'' ცერებრალური დამბლით

დაავადებულთა მონაწილეობით; სარეპერტუარო სპექტაკლები „კრიმანჭული“, „ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“, „ქრისტე“, „სონეტები“; თეატრის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდა „ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტონიმის ფესტივალი 2015“; ჩატარდა მასტერკლასები; თეატრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში; გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; პრემიერა „ლუარსაბი“; კომედიის ფესტივალის ფარგლებში სპექტაკლი „კრიმანჭული დაჯილდოვდა პრიზით საუკეთესო კომედიისათვის და მუსიკალური გაფორმებისათვის; თეატრმა მონაწილეობა მიიღო „ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი 2015“-ის გახსნაში; „თბილისობა 2015“-ის ფარგლებში გაიმართა ღონისძიება „რომელმან შექმნა სამყარო“, ჩატარდა მედიატაციური მუსიკის საღამო „შუშის კედლის მიღმა“, ქუჩის წარმოდგენა „პანტომიმის ბურთების შოუ“, ,,ამირან შალიკაშვილის სახელობის პამტომიმის ფესტივალი 2015“ (ფესტივალში მონაწილეობდნენ: იომი ,,პანტომიმური ნოველები“ გერმანია, ,,ჯვარცმული პოეტი“ საქართველო, ,,დოჯო-კი“ იაპონია, ,,შერანიკი“ სომხეთი, ,,ფსევდოკიეზის“ საქართველო, ,,სტოპ აიდს“ საქართველო, ,,მატრეარქატი,, საქართველო, ,,ოიდიპოსი“ (ქუთაისი) საქართველო, ,,მხიარული ნოველა“ საქართველო, ,,სტუმარ მასპინძელი“ საქართველო, „სონეტები“ საქართველო); ჩატარდა მასტერკლასები: მარკო სტოჟანოვიჩი (სერბეთი), მაკოტო ინოუე (იაპონია), გიორგი ოსეფაშვილი (საქართველი) და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 2 სპექტაკლის პრემიერა, სარეპერტუარო სპექტაკლების რაოდენობა 95, მაყურებელთა რაოდენობა 2404.

8.1.3 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 700.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა; თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და

ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია ფესტივალის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ხარჯები: დადგინდა და ჩამოყალიბდა ფესტივალის მრჩეველთა საბჭო, გამოცხადდა საკონკურსო პროგრამა „ნიუ“, ქართული შოუქეისი და საერთაშორისო პროგრამა „ NEW“, დამუშავდა ფესტივალის ახალი პროგრამა - თეატრალური ხელოვნების ტრენინგ ცენტრი, განისაზღვრა ფესტივალის პარტნიორები, კატალოგისთვის ტექსტების თარგმნა და დიზაინზე მუშაობა, განახლდა ფესტივალის ვებგვერდი, პროგრამის განაცხადი დაიგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების თეატრებში და ფესტივალებზე. განაცხადები მონაწილეობაზე შემოვიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. მიღებული აპლიკაციებიდან შეირჩა საუკეთესო სპექტაკლები ისრაელიდან, გერმანიიდან, ლიტვიდან, დიდი ბრიტანეთიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, უნგრეთიდან და ნორვეგიიდან). ფესტივალი გაიხსნა 22 სექტემბერს, ჩატარდა საერთაშორისო პროგრამა 24 სექტემბერი - 5 ოქტომბერი (8 სპექტაკლი) და პროგრამა “New” 24 სექტემბერი – 5 ოქტომბერი (4 სპექტაკლი), ქართული სპექტაკლების პროგრამა 5 – 8 ოქტომბერი, ქართული შოუქეისის სტუმრების რაოდენობა 73. ასევე, მოეწყო გამოფენები, ვორქშოფები და სემინარები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სპექტაკლების რაოდენობა თავისუფალ და მთავარ პროგრამაში 40; გაყიდული ბილეთები - 3 012; მაყურებელთა რაოდენობა სტუდენტების ჩათვლით - 5 000 ადამიანი

8.1.4 თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 121.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 115.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 95%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა კონკურსი სტენდების საუკეთესო დაიზაინზე და გამარჯვებული დიზაინის მიხედვით განხორციელდა თბილისის მაშტაბით მუნიციპალური თეატრების აფიშებისათვის სტენდების განთავსება (15 ლოკაცია). გარდა ამისა, დაფინანსდა ა(ა)იპ „სამეფო უბნის თეატრის“ გასტროლი ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში (ავია-ბილეთების თანხა). გასტროლის ფარგლებში თეატრმა მონაწილეობა მიიღო „II ახალგაზრდულ თატრალურ ფორუმში“; ა(ა)იპ „ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის“ ქართულ მუსიკალურ ბენდთან ერთად გასტროლი საფრანგეთის ქალაქ ნანტში „ნანტის კრეატიული თაობის ფორუმში“ მონაწილეობის მისაღებად; ა(ა)იპ „პანტომიმის სახელმწიფო თეატრის“ პროექტი „პანტომიმის ბურთების შოუ“ (“THE BUBBLE SHOW JUNIOR”), ე.წ. „ქუჩის წარმოდგენა“, თეატრალური კოსტიუმებისა და გიგანტური ბურთების გამოყენებით.

8.1.5 თეატრი „გლობუსი“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 210.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 210.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები; 2015 წლის განმავლობაში დაიდგა 3 ახალი სპექტაკლი: ს. მრევლიშვილის „სკამი“, რ. იბრაგიმბეკოვის „მკვლელობა კალიფორნიაში“, ე. ნინოშვილის „პარტახი“; სპექტაკლები, შეზღუდული რაოდენობით, ეპიზოდურად იმართებოდა „მსახიობის სახლში“, რუსთაველის თეატრის „ექსპერიმენტულ სცენაზე“ და მარჯანიშვილის თეატრის „სხვენში“; შოთა რუსთაველის სახელობის ექსპერიმენტალურ სცენაზე წარმოდგენილი იქნა ნიკოლაი გოგოლის სპექტაკლი "შეშლის წერილები"; მონო სპეკტაკლის მსახიობმა გაიმარჯვა ნომინაციაში წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 3 სექტაკლის პრემიერა, მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 26, მაყურებელთა რაოდენობა 741.

8.1.7 ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 70.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 64.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 92%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ააიპ „საქართველოს აუტიზმის საზოგადოების“ მიერ განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ინკლუზიური დასის ჩამოყალიბების მცდელობას, პროექტის ფარგლებში მოხდა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ გაპიესება, მოხდა მსახიობების შერჩევა, მუშაობა შემოქდებით ჯგუფთან, სპექტაკლისათვის დეკორაციისა და კოსტიუმების ესკიზების შექმნა შშმ პირთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, დეკორაციის სცენის განლაგება, პროფესიონალი ხელოვანების და შშმ პირების პროფესიული თანმშრომლობა, სპექტაკლზე მუშაობის ამსახველი დომუნტურ-საგანმანათლებლო ფილმის გადაღება და მომსახურების ამსახველი მოძრავი ფოტო-გამოფენის მოწყობა; მომზადებული ინტეგრირებული თეატრალური პროექტის „ფიროსმანის ზმანების“ ფარგლებში დაიდგა სპექტაკლი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შშმ პირების ჩართულობა თეატრალურ ხელოვნებაში.

8.1.8 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები;

მიმდინარე სპექტაკლები: ფრენკ ჟული“, „ბეჩავი“, „ტროელი ქალები“, „ტკივილი არის ახალგაზრდობა“, „სტრიპტიზი“, თეატრში თითქმის ერთი წელია ფუნქციონირებს თემურ ჩხეიძის სახელოსნო და გამოიცა "სამეფო უბნის თეატრის ბიბლიოთეკის" პირველ წიგნი - გამოჩენილი ბრიტანელი რეჟისორისა და თეატრის მკვლევარის კეიტი მიტჩელის „რეჟისორის ხელობა - სახელმძღვანელო თეატრისათვის“, წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „ტროელი ქალები“ 50-ე საიუბილეო წარმოდგენა, შედგა პრემიერები: სპექტაკლისა „მოახლეები“, თეატრისა და ვიზუალური ხელოვნების შერწყმით ბენო ვურჰემის სპექტაკლის „საზღვრებთან მოლოდინში“, თემურ ჩხეიძის სახელოსნოს სტუდენტების პირველი ერთობლივი ნამუშევარი „სამშობლო“, თეატრმა მონაწილეობა მიიღო ბათუმში ჩატარებულ თეატრალურ ფესტივალში, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი ,,გილგამეში” და „მოახლეები“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 4 სექტაკლის პრემიერა; მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 79. მაყურებელთა რაოდენობა 7759.

8.2 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 1,957.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,919.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება; მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (№20 და №19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით, №28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე, ჰ.გონაშვილის №29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით) მოსწავლეთა უფასო სწავლება (იანვარში - 568

მოსწავლე, თებერვალში 567 მოსწავლე, მარტში - 566 მოსწავლე); გრძელდება ქ.თბილისის მერიის ხელოვნების სკოლების (32 ხელოვნების სკოლის) და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით); ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების საიუბილეო და საანგარიშო შემოქმედებიტი კონცერტების ჩასატარებლად და გამოფენების მოსაწყობად დარბაზის იჯარის, #6 და #8 ხელოვნების სკოლების საფორტეპიანო განყოფილების 2 მოსწავლის და მათი მასწავლებლის საერთაშორისო კონკურსზე (აშშ, გერმანია) მგზავრობის დაფინანსების ხარჯები, სოლიკო ვირსალაძის სახ. #1 სამხატვრო სკოლისათვის“ 60 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებების ხარჯები, ხელოვნების სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლების მასტერკლასების ჩატარების ხარჯები; ხელოვნების სკოლების და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისთვის სასწავლო სახელმძღვანელოს „საფორტეპიანო და სავიოლინო პიესები“ შეძენის ხარჯები. აგრეთვე, გაცემულია ხელოვნების სკოლების, ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის“. ასევე, გაცემულია სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისთვის შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით მატერიალური წახალისება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 22 საანგარიშო და საიუბილე შემოქმედებითი კონცერტი და გამოფენა; ხელოვნების სკოლები - 8600 მოსწავლე და 1660 თანამშრომელი; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 3600 მოსწავლე და 168 თანამშრომელი.

8.3 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 662.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 744.2 ათასი ლარის 89%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

8.3.1 ი.ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 233.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 225.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის შეგროვდა და მუზეუმის ფონდში ჩაირიცხა ილია ჭავჭავაძისა და შიო არაგვისპირელის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი მასალები, დამუშავდა 10 ექსპონატის სამეცნიერო პასპორტი, მომზადდა ჩატარებული ღონისძიებების ელექტროვერსიები, „ევროპის კვირეული საქართველოში“ - კვირეულის დღეებში მუზეუმში მოეწყო მოძრავი ექსპოზიციის ჩვენება თემაზე: „ილია ჭავჭავაძე XXI საუკუნის ადამიანი“, გაიმართა მუზეუმისა და მუსიკალური სტუდიის „ვიქტორია“ ერთობლივი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და ჟურნალ „ანეულის“ ახალი ნომრის პრეზენტაცია, სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალებიდან 290-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო „საქართველოს ევროპული გზა“, აგრეთვე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, დედაენის, ბავშვთა დაცვის საერთაორისო დღის, ილია ჭავჭავაძის დაბადების და ხსენების, თბილისობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 26 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 7 613.

8.3.2 ზ.ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 94.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 94.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მოეწყო ექსკურსიები საჯარო სკოლებისათვის; გამოიცა ოპერა „აბესალომ და ეთერის“ კლავირი; გაიმართა დიდიმ მირცხულავას ხსოვნის საღამო, გაიმართა სხვადასხვა შეხვედრები; მუზეუმის ფონდს გადაეცა მუსიკამცოდნე ანტონ წულუკიძის არქივი, რომელიც დამუშავდა და გატარდა ფონდების წიგნში; ჟურნალში „მუსიკა“ - გამოქვეყნებულია სტატია - „გაელვება“ მუზეუმში ჩატარებული ღონისძიების შესახებ (თამარ თაქთაქიშვილის საღამო - გახსენება); აგრეთვე გაიმართა ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“, უკრაინის მხარდასაჭერი, აფხაზეთის ხელოვნების სკოლის და სხვადასხვა კონცერტები და სხვა კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 17 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 5 450.

8.3.3 ნ.ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 90.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: დამუშავდა და შეივსო მუზეუმის ფოტო, დოკუმენტური, ნივთიერი და წიგნადი ფონდი; მომზადდა მოძრავი გამოფენის თემები და გრაფიკული გეგმა; ახალი ექსპონატების შეტანა ძირითად და დარგობრივ წიგნებში, ექსპონატებზე გაიხსნა სამეცნიერო პასპორტები; გაიმართა ქალთა, დედის, დედაენის და დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; მომზადდა ჩატარებული ღონისძიებების ფოტოკოლაჟი; ლიტერატორულ კონკურსში „მცირე პროზა“ გამარჯვებულთა დაჯილდოება; მოხდა შეხვედრა სხვადასხვა სასწავლებლების და საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, ჩატარდა მხატვარ ანა იაკობაშვილის შემოქმედებითი საღამო, სოსო წერეთლის ნახატების გამოფენა, მანანა შალიკაშვილის წიგნის „სიცოცხლის მზე“ პრეზენტაცია და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 43 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 3 420.

8.3.4 მ.ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 59.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 58.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 57.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შეიქმნა სავიზიტო

ბუკლეტი, რომელზეც დატანილია მწერლის ავტობიოგრაფია, გამონათქვამები, წიგნების ყდების ფოტოები და მუზეუმის სურათი, რომელზეც ასახულია მუშაობის პროცესი, ასევე მიხეილ ჯავახიშვილის ფოტოები; გაიმართა რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ინგლისურ ენაზე თარგმანის პრეზენტაცია; მწერლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება; გამოიცა კრებული :უბის წიგნაკები“; ჩატარდა ღონისძიება ,,ჯაყო გმინვაა ჩემი სულისა“; ღონისძიება თემაზე - ,,საყმაწვილო ლიტერატურა“; ფესტივალის ,,მუზეუმების გაზაფხული“ ფარგლებში ჩატარდა ღონისძიებათა კვირეული, საკონკურსო წერა და საუკეთესო ნამუშევრებისთვის დაჯილდოვება; გაიმართა გამოფენა თემაზე „მიხეილი და მეგობრები“ და სხვა ღონისძიებები).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 11 სხვადასხვა ღონისძიება; ვიზიტორთა რაოდენობა - 1 420.

8.3.5 გ.ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 90.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: განხორციელდა გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საგაზეთო პუბლიკაციებისა და ინტერნეტში განთავსებული ფოტო და ვიდეომასალის განხილვა; ღონისძიება - „გალაქტიონი და თბილისი“; ბავშვთა თეატრი „მეორე სახლი-2“ - წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „გალაქტიონი - დაბადებიდან დაბადებამდე“; გაიმართა პოეტის გარდაცვალების დღისადმი,

დედაენის დღის, მუზეუმის საერთაშორისო დღის აღმნიშვნელი და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 19 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 4 265.

8.3.6 ვ.ჭაბუკიანის ბინა-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 67.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გაიმართა ვახტანგ ჭაბუკიანის 105 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო; მუზეუმს სტუმრობდა 190-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები და მათი პედაგოგები, სტუმრები ისრაელიდან და მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავი ნიკა ცისკარიძე, რომელმაც მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა წიგნი ,,ცისკრის ვარსკვლავი“; ფესტივალის ,,მუზეუმების გაზაფხული” ფარგლებში და მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუზეუმში გაიმართა ახალგაზრდა უკრაინელ და ქართველ ხელოვანთა ფოტო და მხატვრული ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა; სომხეთის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ ბინა-მუზეუმში გაიმართა ქართულ-სომხური მეგობრობის საღამო, მოეწყო მარტინ აშხატოევის პერსონალური ნამუშევრების გამოფენა; ინდოეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მუზეუმში გაიმართა ქართულ–ინდური მეგობრობის საღამო; მუზეუმში გაიმართა მხატვარ რევაზ გომელაურის მხატვრული ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით ,,სოლიდარობა ფრანგ ხალხს“ და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 14 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 2 329.

8.3.7 მ.კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 83.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 82.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გაიმართა კონცერტები ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით; გაიხსნა ექსპოზიცია „1991-1992 წლების უცნობი ფოტოები“; ექსპოზიცია - „მერაბ კოსტავას წინაპრები“ - მიძღვნილი მერაბის მამის ივანე კოსტავას დაბადებიდან 105 და დედის ოლღა დემურია-კოსტავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი; თამთა კოსტავას ნახატების გამოფენა; მოეწყო თსუს სტუდენტების კონფერენცია; ადამიანის უფლებების დაცვის დღისადმი მიძღნილი შეხვედრა და საუბარი ახალგაზრდებთან; გაიმართა მერაბ კოსტავას წიგნის „გზა ჭეშმარიტებისა“ პრეზენტაცია და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 16 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 1 820.

8.3.8 ს.წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 48.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 46.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სოსო წერეთლის ნამუშევართა გამოფენა; ფესტივალის „მუზეუმების გაზაფხული“ ფარგლებში ქ. თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში მოეწყო სოსო წერეთლის ნამუშევართა გამოფენა; ღონიძიება „თვითმფრინავის ბიჭების“ ხსოვნის დღე; უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 6 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 60.

8.3.9 ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 105.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, შეძენილ იქნა ძველებური სათამაშოების კოლექცია და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ფესტივალის „მუზეუმების გაზაფხული“ ფარგლებში მუზეუმში არსებული კოლექციის ნაწილი გამოფენილი იყო ქ.თბილისის ნიკოლოზ

ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში; მუზეუმში არსებული კოლექციის ნაწილი გამოფენილი იყო ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 4 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა.

8.3.10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 123.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 122.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა). ამასთან მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: წიგნის მეგობრები - „არც ერთი დღე წიგნის გარეშე“, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ეტლით მოსარგებლე ახალგაზრდებმა; ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; „გაზაფხულის რიტმები“ - ფოლკლორის საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი; გაეროს განვითარების პროგრამის და ევროკავშირის 3 ერთობლივი პრეზენტაცია „თაობათა დიალოგი“; ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ღონისძიება „ნაბიჯ-ნაბიჯ“; მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ზეიმი - ხატვა სკვერში „ბავშვის თვალით დანახული ცნობილი მხატვრების ნაწარმოებები“; მოეწყო სააღდგომო გამოფენა; აფრიკის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა და პერფომანსი და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 51 სხვადასხვა ღონისძიება; ვიზიტორთა რაოდენობა - 14 500.

8.3.11 მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 46.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 46.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გალაქტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის პოპულარიზაციის მიზნით პროექტები „ჩემი გალაქტიონი“ და „მე ვკითხულობ გალაქტიონს“, მუზეუმისთვის დაიბეჭდა 2016 წლის სამაგიდე კალენდარი; ზ. ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის პროექტი - ზ.ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ კლავირის გამოცემა; მუზეუმების პოპულარიზაციის და ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით მუზეუმებში დაიგეგმა კულტურულ-შემეცნებითი, ინტერაქტიული სალექციო კურსი. აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში მუზეუმები დაათვალიერა პროფესორმა ამარესვარ გალამ, რომელიც არის იუნესკოს ექსპერტი, ინკლუზიური მუზეუმების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი, ავსტრალიერმა ექსპერტმა მოინახულა გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმი, ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი, ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მუზეუმების პოპულარობის ზრდა

8.4 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 1,926.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,977.6 ათასი ლარის 97%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

8.4.1 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი”

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 499.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულია ოფისის ხარჯები, პარტიტურების შეძენის და სხვა ხარჯები. ამასთან, საანგარიშო პერიოდში "ბიგ-ბენდმა" მონაწილეობა მიიღო ქალაქის მაშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. ამასთან, სარეზერვო ფონდიდან გამოფილი და გადარიცხულია 34.7 ათასი ლარი, ქალაქ რიგაში, საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ორკესტრის წევრების მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საკონცერტო ორკესტრმა ,,ბიგ-ბენდი" მონაწილეობა მიიღო 22 ღონისძიებაში.

8.4.2 ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 330.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულ იქნა ოფისის და სხვა ხარჯები. ამასთან, საანგარიშო პერიოდში სასახლეში ფუნქციონირებდა 45 წრე, სადაც გაერთიანებულია 510 მოსწავლე და ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო ფესტივალებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის მიერ ჩატარდა 43 ღონისძიება.

8.4.3 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 173.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი პანთეონები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის და „ხოჯევანქი") მოვლა-პატრონობის ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯები). ამასთან, გაწეულია ფოლად ბიულ-ბიულ ოღლის ძეგლის კვარცხლბეკის დადგმის და არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის მემორიალის მისივე სახელობის ქუჩაზე განთავსების ხარჯები.

8.4.4 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 974.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 923.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ხელოვნების სკოლების (33 სკოლა), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ გახარჯული კომუნალური გადასახადების დაფარვა (100%); ამასთან, გაწეულია №21 ხელოვნების სკოლის შენობაში სარემონტო სამუშაოების, ალოიზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის შენობის კაპიტალური რემონტის, გაზიფიცირების პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების, აპარატურის, ინვენტარის და ტექნიკის შეძენის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის ნაწილობრივი სარემონტო და გათბობის სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოების და ჩუღურეთის ფილიალის გამაგრების საპროექტო სამუშაოების, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და ტანამედროვე ხელოვნების კოლეჯის შენობის გაზიფიცირების სამუშაოების, კოტე

ფოცხვერაშვილის სახელობის #7 ხელოვნების სკოლისთვის შენობის იჯარის, ხელოვნების სკოლა ,,აფხაზეთი 1“-ისთვის ტექნიკისა და კარადების შეძენის, თბილისის თოჯინების მუზეუმის და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №2 ხელოვნების სკოლის სახურავის შეკეთების, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის #19 ხელოვნების სკოლის დაზიანებული გათბობის სისტემის შეცვლის და ინსტრუმენტების შეძენის, რევაზ ლაღიძის სახელობის №4 ხელოვნების სკოლის“ შენობაში სარემონტო სამუშაოების, ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის“ შენობაში დაზიანებული კედლის შეკეთების, მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმისთვის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის, მერი ნაკაშიძის სახელობის №17 ხელოვნების სკოლის გათბობის სისტემის ქვაბის დამონტაჟების, №15 და №21 ხელოვნების სკოლებში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის, №6 და №29 ხელოვნების სკოლისათვის“ ცენტრალური გათბობის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის, დავით თორაძის სახელობის №22 ხელოვნების სკოლის“ გაზიფიცირების სამუშაოების ჩატარების, №1სამხატვრო, №3, №6 და №15 ხელოვნების სკოლებში ინვენტარის შეძენის, არამ ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლისათვის“ აპარატურის შეძენის, დავით ანდღულაძის სახელობის №14 ხელოვნების სკოლის“ საკონცერტო დარბაზისთვის ვერტიკალური ფარდა-ჟალუზების შეძენის, გ. ცაბაძის სახელობის №25 ხელოვნების სკოლისათვის“ ინსტრუმენტებისა და ინვენტარის შეძენის, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"-სათვის ტექნიკის და ინვენტარის შეძენის, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის“ შენობის სახურავის მოსაწყობად საჭირო პროექტის მომზადების ხარჯები და სხვა

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: კულტურის ობიექტების ფუნქციონირების ხელშემწყობის გარემოს შექმნა; თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებები.

8.5 კულტურის ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 6,471.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,407.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში; ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება; ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა; საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე მოსახლეობის და ხელოვანების ჩართულობა და მონაწილეობა; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან; თბილისის, როგორც რეგიონის კულტურის ცენტრის ჩამოყალიბება და მსოფლიო დედაქალაქების რუკაზე მნიშვნელოვან სახელოვნებო ცენტრად დამკვიდრება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტები, მათ შორის:

საიუბილეო, საფესტივალო და საკონკურსო ღონისძიებების ფარგლებში: პაატა ბურჭულაძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, თბილისის II საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი, ფოტოკვირეული "ქოლგა თბილისი ფოტო", გარდამავალი პროექტები: ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის 90 წლის საიუბილეო სეზონის გახსნა, ყოველწლიური პროექტი "ქართული თეატრის დღე, მუსიკალური პროექტი "წერილები ყანჩელს", ყოველწლიური პროექტი "ქართული თეატრის დღე, მუსიკალური პროექტი "წერილები ყანჩელს", თბილისის საგუნდო მუსიკის V საერთაშორისო ფესტივალი, ლიტერატურილი კონკურსი „მცირე პროზა“ სტუდენტებისათვის, ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურლი კონკურსი „მერანი“, სხვადასხვა საიუბილეო ღონისძიებები (გიული ჩოხელის, ვახტანგ ჭაბუკიანის, იოსებ ნონეშვილის, პეტრე ჩაიკოვსკის, თინათინ მღვდლიაშვილის, დატო ევგენიძის, ბაჩი ქიტიაშვილის, კიტა ბუაჩიძის, რევაზ მიშველაძის, იამზე დოლაბერიძის, გია ყანჩელის, გოდერძი ჩოხელის და რობერტ ბარძემაშვილისადმი მიძვნილი საიბულეო ღონისძიებები), ფესტივალები „მუზეუმების გაზაფხული“ და „მომავლის

ვარსკვლავები“, მოდის კვირეული, ახალი ღვინის ფესტივალი, ჯაზური მუსიკის კონკურსი „ჩვენ ვუკრავთ ჯაზს“, Kavkaz jazz festival 2015, თბილისის მე-9 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი 2015“, თბილისის წიგნის მე-17 საერთაშორისო ფესტივალი, ფესტივალი „კლასიკიდან ჯაზურ იმპროვიზაციამდე“, სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი „მუზა“, ფესტივალი „არტ გენი“-ს დასკვნითი ღონისძიება, კლასიკური მუსიკის ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“, საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“, თბილისის ჯაზ ფესტივალი და 23-ე საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი, თბილისის კამერული მუსიკის ფესტივალი, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი, ფესტივალი „თბილისი თანამედროვე მუსიკის სარამოები“, საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე“, სხვადასხვა კონკურსები: ლიტერატურული კონკურსი „მცირე პროზა“ სტუდენტებისათვის, ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურული კონკურსი „მერანი“, საქართველოს მუსიკოს შემსრულებელთა მე-6 კონკურსი, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსი, მწერალ რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის კონკურსი, გურამ საღარაზის სახელობის კონკურსი „მხატვრული კითხვის დიდისტატები“ და სხვა;

გაცვლითი კულტურული ღონისძიებების ფარგლებში: ლატვიის რესპუბლიკაში ქართული ბენდის "ეგარი"-ს გასტროლი, "რიგის ახალი თეატრის" გასტროლი თბილისში - სპექტაკლით "ხანგრძლივი ცხოვრება", საქართველოს "სამეფო ნაციონალური ბალეტი“-ს კონცერტები გერმანიაში, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია "შავფაროსნების" იტალიის დედაქალაქ რომის დაარსებისადმი მიძღვნილ ფესტივალში მონაწილეობა, ანსამბლი "საგალობელის" ესპანეთის ქ.ლორეტ-დე-მარში, საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობა, ფოლკლორული ჯგუფის „იბერი“ ესტონეთში ფესტივალზე მონაწილეობის და ბრისტოლში კონცერტების ორგანიზების ხელშეწყობა, თბილისის დღეები კრაკოვში, რომში "ტრასტევერეზე" ქართული კულტურის დღეები, თბილისის და ზაარბრუკენის დაძმობილების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები, ეთნო ჯაზ ბენდი „ირაოს“ საკონცერტო ტურნე უკრაინაში,

მუსიკალური კომედიის და დრამის თეატრის დასის ვიზიტი სლოვენიაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის დახურვის ცერემონიალის მოწყობა, ქალაქ ბრისტოლის „ევროპის მწვანე დედაქალაქად“ დასახელებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, „თბილისის ღია კინო ფორუმი“, პრაღაში თოჯინების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა და სხვა;

თავისუფალი თეატრალური პროექტების ფარგლებში: გარდამავალი თეატრალური პროექტების “დედა”, "მოხტუნავე პრინცესა", „ჭირვეულის მორჯულება“, „დაისი“ განხორციელება. ახალი თეატრალური პროექტების: "რა დროს შექსპირია", "ჭინჭრაქა", "ოთარაანთ ქვრივი", "ჰედა გაბლერი", "სკამი", "რა მოხდა სამხეცეში" ("ეს ხომ სამხეცეა"), "მოახლეები", "იმპულსი", "მოთამაშეები", "მეფე ლირი", "სალამურას თავგადასავალი", "მეფე ლირი თავშესაფარში", "სკაპენის ოინები", „ძველებური ვოდევილი“, „ქალი“, ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ჰელვერის ღამე“, „მაცეკვე ტანგო“, „დაკრძალვა კალიფორნიაში“, „ტრამვაი სურვილი“, „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“, „უდღეური დღეობა“, „ბაში-აჩუკი“, „შექსპირი და ოპერა“, „ლისიტრატე“, „მელპომენა“, „სახურავი“, „წასვლა“ განხორციელება. ასევე, ჩატარდა თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სემინარი;

სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ღონისძიებების ფარგლებში: ახალი წლის, დედის დღის, 9 აპრილის, 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი, 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, საერთაშორისო ფესტივალი "აღდგომიდან ამაღლებამდე", საქართველოს აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი "ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის", ჯაზის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის და ანსამბლ თბილისის კონცერტი, ამერიკის მეგობართა კლუბი - „დიპლომატის თვალით დანახული საქართველო“, „თბილისობა 2015“, შობა-ახალი წლის, ბარბარობის და მადლიერების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვა;

სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში: „ხელოვნება და ტექნოლოგია-იმედის გზა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის“, დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი

(მამაო),ფონდ „იავნანას“ საიუბილეო საქველმოქმედო კონცერტი - „ნინო ქათამაძე და მეგობრები“, გარდამავალი პროექტები: შშმ პირებისთვის კონკურს-ვიქტორინის მოწყობა ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში, ნანი ბრეგვაძის შემოქმედებითი საღამო, მომღერალ დავით ხუჯაძის, მანანა მენაბდის, ნუკრი კაპანაძის, ბრიტანელი არტისტის „BONOBO”-ს, გიგი ვანდერის, ნატო მეტონიძის, ქორეოგრაფიული ანსამბლის „მამული 2015“-ის, ინგა ფერაძის და სხვადასხვა საქველმოქმედო კონცერტები, მხატვარ გიორგი კუხალაშვილის ნახატების კატალოგის გამოცემა, სიმღერისა და იუმორის საღამოები, გამოფენა „სერგო ფარაჯანოვი - XXI საუკუნის სიზმარი“, გურამ ბზვანელის შემოქმედებითი საღამო, გიული ჭოხონელიძის ხსოვნის საღამო, ვორქშოფი-სალექციო კურსი მედიის წარმომადგენლებისათვის, ბერი ანდრიას სახელობის ფონდის საქველმოქმედო პროექტები, საშემოდგომო მოდის კვირეული, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი 2015“, ფრანგული კინომუსიკის საღამო, ავანგარდისტ მხატვართა გამოფენა, ანსამბლ „ბასიანის“ და „შავნაბადას“ აუდიო ალბომის ელექტროული ვერსიის მომზაება, ქეთევან დოლიძის პროექტი „ზღაპრის სახლი“, პროექტი „თბილისი და თბილისელები“ და სხვადასხვა ღონისძიებები.

კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფარგლებში: (თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი), კავშირგაბმულობა, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება, ავტოტექმომსახურება, საწვავის შეძენა, მივლინების, წარმომადგენლობითი ხარჯები და სხვა).

ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდელებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება 49.2 ათასი ლარი. ასევე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 275.6 ათასი ლარიდან გადარიცხულია 273.5 ათასი ლარი, მათ შორის: ჟურნალის „ცისკარი - 1852“ გამოშვების ხელშეწყობისა, საქართველოს მწერალთა კავშირისათვის გაზეთ „100 მწერლის გაზეთის“ გამოსაცემად ფინანსური დახმარებისათვის, ბრავო რეკორდის მიერ რუსთავში ორგანიზებულ ელექტრონული მუსიკის ფესტივალში მოსახლეობის სატრანსპორტო საშუალების უზრუნველსაყოფად, პროექტის „საზაფხულო სკოლა“ განხორციელების

ხელშეწყობის მიზნით, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოვლენილი 3 საუკეთესო კონცეფციის ავტორის დასაჯილდოებლად, აშშ-ში საგასტროლო სპექტაკლის „introსპექცია“ გამართვის მიზნით სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დაფინანსება, ქ.თბილისის კოლორიტსა და საპატიო მოქალაქეზე-ოთარ რამიშვილზე დოკუმენტური ფილმის გადაღების ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დახმარება გაეწია კავშირ -„საზოგადოება მართვეს“ და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სახელმწიფო სახალხო, რელიგიური დღესასწაულები - 27 ღონისძიება; საერთაშორისო და გაცვლითი კულტურული პროგრამები - 23 ღონისძიება; თეატრალური ხელოვნების განვთარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობა - 41 ღონისძიება; ფესტივალების კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობა - 73 ღონისძიება; თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა -53 ღონისძიება; საგანმანათლებლო საქმიანობის და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობა-27 ღონისძიება.

8.6 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 22,608.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 23,787.5 ათასი ლარის 95%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

8.6.1 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 2,081.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,073.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა; კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 31 სპორტული ფედერაცია: საავტომობილო, ფეხბურთის, საწყალოსნო სახეობების, მეკლდეურობის, ფარიკაობის N1, ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია 2012, უშუს, ჰოკეის საქალაქო ფედერაცია, მშვილდოსნობის, ძალოსნობის, შაშის გაერთიანებული ფედერაცია, კრივის, თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის, სამბოს, ფრენბურთის, კარატეს, ამერიკული ფეხბურთის, ბადმინტონის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, ქართული ჭიდაობის, თბილისის ჭიდაობის, მკლავჭიდის, სროლის, ნარდის ასოციაცია, მძლეოსნობის, ფიგურული სრიალის, ჩოგბურთის, ბოდიბილდინგისა და ფიტნესის, ყინულის ჰოკეის და ჩერლიდინგის ფედერაციები, ასევე საქართველოს 22 ეროვნული ფედერაცია: კალათბურთის, ბოდიბილდინგის, ფიტნესის და ბოდიფიტნესის, „სპორტი ყველასთვის“, ჭიდაობის, ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა, პანკრატიონის, გრემპლინგის და ბელტ რესლინგის, ჭადრაკის, უნივერსალური ორთაბრძოლების, შაშის, ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია, ძიუდოს, სასკოლო სპორტის, მფრინავი დისკის, ძალოსნობის, სპორტცეკვების, ჯომარდობის, საცხენოსნო სპორტის, ჰოკეის, ფარიკაობის, საუნივერსიტეტო სპორტის, ათლეტიზმის და ქალთა სპორტის ფედერაციები, ასევე ა(ა)იპ "კახი კახიაშვილის სახელობის საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი", საქართველოს ყრუთა კავშირი, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია, საქართველოს ძალისმიერი სამჭიდის ეროვნული ალიანსი, საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპორტის საკოორდინაციო საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაცია (კავშირი) კასტირიონი, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“, საქართველოს საბრძოლო ლიგა, ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება, რაგბის კლუბი „წიქარა“, კავშირი „ზუკას თასი“, ახალგაზრდული მედია-კავშირი, ახალგაზრდული კლუბი დიდუბე 2014, ა(ა)იპ „საქართველოს სპორტის საზოგადოება“, სპორტული კლუბი „რეკორდი“, ა(ა)იპ „სამოყვარულო ლიგა“, ა(ა)იპ „პან-სომხური თამაშების

მონაწილეთა საერთაშორისო ასოციაცია“, ქ.თბილისის ნარდის ასოციაცია, საქართველოს პროფესიონალთა სპორტულ-სამომსახურეო კინოლოგიური კავშირი, სპორტის სასახლე, ასოციაცია ქალი, ბავშვი და სოციუმი, "ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება", ა(ა)იპ „მომავალი იწყება დღეს“, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი „იმედი“ და წყალბურთის კლუბი "თბილისი" და სხვა.

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა სპორტის სხვადასხვა სახეობებში თბილისის ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები), კერძოდ: საქართველოს, თბილისის და მერიის თასის გათამაშებები ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთში, სპორტულ აკრობატიკაში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, სასტენდო სროლაში, ნარდში, კალათბურთში, ჩოგბურთში, მინი ფეხბურთში, მეკლდეურობაში. გაიმართა საქართველოს და თბილისის ღია პირველობები, ჩემპიონატები, ტურნირები: ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ჭადრაკში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ჰოკეიში, ფრენბურთში, ხუთჭიდში, უშუში, კრივში, ქართულ ჭიდაობაში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, მკლავჭიდში, სამბოში, სროლის სახეობებში, ნიჩბოსნობაში, ცურვაში, სინქრონულ ცურვაში, მეკლდეურობაში, საავტომობილო სპორტში, ფიგურულ სრიალში, ფეხბურთში, შაშში, ჩერლიდინგში, ჩოგბურთში, უსინათლოთა ფეხბურთში და მჯდომარე ფრენბურთში, ბოდიბილდინგსა და ფიტნესში, მინი წყალბურთში, საცხენოსნო სპორტში, კალათბურთში, ველოსპორტში, უსინათლოთა მაგიდის ჩოგბურთში; სასწავლო-საწვრთნო შეკრება გაიარეს: ტანმოვარჯიშეთა, მშვილდოსანთა, მოფარიკავეთა, მოკრივეთა, სამბისტთა ქ.თბილისის ნაკრებმა გუნდებმა, ასევე საზაფხულო შეკრება გაიარა სოციალურად დაუცველი და მატერიალურად შეჭირვებული ოჯახების მოზარდებით დაკომპლექტებულმა საფეხბურთო გუნდმა; საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს: მაგიდის

ჩოგბურთის, ტანმოვარჯიშეთა, მოფარიკავეთა, ფრენბურთელთა, უშუს, ქართული ჭიდაობის, ნარდის, კარატეს, ჩოგბურთის, რაგბის, ძიუდოს, ჭადრაკის, ბოდიბილდინგისა და ფიტნესის ნაკრებმა გუნდებმა; ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ: ძალისმიერი სამჭიდის, ჯომარდობის, პანკრატიონის, ძალოსნობის, ათლეტიზმის გუნდები და სპორტსმენები; მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა მიიღეს: ძალისმიერი სამჭიდის, ფარიკაობის, უშუს, საბრძოლო ხელოვნების, კალათბურთის, ჭიდაობის და ძალოსნობის ნაკრები გუნდების სპორტსმენებმა; სპორტული ფესტივალი ჩატარდა: სპორტულ ცეკვებში, ფეხბურთში, ბოდიბილდინგსა და ფიტნესში; გაიმართა ფოტო–გამოფენა "სპორტ–ფოტო 2014", სხვადასხვა ჯიშის ძაღლების საერთაშორისო გამოფენა და შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძვნილი ფოტო-ვიდეო კოლაჟი, 2016 წლის კალენდრის პრეზენტაცია და შშმ პირთა ნამუშევრების გამოფენა; წახალისების მიზნით დაჯილდოვდნენ: ევროპის ჩემპიონატზე ჭადრაკში 8-18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის გამარჯვებული ნინო ხომერიკი, ქ.ლვოვში ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკ მოკრივეთა შორის გამარჯვებული სახილ ალახვერდოვი და აგვისტოში ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული ზაალ კვაჭატაძე, თურქეთის ქ.ანტალიაში პანკრატიონში მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებული გივი ბორაშვილი და ევროპის ჩემპიონატში სმენადაქვეითებულთა შორის ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში გამარჯვებული შაქრო ჩაკვეტაძე; ფინანსური დახმარება გაეწია: შერეულ ორთაბრძოლებში საერთშორისო ტურნირის ჩასატარებლად საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციას ცირკის იჯარის დასაფარად, მფრინავი დისკის (ფრისბის) სპორტის სახეობის პოპულარიზაციისთვის და განვითარებისთვის "საქართველოს მფრინავი დისკის ფედერაციას‘‘, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია "შავფაროსნები"–ს სპორტსმენების (200-მდე სპორტსმენი) ვარჯიშისთვის სპორტკომპლექს "არენა 2"–ში მდებარე დარბაზის 8 თვის იჯარის დასაფარად. თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი; ქართველი სპორტსმენის გურამ გუგენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შერეულ ორთაბრძოლებში M-1-ის მსოფლიო ჩემპიონატის რიგით 55–ე ეტაპი; თბილისში მსოფლიოს გრან–პრის

გათამაშება ვაჟთა შორის ჭადრაკში; ქ. თბილისში გრან–პრის ტურნირი ძიუდოში; გაიმართა 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სპორტულ-გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები; განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები შშმ პირებისა და ცნობადი სახეების მონაწილეობით; 26 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში ვაჟთა შორის კალათბურთის მატჩების ჩასატარებლად დაფინანსდა სპორტის სასახლის იჯარა; ვარდების მოედანზე გაიმართა საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში სპორტული აქტივობები; პარაცენტრში ჩატარდა ქალთა სპორტული აქტივობის დღე სახელწოდებით „ყველა ქალი სპორტში“; განხორციელდა პროექტი - ქართველი „ტიფლოკომენტატორების მომზადება უსინათლო და მცირემხედველი მაყურებლებისთვის“; ხელფასებისთვის, აუზის იჯარისთვის და საერთაშორისო ტურნირზე მივლინებისთვის დაფინანსდა წყალბურთის კლუბი „თბილისი“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საქართველოს, თბილისის და მერიის თასის გათამაშება - 14; საქართველოს და თბილისის ღია პირველობა, ჩემპიონატი, ტურნირი - 92; სასწავლო-საწვრთნო შეკრება - 11; საერთაშორისო ტურნირი - 26; ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა - 8; მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა - 10; სპორტული ფესტივალი და გამოფენა - 7; მსოფლიო გრან-პრი - 1; მარათონი - 1; ბავშვთა საერთაშორისო დღის, თბილისობის და ახალი წლის დღესასწაულებზე სხვადასხვა სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებები.

8.6.2 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 2,691.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული ბავშვთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ–მასწავლებლები; ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენა და მსოფლიო დონის სპორტსმენთა აღზრდა, რაც საერთაშორისო მაშტაბით სახელს გაუთქვამს საქართველოს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა

გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 373 მწვრთნელ - მასწავლებელს.

8.6.3 სპორტული მშენებლობა რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

2015 წლის გეგმა 301.5 ათასი ლარი, არ დაფინანსებულა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ გაწეულა, რაც გამოწვეულია, გარე-გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟზე გამოცხადებული ტენდერის ჩაშლით, ვინაიდან პრეტენდენტებმა ვერ დააზუსტეს სატენდერო წინადადება.

8.6.4 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი

2015 წლის გეგმა 1,587.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 784.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 49%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტული ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ა(ა)იპ "ქ.თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრი" სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ბაზის აღჭურვისთვის, ელექტროენერგიის გადასახადის და ქონების გადასახადის დასაფარად;

ა(ა)იპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი "ლილო", რომელმაც დაიწყო ფუნქციონირება ლილოს დასახლებაში, 107–ე საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ სპორტულ ბაზაზე;

ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის ვ.კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი“, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში ფრენბურთის დარბაზის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად;

ა(ა)იპ „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლე“ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდში არსებული გაზის დავალიანების, კომუნალური ხარჯების, სახელფასო და დაცვის სამსახურის დავალიანების დასაფარად;

ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი“ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში დენის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისა და ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდისთვის, კომუნალური ხარჯების, სახელფასო და დაცვის სამსახურის დავალიანების დასაფარად;

ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“ კულა გლდანელის სახელობის ჭიდაობის დარბაზის რეაბილიტაციისთვის საჭირო არქიტექტურული პროექტის და ჭიდაობის დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის;

ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სპორტული ცენტრი „იმედი“ ბუნებრივი აირის დავალიანების დასაფარად;

ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარება“ „მზიურის“ ბაზის ტერიტორიის დაცვის მიზნით, შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან ერთი თვის ვადით გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის დასაფარად და მზიურში მდებარე საჩოგბურთო კომპლექსის მიწის გადასახადის დასაფარად;

ასევე, დაფარულ იქნა ქ. თბილისში დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის ფარგლებში აშენებული სპორტული ობიექტების კომუნალური ხარჯები;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიზარდა საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტებისა და სპორტული ობიექტით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.

განსხვავება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის: საანგარიშო პერიოდში არ განხორციელდა რაგბის სტადიონის მშენებლობის სამუშაოები, რამდენადაც პროექტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელი იყო ქართულ ბაზარზე გამოცდილი საპროექტო კომპანიის მოძიება. რომელიც შეძლებდა თანამედროვე და მაღალი სტანდარტების შესაბამისი რაგბის სპორტული კომპლექსის სამშენებლო პროექტის მომზადებას. სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ რაგბის სპორტული კომპლექსის პროექტირების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები შპს „ET“-თან, რომელმაც უზრუნველყო რაგბის სპორტული კომპლექსის პროექტის მომზადება. აღნიშნული პროექტი გაგზავნილი იქნა ექსპერტიზაზე ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში და 2015 წელს დასკვნა არ იქნა მიღებული.

8.6.5 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 360.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: წახალისებული ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები; სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის სხვადასხვა სახეობის 18 წლამდე ასაკის 244 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

8.6.6 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 950.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 949.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: არანაკლებ 3 სპორტულ სახეობაში საწვრთნელ - სარეაბილიტაციო პროცესი; სხვადასხვა პარასპორტულ საერთაშორისო - სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები (შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა). ასევე, საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზების, სპორტული გუნდების საერთაშორისო სარეიტინგო შეჯიბრებებში მონაწილეობის ხარჯები. ამ ეტაპზე ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრში" საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 70-მდე პარასპორტსმენი 9 სპორტულ სახეობაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: რესოციალიზაციის პროცესში ჩაერთო 70 პარასპორტსმენი.

8.6.8 ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი

2015 წლის გეგმა 15,816.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 15,752.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შედეგები: უეფას სუპერ თასის მატჩის სრულფასოვანი მასპინძლობა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა ბ. პაიჭაძის ეროვნული სტადიონზე "დინამო არენა" შემდეგი სამუშაოები: "დინამო არენა" IT ინფრასტრუქტურის მოწყობა - 1,123.1 ათასი ლარი, 50 000 ახალი სკამის და 5 000 ახალი ვიპ სკამის შეძენა - 1,843.5 ათასი ლარი, გახმოვანების სისტემის მოწყობა - 753.3 ათასი ლარი, ტრიბუნის სკამების დემონტაჟი/მონტაჟი - 4,346.82 ათასი ლარი; სარემონტო სამუშაოები (ტრენინგების დარბაზი, ოფისები, გასახდელების, სასაწყობე ფართის, დოპინგისა და პირველადი დახმარების ოთახები) - 682.1 ათასი ლარი; "დინამო" არენას კონსტრუქციული გამაგრების მე-3 ეტაპი - 1,417.29 ათასი ლარი; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ლიფტის მოწყობის სამონტაჟო სამუშაოები - 118.7 ათასი ლარი; მინდვრის განათების დემონტაჟი/მონტაჟი - 765.21

ათასი ლარი; ვიდეოკამერების შესყიდვა-მონტაჟი - 224.7 ათასი ლარი; ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები - 696.2 ათასი ლარი; "დინამო" არენას UEFA-ს ოფისებისა და სქაიბოქსების სამშენებლო სამუშაოები - 345.6 ათასი ლარი; "დინამო არენასთვის" უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქციის განბაჟებისა და სახელმწიო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები - 789.3 ათასი ლარი; "დინამო" არენას ტრიბუნების სივრცის სამღებრო სამუშაოები 602.5 ათასი ლარი; "დინამო არენის" სარეაბილიტაციო სამუშაოები (მათ შორის: ე.წ. ტურნიკეტების საძირკვლების სამშენებლო სამუშაოები, სტადიონის ტაბლოს შესყიდვა, სტადიონის მთავარი მანიშნებლების მოწყობა, ევაკუაციის გეგმის მოწყობა და სხვადასხვა ტიპის სამუშაოები)- 2,012.8 ათასი ლარი.

მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტადიონის ინფრასტრუქტურა

8.7 „თბილისი - 2015" ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური; ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 101,779.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100,159.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.4%-ია.

დასახული შედეგები: ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მაღალ დონეზე ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა რიგით მე-13 ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. თბილისმა 50 ქვეყნის 2334 სპორტსმენს უმასპინძლა. მოცურავეები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ძიუდოისტები, კალათბურთელები, ჩოგბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ველომრბოლელები და მძლეოსნები 6 დღის მანძილზე ოლიმპიური მედლების მოპოვებისთვის იბრძოდნენ. თბილისი 2015–ზე, ყველაზე მეტი მედალი (მათ შორის ოქროსიც) რუსეთის დელეგაციამ მოიპოვა: 16 ოქროს, 9 ვერცხლის და 11 ბრინჯაოს

მედალი. საქართველო მედლების ჩათვლაში 50 ქვეყანას შორის მეათე ადგილზე გავიდა 10 მედლით. ქართველი ძიუდოისტები თბილისი 2015–ზე ერთ–ერთი საუკეთესოები იყვნენ და საბოლოოდ ყველაზე მეტი, 9 (4–0–5) მედალი დაიმსახურეს. 6 დაძაბული სათამაშო დღის შემდეგ ოლიმპიური ცეცხლი ჩაქრა და ის 2017 წელს უნგრეთში, ქალაქ დიორში აინთება, რომელიც რიგით მე-14 ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს.

ამასთან, გაწეულია ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში სპორტულ ცენტრებში, გათბობა-გაგრილების, სარემონტო და ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ხარჯები, მათ შორის: ა(ა)იპ ‘‘ჩოგბურთის განვითარება’’ „მზიურის“კორტების დაბალი ძაბვით ელექტრომომარაგებისთვის, საჭირო ღონისძიებების გასატარებლად, კერძოდ სს „თელასის“ მიერ ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოებისთვის.

ა(ა)იპ „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლე“ დენის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისა და ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდისთვის.

ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრი“, გათბობის, გაგრილების და სავენტილაციო სისტემების გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოების ჩასატარებლად.

ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის“ დერეფნის, გასახდელი ოთახებისა და ინვენტარის შესანახი ოთახების სამღებრო სამუშაოების ჩასატარებლად.

ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრის“ ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად.

ასევე, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრქტურული პროექტები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრქტურული პროექტები: ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარების" ჩოგბურთის კორტებთან საკანალიზაციო და სანიაღვრე გარე ქსელების მოწყობა; აშშ-ს საელჩოს უკან, ე.წ. „დიღმის ჭალებთან"- პერიმეტრის კეთილმოწყობა (მიწის სამუშაოები); თბილისის ზღვის გარშემო გზის ასფალტის საფარის კაპიტალური

შეკეთება; მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონის გარე პერიმეტრის რეაბილიტაცია (გზის საფარი, პარკინგი და სხვა); აშშ-ს საელჩოს უკან, ე.წ. ,,დიღმის ჭალებთან"- პერიმეტრის კეთილმოწყობა (მიწის სამუშაოები) პროექტირება); თბილისის ზღვის გარშემო გზის ასფალტის საფარის კაპიტალური შეკეთება; აშშ-ს საელჩოს უკან, ე.წ. ,,დიღმის ჭალებთან"- წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; თბილისის მასშტაბით ოლიმპიური დროშების მონტაჟი-დემონტაჟი; უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან, მრავალფუნქციური სპორტული გამაჯანსაღებელი ცენტრის გარე კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია და სანიაღვრე სისტემა) მოწყობა; რესტორან ,,ბაბილო"-სთან შესასვლელი გზის ასფალტის საფარის დაგება შ. ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის ეზოს შესასვლელამდე; ააიპ მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის უკანა შესასვლელთან ასფალტის საფარის დაგება; ააიპ მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის გაზმომარაგების გარე ქსელის მოწყობა; ა(ა)იპ ,,ჩოგბურთის განვითარების" ჩოგბურთის კორტებთან გაზმომარაგების გარე ქსელის მოწყობა; ოლიმპიური სოფლის კანალიზაციის და წყალსადენის გარე ქსელების მოწყობის სამუშაოები, ბელიაშვილის ქუჩიდან ძიუდოს აკადემიის ცენტრალური შესასვლელის კეთილმოწყობა და სხვა.

ამასთან, დაფარულია ა(ა)იპ "ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის" 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 552.6 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოწესრიგებული ოლიმპიური ინფრასტრუქტურა და მაღალ დონეზე ჩატარებული ოლიმპიური ფესტივალი

8.8 ახალგაზრდული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 1,468.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,347.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 92%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად აქტიური ახალგაზრდები, რაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სოლიდარული საზოგადოების ფორმირებისთვის; ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის არეალის გაფართოვება და მათი აქტივობის ზრდა; განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია შემდეგი ღონისძიებები: 2015 წლის მხიარულთა და საზრიანთა საგაზაფხულო ჩემპიონატი - ა(ა)იპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“); „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ საქველმოქმედო კონცერტი - (აუტიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ფონდი); „Mountain Range Tbilisi 2015“ - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ა(ა)იპ „სთეფ აფ საქართველოს“; „ამირანი – 2015“თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი - (საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი); „ახალგაზრდა იურისტებისათვის გამოცდილების გაზიარება“ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია“; „ახალგაზრდული ხედვა თბილისი 2015“ – „Street Art“; „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“- 2015 წლის მხიარულთა და საზრიანთა საშემოდგომო ჩემპიონატი; „ბრეიქდანსის აღმოსავლეთ ევროპის ფინალი“ (საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“); „თბილისობა -2015“ - „სამოყვარულო ლიგა“ „მუსიკის საერთაშორის ფესტივალი “- საინიციატივო ჯგუფი (სტუდენტების ტრანსპორტით უზრუნველყოფა); „საერთაშორისო კონფერენცია“ - ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია; „სტეფან ბინიაკი თბილისში “ - საინიციატივო ჯგუფი; „მეწარმეობის სკოლა“ - „ახალგაზრდული ინოვაციების ცენტრი“; „სტუდენტური დებატები 2015“ - „ახალგაზრდული ინიციატივებისა და სამოქალაქო განვითარების ახალგაზრდული ცენტრი“ „დაძლიე დამოკიდებულება“ – „სამოქალაქო ინიციატივა საზოგადოების ჯანმრთელობისათვის“; „ახალი წელი“ - „კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი“; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის ახალგაზრდული ბანაკი; “ვაშენოთ მომავალი“; სტუდენტური დებატები; მრგვალი მაგიდები ინტერესთა ჯგუფებთან; ტრენინგები: „მეთოდოლოგიის ჰარმონიზაცია პროექტების დაგემვასა და განხორციელების

ფარგლებში“; „აღმოსავლეთ პარტნიორობის ბანაკი“; საჯარო ლექცია: „დემოკრატიზაციის პროცესში ახალგაზრდების როლი“; მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიება - „ახალგაზრდების თვალით დანახული მშვიდობა“; საჯარო ლექცია - კრასტიო პეტკოვი - „ევროკავშირის დასაქმების პოლიტიკა“ ; „შრომის ბაზარზე ახალგაზრდების წარმატების ხელშეწყობა“; მრგვალი მაგიდა - „შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები, საჭიროებები და გადაჭრის გზები“; საჯარო ლექცია - "შრომის ბაზარი, პრობლემები და შესაძლებლობები"; „თბილისი - ევროპის ახალგაზრდული დედაქალაქი - 2020“ - კონფერენცია; მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

პროგრამის ფარგლებში ასევე, დაფინანსდა, ა(ა)იპ ,,ევროპული ახალგაზრდული ცენტრის“ ფუნქციონირების ხარჯები - 524.8 ათასი ლარით, რომელმაც განახორციელა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის: საგანმანათლებლო, სპორტულ-ახალგაზრდულ და კულტურული პროგრამები, რომელთა მიზანია ახალგაზრდების ინოვაციური იდეების გენერირება და მათი განხორციელების წახალისება, სამოქალაქო აქტივობის გაზრდისა და ქალაქის მართვის პროცესში ახალგაზრდების ჩართვის უზრუნველყოფა, ახალგაზრდების შესაძლებლობებისა და პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა და სხვა.

ასევე, გაწეულია ა(ა)იპ ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები - 8.9 ათასი ლარი. ამასთან, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 8.0 ათასი ლარი პროექტის - elite model look Georgia 2015 დასაფინანსებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ბენეფიციართა რაოდენობა - 30 000 ახალგაზრდა, მათ შორის პირდაპირი ბენეფიციარის რაოდენობა 7 000, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული და შემეცნებითი მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში.

8.9 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 224.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 208.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 93%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებით შექმნილი თბილისის განვითარების ერთიანი სტრატეგია; კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა; კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: ა(ა)იპ "ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის" მიერ შესრულებულ იქნა საველე (წმ. ორმოცი სებასტიელი მოწამს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე) სამუშაოთა მიმდინარეობის სამეცნიერო და ეკონომიკური ანგარიში; სსიპ „ საქართველოს ეროვნული მუზეუმის" მიერ შესრულებულ იქნა საველე და კამერალურ (საჯოგის ნასახლარი. უძველესი ემპორიუმი თანამედროვე დედაქალაქში) სამუშაოთა მიმდინარეობის სამეცნიერო და ეკონომიკური ანგარიში; ი/მ „ავთანდილ მამაცაშვილი"-ს მიერ შესრულებულ იქნა საგამოფენო პლატფორმების, საგამოფენო კეისების და ტუმბოების დამზადება; ა(ა)იპ "ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის" მიერ შესრულებულ იქნა „შაჰტახტის" ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები; შ.პ.ს "არტარეა TV2.0" მიერ შესრულებულ იქნა დედაქალაქის მასშტაბით კულტურულ-ტურისტული მარშრუტის შედგენა-განხორციელებისა და ტურის ამსახველი 15 ვიდეორგოლის მომსახურება; სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის" მიერ შესრულებულ იქნა თრელიგორების ნასახლარის არქეოლოგიური სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შეიქმნა 4 პერსპექტიული ტურისტული ობიექტი, გაიზარდა ინტერესი სფეროს მიმართ და პროცესში ჩაერთო ახალგაზრდა სტუდენტ-პრაქტიკანტი არქეოლოგები.

8.10 თბილისი - რეგიონის კულტურის ცენტრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2015 წლის გეგმა 210.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 197.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 94%-ია.

დასახული შედეგები: თბილისის, როგორც რეგიონის კულტურის ცენტრის ჩამოყალიბება და მსოფლიო დედაქალაქების რუკაზე მნიშვნელოვან სახელოვნებო ცენტრად დამკვიდრება; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები დამეგობრებულ ქალაქებთან და სხვა ქვეყნებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაიმართა კულტურული მეწარმეობის ორდღიანი „ვორკშოპი“, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო ექსპერტმა ლინ ნელსონმა, გაწეულია თარჯიმნისა, დარბაზის იჯარის ხარჯები და მოწვეული სტუმრისთვის ავიაბილეთის და სასტუმროს მომსახურების ხარჯები; სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის“ მიერ განხორციელებული იქნა გია ყანჩელის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტის ხელშეწყობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიები; შ.პ.ს „ტაია ფილმს“-ის მიერ განხორციელებული იქნა „კულინარიის ფესტივალის“ ჩატარებისათვის დაგეგმილი ორგანიზების მომსახურება; „ამერესვარ გალას მიერ „ვორქშოპის“ ჩასატარებლად, განხორციელდა დარბაზის იჯარით მომსახურება; ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“-ს მიერ ტრადიციული რეწვის ბიზნეს სახელმძღვანელოს შექმნისათვის შესრულებული იქნა მწერლის მომსახურების შესყიდვა; ა(ა)იპ „თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ ბელორუსიაში, ქალაქ მინსკის მე-4 საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალზე - „ჯაზ ინ მინსკ -2015“-ში მონაწილეობის მიზნით.

მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები: ხელი შეეწყო თბილისის წარმოჩენას, როგორც რეგიონის-კულტურის ცენტრი.

8.11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 809.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 855.4 ათასი ლარის 95%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

8.11.1 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გაგეობა

2015 წლის გეგმა 95.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა თბილისობის დღესაწაულთან დაკავშირებული ღონისძიება, ფეხბურთის, კრივის, ხელბურთის, კალათბურთის სპორტული ღონისძიებები. შშმპ პირებისთვის სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვების საახალწლო ღონისძიებები, ასევე სხვადასხვა ტიპის საჩუქრები (მედალი, თასი, ბურთი, წიგნი, მისალოცი ბარათი, მინის სუვენირი, სადგამი და სხვა). სპორტული ღონისძიებების კარტინგში, ბილიარდში, ნარდსა და მკლავჭიდში.

8.11.2 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გაგეობა

2015 წლის გეგმა 85.9 ათასი ლარი დაფინანსებულია 76.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 88.7%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ორგანიზების სამუშაოები; თბილისობის სადღესასწაულო ღონისძიების ორგანიზება; რაიონის ტერიტორიაზე საფეხბურთო ტურნირის ორგანიზება; საახალწლო განათების მონტაჟი; საახალწლო ნაძვის ხის სათამაშოების მონტაჟი; კულტურულ შემოქმედებითი ღონისძიების (თაობათა დღე) ორგანიზება; საახალწლო კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სხვა.

8.11.3 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გაგეობა

2015 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რაიონში სპორტული ღონისძიებები (მინი-ფეხბურთი, ჩოგბურთი, ბადმინტონი, ჭადრაკი, შაში, ნარდი, დომინო, ქუჩის კალათბურთი, საახალწლო სპორტული ღონისძიება) და კულტურული ღონისძიებები (ქართული სიმღერების კონცერტის ორგანიზება; საბავშვო მუსიკალური კონცერტის ორგანიზება, „ნიჭიერი თოვლის ბაბუები“-ს ორგანიზება) და სხვა.

8.11.4 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გაგეობა

2015 წლის გეგმა 37.4 ათასი ლარი დაფინანსებულია 37.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სპორტული ღონისძიება „ჩემი გაზაფხული“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლების მოსწავლეებმა. მათვის შეძენილი იქნა სპეციალური მაისურები; რაიონის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლების ვაჟებისა და გოგონების გუნდებს შორის მოეწყო ჩემპიონატი ფრენბურთში და კალათბურთის ტურნირი. შეძენილი იქნა საჭირო ინვენტარი,

სიგელები, თასები და მაისურები, დაქირავებული იქნა სპორტული დარბაზი. ასევე რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ჩატარდა ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში და მინი ფეხბურთი. შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი და გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. ამასთან, ახალგაზრდული ოლიმპიადისათვის დამზადდა სარეკლამო ბანერი, თბილისობასთან და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა კულტურული ღონისძიებები და რაიონის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლების წარმატებული ბავშვების დაჯილდობის ორგანიზება.

8.11.5 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გაგეობა

2015 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 98.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.2%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მომსახურების ხარჯები, ღონისძიება „წყნეთობა 2015 "; საუბნო მინი ფეხბურთის ჩემპიონატი „ვაკის თასი 2015"; ღია საჩოგბურთო ტურნირი „ვაკისთასი 2015"; ინტელექტუალური შეჯიბრი "რა? სად? როდის?; „ფეინთ ბოლში" სპორტული შეჯიბრი „მხიარული სტარტები"; სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ცირკის ბილეთების შეძენა; იუმორისტული კონცერტის ჩატარება; საახალწლო ღონისძიებები (მათ შორის; SOS „ბავშვთა სოფლის" აღსაზრდელებისათვის).

8.11.6 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გაგეობა

2015 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 99.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საჯარო სკოლებს შორის ბეთანიაში მოწყობილი სათხილამურო ტურნირი, ტყვიით სროლის, ჭიდაობის და ფეხბურთის ტურნირები, მარათონის მოწყობა და ანსამბლ „მამული 2015-ის“ კონცერტი, კავშირი „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“-ს ღონისძიება. ასევე პროექტები „ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა“, „სუფთა გონება სუფთა ჰაერზე“, „მზრუნველობა მომავლისათვის“, სპორტული მოედნის საზეიმო გახსნის ღონისძიებისათვის გირლიანდების შესყიდვა, საფეხბურთო კლუბ “საბურთალო“-სთვის ფეხბურთის ბურთების შესყიდვა, სოფელი დიღმის მოჭიდავეთა კლუბ „დიღომი“-სთვის სპორტული ინვენტარის შეყიდვა, 192 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკისთვის გადასაცემად წიგნების შესყიდვა, უბნებს შორის ფეხბურთის ტურნირის ჩატარება, თბილისქალაქობის დღესასწაულის ჩატარების ორგანიზების ხარჯები, სტუდენტების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საგანმანათლებო სემეცნებითი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, ომის ვეტერანებისთვის კინოთეატრში ფილმის ჩვენების მომსახურების შესყიდვა, საახალწლო ღონისძიებები და სხვა ღონისძიებები.

8.11.7 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2015 წლის გეგმა 80.0 ათასი ლარი, დაფინანდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ანრი მღებრიშვილის სახელობის მიმდინარე

საფეხბურთო ტურნირისათვის შეძენილ იქნა სპორტული საქონელი; სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვებისათვის, სსიპ ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლზე დასასწრებად შეძენილ იქნა 300 ცალი ბილეთი; ჩატარდა მინი ფეხბურთის ტურნირი, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა საბავშვო კულტურულ-გასართობი ღონისძიება, წმინდა ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის გაწეულია სცენის განათების და მომსახურების ხარჯი; გაწეული სტუდია „სოლოს“ მიერ განხორციელებული საბავშვო კონცერტის მომსახურების ხარჯი, გაიმართა ნარდისა და დარტსის ტურნირები, ჩატარდა იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კულტურული-საგანმანათლებლო ღონისძიება, გაიმართა შშმ სასკოლო ასაკის პირებისათვის ღონისძიება, გაწეულია „საახალწლო ნაძვის ხის“ მოსართავი სათამაშოების შეძენის ხარჯი, გაიმართა საახალწლო საბავშვო კულტურული ღონისძიება „ელფების“ საჩუქარი და სხვადასხვა ღონისძიებები.

8.11.8 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გაგეობა

2015 წლის გეგმა 87.1 ათასი ლარი დაფინანსებულია 86.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა კულტურული ღონისძიებების მოსაწყობად დასაშლელი და ასაწყობი სცენა შესაბამისი რბილი იატაკით, ჩატარდა 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაფინანსდა ვეტერანთა ანსამბლ „მამული 2015“-ის ღონისძიება, უზრუნველყოფილ იქნა ლილოს ბავშვთა საფეხბურთო გუნდის „იბერიას“ შეჯიბრში მონაწილეობა; რაიონის ტერიტორიაზე ჩატარებულ

კულტურულ ღონისძიებებზე სცენის მიტანის, მონტაჟის, დემონტაჟის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯი; მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით სკოლის ბიბლიოთეკებისათვის შეძენილი იქნა 26 ერთეული ილუსტრირებული წიგნი „მართლმადიდებლური სამყარო“; ჩატარდა „სამგოროზა 2015“-ის ღონისძიება, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისათვის მოეწყო ახალი წლის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რაიონის სკოლების გუნდებს შორის მოეწყო ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“, ჩატარდა ღია ჩემპიონატები ფეხბურთში.

8.11.9 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გაგეობა

2015 წლის გეგმა 70.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 44.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 63,7%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში კრწანისის სკვერის გახსნასთან დაკავშირებით შეძენილ ერთი ცალი ბანერი, 500 ცალი ფლაერი და 300 ცალი სამკერდე მედალიონი. კრწანისის ბაღში დაგეგმილი კრწანისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, 300 არაგველის ობელისკის მეტროს ტერიტორიაზე და მის მოპირდაპირედ, ჩატარდა კულტურულ-გასართობი ღონისძიებები. ასევე ჩატარდა 7 დღიანი ტურნირი მინიფეხბურთში, ქუჩის კალათბურთში და ერეკლე მეორის მოედანზე ორგანიზებულ საახალწლო ბაზრობაზე გასართობი ღონისძიებები.

8.11.10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გაგეობა


2015 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 93.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 93%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რაიონის ტერიტორიაზე ორი საფეხბურთო ტურნირის და ქართული ჭიდაობის ტურნირის ორგანიზება; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე საერთო-სახალხო დღესასწაულის „თბილისობა 2015“-ს ღონისძიებების ორგანიზება; ავტო და მოტომოყვარულთა საჩვენებელი გამოსვლისა და სპორტული შეჯიბრების ორგანიზება; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი 14-15 წლის მოზარდების გუნდებისათვის საკალათბურთო ტურნირის ორგანიზება; მთაწმინდის რაიონის მაცხოვრებლებისათვის წინასაახალწლო ღონისძიების ორგანიზება; ტრიო „ძველი ჰანგები“-სადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება.


❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება





9.1 საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 21,867.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100% და 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 720,3 ათასი ლარით ნაკლებია. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 100%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საქართველოს კანონების „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 31-ე

მუხლის შესაბამისად, სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, 2015 წელს გადარიცხულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ამ მიზნით გათვალისწინებული ასიგნებები, სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოზე ეტაპობრივად, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

9.2 ცხოველთა მონიტორინგი საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3,226.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3,152.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98%-ია. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 91%, „არაფინანსური აქტივების - 9%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის ეფექტურად ორგანიზების მიზნით შემუშავებულ იქნა „ვეტერინარულ-სანიტარული კორდონის“ კონცეფცია, რაც მიზნად ისახავს დედაქალაქის დაცვას „მიგრანტი“ ცხოველების შემოდინებისაგან, ამავე პროექტით ხორციელდება თბილისის „გაწმენდა“ აგრესიული, დაავადებული და არასტერილიზებული ძაღლებისაგან. მიმდინარეობს ანტირაბიული (ცოფსაწინააღმდეგო) პირველადი და ყოველწლიური ვაქცინაციის პროცესები. მოსახლეობის მიერ განხორციელებულმა შეტყობინებებმა 2015

წელს გადააჭარბა 13000-ს; მიმდინარე წლის განმავლობაში დაჭერილია და თავშესაფარში გადაყვანილია 6084 ცხოველი, სტერილიზაცია კასტრაციის ოპერაცია ჩაუტარდა 1164 ცხოველს, მუნიციპალური თავშესაფარიდან გაჩუქდა 492 ცხოველი, ჩატარდა 246 სამაშველო ოპერაცია; 2015 წლის აპრილიდან თბილისში დაინერგა ცხოველთა რეგისტრაციისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოების წესი; შემუშავდა სპეციალური სარეგისტრაციო მოწმობები; 2015 წლის ბოლომდე მოსახლეობის მიერ დარეგისტრირებული იქნა 2694 ცხოველი. გარდა ამისა, გაწეულია: სააგენტოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი) ხარჯები; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელის შეძენის ხარჯები, კოდექსის პროგრამის მომსახურეობის ხარჯები, პოლიგრაფიული და სასტამბო მომსახურების ხარჯები, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის და საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯები, რეცხვის, ქიმწმენდის და სხვა სანიტარული მასალების შეძენის ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები (ინტერნეტი, სატელეფონო მომსახურება), კომუნალური ხარჯები (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი), გათბობის მიზნით საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ტრანსპორტის და ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის (საწვავ/საპოხი მასალების შეძენა, სათადარიგო ნაწილების შეძენა, სპეც. დანიშნულების იარაღების რემონტი) ხარჯები; ცხოველების მოვლა შენახვის ხარჯები (ცხოველების კვება, სამედიცინო და ვერტერინარული პრეპარატები, ერთჯერადი სამედიცინო სახარჯი მასალები); საბუღალტრო პროგრამის შეძენის ხარჯები, ვებ გვერდის დამზადების ხარჯები, სხვადასხვა ხელსაწყოების, დანადგარების და აღჭურვილობის შეძენის, კომპიუტერების და აქსესუარების შეძენის, სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, ბუნებრივი აირის ქსელის მონტაჟის ხარჯები, სამედიცინო აპარატურის და ხელსაწყოების შეძენის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები: საშიში და აგრესიული ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ხარისხის ამაღლება.

❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

ათასი ლარი



10.1 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 13,852.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 13,633.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 98%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო – 3,984.7 ათასი ლარი, პრემია – 1,376.2 ათასი ლარი, დანამატი - 1,426.9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 6,627.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 89.4 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 39.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები – 89.3 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება - 0.1 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 52,788.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 50,978.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 97%-ია. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 24,626.4 ათასი ლარი, პრემია - 7,516.9 ათასი ლარი, დანამატი - 3,412.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 10,808.5 ათასი ლარი, გრანტები - 376.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 267.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 375.5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 2,711.7 ათასი ლარი, ვალდებულებები - 884.2 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონული გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10.2) დაფინანსებულია 14,152.9 ათასი ლარით; საფინანსო საქალაქო სამსახური (კოდი 10.3) – 1,736.3 ათასი ლარით, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური (კოდი 10.4) – 738.6 ათასი ლარით, მუნიციპალური

შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10.6) – 748.6 ათასი ლარით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (კოდი 10.7) – 2,524.9 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (კოდი 10.8) – 1,128.7 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (კოდი 10.9) – 828.1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური (კოდი 10.10) – 1,342.2 ათასი ლარით, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური (კოდი 10.11) – 778.1 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10.12) – 948.4 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10.13) – 5,868.8 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 843.1 ათასი ლარი, კულტურის საქალაქო სამსახური (კოდი 10 38) – 571.4 ათასი ლარი, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 39) – 652.4 ათასი ლარი.

10.27 გლდანის რაიონის გამგეობა – 1,815.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,893.2 ათასი ლარის 96%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების, კავშირგაბმულობისა და საფოსტო მომსახურების ხარჯები), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა - შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, სხვა ხარჯებზე, არაფინანსურ აქტივებზე, ამასთან დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 15.0 ათასი ლარი.

10.28 ნაძალადევის რაიონის გამგეობა – 1,964.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,994.0 ათასი ლარის 98.5%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა-მონტაჟი, გამგეობის და მუნიციპალიტეტების მოვლა-შენახვა და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვაზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე

(დასუფთავების მოსაკრებელი) და არაფინანსურ აქტივებზე. ამასთან, დაფარულია 2014 წლის კრედიტორული დავალიანება 21.1 ათასი ლარის ოდენობით.

10.29 დიდუბის რაიონის გამგეობა – 1,657.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,681.6 ათასი ლარის 98.6%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლის შეძენის ხარჯები, კომპიუტერების აქსესუარების და სანტექნიკური მოწყობილობების შეძენის ხარჯები, ადმინისტრაციული შენობის დაგვა დასუფთავების ხარჯები და სხვა) ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება), არაფინანსურ აქტივებზე. ამასთან, დაფარულია 2014 წლის კრედიტორული დავალიანება 1.0 ათასი ლარის ოდენობით.

10.30 ჩუღურეთის რაიონის გამგეობა – 1,488.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,519.0 ათასი ლარის 98%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, ადმინისტრაციული შენობების დაგვა - დასუფთავება, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ინვენტარის შეკეთება, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, კარტრიჯების დატენვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა_შენახვის ხარჯებზე (მანქანების რეცხვა და გადაზიდვის მომსახურება), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, განახლებადი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა, გამგეობისათვის საჭირო სხვადასხვა სპეციალური ბლანკების, მოწმობების დამზადება, „112 ოპერატორის“ მომსახურება, ახალი ამბების საინფორმაციო მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება), სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ აქტივებზე. ამასთან დაფარულია 2014

წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 3.1 ათასი ლარი.

10.31 ვაკის რაიონის გამგეობა – 1,760.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,863.5 ათასი ლარის 97%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, გამგეობისა და მუნიციპალიტეტის შენობების მოვლა-დასუფთავება, საკანცელარიო საქონლის შეძენა, საფოსტო მომსახურება, პრინტერების შეკეთება, პროგრამა კოდექსით მომსახურება, მცირეფასიანი ინვენტარის და სამეურნეო საქონელის შეძენა, ოფისის მოწყობილობათა მიმდინარე რემონტი), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (არქივის მომსახურება, ესპერტიზის მომსახურება, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მომსახურება, „112 ოპერატორის“ მომსახურება, ახალი ამბების სააგენტოს მომსახურება), სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ აქტივებზე. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 9.4 ათასი ლარი.

10.32 საბურთალოს რაიონის გამგეობა – 1,795.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,829.0 ათასი ლარის 98%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლის, მცირეფასიანი ავეჯის და ტექნიკის შეძენა, საფოსტო მომსახურება, კომპიუტერული ტექნიკის და კონდენციონერების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, გამგეობის შენობის მიმდინარე რემონტი), წარმომადგენლობით ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (კოდექსის განახლება, სატენდერო დოკუმენტების გამოქვეყნება, სარეკლამო-საინფორმაციო პაკეტით მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებაზე,

არაფინანსური აქტივებზე. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 1.5 ათასი ლარი.

10.33 ისნის რაიონის გამგეობა – 1,917.0 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 1,919.2 ათასი ლარის 99.9%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლისდა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, საფოსტო-საკურიერო მომსახურება), წარმომადგენლობით ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება, მუნიციპალიტეტის დაცვის მომსახურება, საინფორმაციო მომსახურება, საარქივო მასალების შენახვა). ამასთან, დაფარულია 2014 წლის კრედიტორული დავალიანება 3.9 ათასი ლარის ოდენობით.

10.34 სამგორის რაიონის გამგეობა – 2,303.4 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 2,351.3 ათასი ლარის 98%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, კარტრიჯების დატენვა და სხვა), წარმომადგენლობით ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების და დოკუმენტაციის გამოქვეყნება, მუნიპალიტეტების შენობების დაცვა, საარქივო მასალების შენახვა და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, არაფინანსურ აქტივებზე. ამასთან, დაფარულია 2014 წლის კრედიტორული დავალიანება 96.3 ათასი ლარი.


10.35 კრწანისის რაიონის გამგეობა – 1,374.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,437.2 ათასი ლარის 96%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო ხარჯები, ტიტულოვანი და სპეციალური ბლანკების ფორმების დამზადება, ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება, პრინტერის შეკეთება, კარტრიჯების დატენვა, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-

შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (მათ შორის: ადმინისტრაციული შენობის და ფონიჭალის მუნიციპალიტეტის შენობის იჯარა, ადმინისტრაციული შენობის დაცვის ხარჯები, საარქივო მომსახურება, „112 ოპერატორის“ მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, ინფო 9-ის მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებაზე, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსური აქტივებზე. ამასთან, დაფარულია 2014 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება - 12.9 ათასი ლარი.

10.36 მთაწმინდის რაიონის გამგეობა – 2,000.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,099.8 ათასი ლარის 95%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, ოთახების დაგვა-დასუფთავება, საკანცელარიო საქონელის შეძენა, კომპიუტერების პერიფერიული მოწყობილობების შეკეთება, გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში სხვადასხვა დაზიანებების შეკეთება, კომპიუტერული აქსესუარების შეძენა და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე, დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე, არაფინანსურ აქტივებზე. ამასთან, დაფარულია 2014 წლის კრედიტორული დავალიანება 3.3 ათასი ლარის ოდენობით.

10.20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 2,690.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 2,688.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ია და 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 27.8 ათასი ლარით მეტია. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების - 0.8%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო სახსრებიდან ხარჯები გაიწია შემდეგ ღონისძიებებზე: თანამდებობრივი სარგო - 2,276.6 ათასი ლარი, პრემია - 239.6 ათასი ლარი, შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება - 23.5 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები - 93.1 ათასი ლარი, თარჯიმნის მომსახურება - 4.8 ათასი ლარი, ავტოტექმომსახურების და ავტომანქანის სათადარიგო ნაწილის შესყიდვა - 3.6 ათასი ლარი, საწვავის შეძენა - 21.4 ათასი ლარი, ავტომანქანების დაზღვევა 3.4 ათასი ლარი. პლანშეტების შეძენა - 9.0 ათასი ლარი, პრინტერების შეძენა - 13.0 ათასი ლარი.

საკუთარი სახსრების ნაწილში 2015 წელს სამსახურის შემოსავალმა დაჩქარებული მომსახურებიდან შეადგინა 1,242.6 ათასი ლარი, ასევე, ასახული იქნა 2014 წლის გარდამავალი ნაშთი 1,094.4 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა - 1,465.1 ათასი ლარი მათ შორის: მათ შორის: დღგ, მოგების გადასახადი, ტენდერების მოსაკრებელი, სასამართლო ბაჟი და სასამართლოს განჩინებით დაკისრებული გადასახადი, პრემია, შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება, ზეგანაკვეთური დანამატი, მივლინება ქვეყნის გარეთ, სოციალური დახმარება (დეკრეტული შვებულების ანაზღაურება), ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები, თარგმნის ხარჯები, კატრიჯების შესყიდვა, პრინტერის შეკეთება, საფოსტო მომსახურება, კონფერენციის ჩატარების ხარჯები, ურბანული და არქიტექტურული მომსახურება, რეხის ქუჩის ჩარჩო გეგმის დამუშავება, ვარკეთილის მეურნეობის მიმდებარე

ტერიტორიის ჩარჩო გეგმის დამუშავება, გლდანის რ–ნში გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის ჩარჩო გეგმა, ლაზერული მანძილმზომის შეძენა, პორტატული კომპიუტერების შეძენა, ოფისის ავეჯის შეძენა, კომპოუტერული ქსელის კომუტატორების და დაშვების (აღრიცხვის) სისტემის შეძენა და სხვა.

10.21 სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,371.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1,349.3 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 98% და 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 395.5 ათასი ლარით მეტია. სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საბიუჯეტო სახსრებიდან ხარჯები გაიწია შემდეგ ღონისძიებებზე: შრომის ანაზღაურების ხარჯები - 1,260.6 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 83.4 ათასი ლარი (მათ შორის: შტატგარეშე ანაზღაურება - 52.1 ათასი ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაცია - 31.3 ათასი ლარი), სოციალური უზრუნველყოფა 5.3 ათასი ლარი.


საკუთარი სახსრების ნაწილში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა - 3,757.3 ათასი ლარი. აქედან დღგ-ს, მოგების და ქონების გადასახადი - 302.5 ათასი ლარია,

სახელფასო დანამატი - 233.8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯები 568.2 ათასი ლარი, მივლინებები - 7.5 ათასი ლარი, სხვადასხვა ხარჯები (სააღსრულებლო) – 0.9 ათასი ლარი, ძირითადი აქტივები - 60.2 ათასი ლარი, თვითმმართველ ერთეულის ბიუჯეტში გადარიცხულია -2,886.7 ათასი ლარი.

სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების შესრულება: თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების აღრიცხვა რეგისტრაცია; თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მართვა და მათი მოგებიდან ბიუჯეტში კუთვნილი დივიდენდების მობილიზება; ქონების გამოყენებაზე გამოცემული 205 ადმინისტრაციული აქტი; სამუშაოების წარმოებაზე გამოცემული 4456 ადმინისტრაციული აქტი.

10.40 სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 2,639.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 2,508.2 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 95%. ფონდისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 89%, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ – 9%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო სახსრებიდან ხარჯები გაიწია შემდეგ ღონისძიებებზე: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი) – 1,777.9, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 86.6, ოფისის ხარჯები - 258.1 ათასი ლარი, მივლინების ხარჯები - 20.3 ათასი ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 89.9 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები - 4.3 ათასი ლარი, პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაცის ამაღლების ხარჯები - 6.1 ათასი ლარი, საოფისე ინვენტარის და კომპიუტერული ტექნიკის შეძენის - 117,2 ათასი ლარი და სხვა ხარჯები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსავლები, გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით და ინფორმაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების შესახებ, წარმოდგენილია დანართი №1-4.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
ლევან თევზაია